ლიტერატურული გაზეთი

№38 12 - 25 ნოემბერი 2010 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 50 თეთრი



პროზა

მამუკა ხერხეულიძე

ზეიკიძე

II-III

ჩანაწერები

ვახტანგ ჯავახაძე

ლექსიდან — ლექსამდე

X-XI

თარგმანი

გოფრედო პარიზე

ანკეტა

XIII

ზეიკიძე

მამუკა ხერხეულიძე

მოთამაშეები ცრუმორწმუნეები ვართ. გვწამს შავი კატის, რიჟა ხალხის, ცუდი თვალის, მრუდე ხელის, ორშაბათის, აჩემებული ციფრების, თარსი ტიპების, საერთოდ, „პალასა-ანტიპალასის“ ანუ იღბალ-უიღბლობის.

თუ არ თამაშობ, ვერ გაიგებ.

ძველ სახლში კარის მეზობელი მყავდა, რიჟა კაცი. სახლიდან გასვლისას თუ შემხვდებოდა, იმ დღეს უეჭველი წაგებული ვიყავი. მაგის განრიგიც კი ვიცოდი და ისე მქონდა აწყობილი, წელიწადში ორჯერ თუ გადავაწყდებოდი, და, რა თქმა უნდა, იმ დღეს გადახეული ვიყავი.

ერთხელ ისე მაგრად მეჩქარება, რიჟას განრიგიც კი დავიკიდე. ლიფტის კართან დამხვდა. სახლში შებრუნება დავაპირე, შევყოყმანდი. რიჟა მომესალმა. პასუხი არ გავეცი. დარეტიანებულივით ვდგავარ, მივხვდი, ცუდად ვიქცევი და სალამი დავუბრუნე. გადავწყვიტე, არ შემემჩნია, თან სათამაშოდ მივდივარ, განწყობა მჭირდება. ასეთ დროს, როგორც წესი, ფიქრობ, რომ ეს სულ „რიჟა ბაზარია“ და ამ გალეული ჯაყვასავით კაცს, კოსტუმი დიდი რომ აქვს და ხელები არცკი მოუჩანს სახელოებიდან, არაფერი გავლენის მოხდენა არ შეუძლია რეალისა და ოსასუნას მატჩზე, რომელიც მადრიდში საღამოს ცხრა საათზე დაიწყება. ნახევარი სამყარო ადევნებდა თვალს ამ მატჩს, მეორე ნახევარს ფსონი ჰქონდა დადებული. რეალს ფრეც აწყობდა, სახლში თამაშობს ბერნაბეუზე და მოგების შემთხვევაში ჩემპიონი ხდება. ფეხბურთელები მწყობრში არიან, წინა ტურის ყველა თამაში მოგებული აქვთ... მოგების განწყობა დავიბრუნე.

ლიფტიც მოვიდა, კაცმაც შესვლა დაიწყო, მეც მსხვერპლივით მივყევი მის მწითურ კეფას. შევედით კაბინაში. მწითურმა კეფამ, ოჯახში ხომ კარგადო, მკითხა და შემრცხვა. რა იდიოტი ვარ, რას ვებუტები... მეზობელია, რამე რომ დაგჭირდეს, ამაზე ახლობელი ვინ გყავსო, დედაჩემის სენტენცია გამახსენდა და მოკითხვა შევუბრუნე ცოცხლად. არა გვიშავსო.

დამთავრებული არ ჰქონდა და ლიფტი გაჩერდა, ჩაბნელდა, დენი წავიდა. ის წლებია, ჩვენ რომ ვიცით, მაგრამ ზაფხულია და იშვიათად მიდის დენი. კაცმა, ამათი დედებსო, და თავის გოგოს დაუძახა. ისიც ეგრევე გამოეხმაურა, რატომღაც, იქვე იდგა და, ცოტა ნიშნისმოგებით, სართულებს შუა ხართ მოყოლილი, ვერ გამოხვალთ, დენი სანამ არ მოვაო.

ეს გოგო მამაზე უფრო მწითური იყო. გაუთხოვარ, მსუქან გოგოს დიდი, წითელი თმები ჰქონდა გაჩეჩილი, გეგონება, ცეცხლი უკიდია თავზეო. სახლიდან იშვიათად გამოდიოდა. ალა პუგაჩოვას ფანი იყო, მაგისი ოთახი ეზოს მხარეს გამოჰყურებდა და „არლეკინო“ მოისმოდა ბოლო ხმაზე. ახლა გამახსენდა, დილას აივნიდან დავინახე, ნაგავს ყრიდა ზარის რახარუხით მოსულ მანქანაში. მგონი, მთავარი ჯადო ეს გოგოა, გამიელვა და უცბადვე უარვყავი ეს თეორია — კიდე ახალი თარსები მინდა, ისედაც სად ვარ და ვისთან.

სანთებელა ავანთე, სიგარეტს მოვუკიდე და საათსაც დავხედე. ნახევარ საათში ჩემი მაზავშიკი სადღაც მიდის (ტოტალიზატორები ჯერ არ არსებობს, ხელზე ვმაზავთ), არადა, პრისტავკას არ მეთამაშება, მარტო ნაღდ ფულს. ისევ დაბნელდა კაბინაში, მხოლოდ ჩემი ნაფაზების დროს ნათდება მწითური თავი, და ძალაუნებურად აკრძალული ფიქრი გამიელვებს თარსებზე, მაგრამ ვცდილობ, სხვა რამეზე ვიფიქრო. ამ უკუნეთ სიბნელეში ჩემი სიგარეტივით მანათობელი თავი უცბად ამბობს, ამ ლიფტში პირველად გავიჭედეო. დავანაფაზე. მისი მწითური სახე ამომყურებს ეჭვით. უცბად გამიელვა, იქნებ ამისთვის მე ვარ თარსი და მე მაბრალებს დენის წასვლას. შევწუხდი, სინდისის ქენჯნა დამეწყო, ფეხით ვერ ჩავეთრიე, ამ კაცსაც რას ვერჩოდი-მეთქი — და დენიც მოვიდა. ლიფტი დაიძრა. მისი ქალიშვილი დავლოცე, ალბათ თელასში დარეკა და ჩაართვევინა-მეთქი.

გამოვედით ორივე, ბედნიერებისაგან შაქრად ვდნებით, ჭიშკრამდე დავემშვიდობე, ტაქსი გავაჩერე და ფიქრში დავგმე ცრურწმენა. ის კი არა, უეჭველი გადავტეხე ჩემში ეს ბნელური რწმენა-თქო, დღეს კი გადავხევ ოსასუნას და ჩემს მაზავშიკსთქო.

მივედი მუშტაიდში. მთელი მოთამაშეები ბაღში დგანან ჯგუფ-ჯგუფად, ისმის ჯადოსნური იქს 2, ფრე და გავეყარეთ, მეტი გოლი, ჰანდიკაპი, მეტი კუთხური, ვინ დაიწყებს და სხვა. აქ რასაც გინდა გამაზავ, მწვრთნელი ვის გადაკოცნის პირველს ან ტიტველი კაცი თუ გადახტება სტადიონზე, და მამალივით ირბენს თუ არა პოლიციელებისაგან თავის დასაღწევად.

აქ სულ ჩემნაირი მანიაკები არიან, ჩემი

თაობის ბიჭები, მაგრამ ეს კახელი გივი მყავს ამოჩემებული. არავინ უმაზავს ჩემს გარდა, მელას თავის მახრჩობელა უყვარსო, ეგრე ვარ, მაგარ ზამასკაში ვყავარ. ისე ყომარბაზია, ლეგენდებს ყვებიან, დიდი თავნები აქვს ჩაბარებული და მიღებულიო. ასეთი წუწკი ტიპი არც მინახავს და არც წამიკითხავს, სასადილოში სულ მარტო გადადის და გულიაშს თქვლიფავს. ფეხბურთის აზრზე არ არის და არავის ბალელშიკობს, ერთხელ საქართველო-რუსეთის მატჩზე რუსების მაზი ეჭირა — და მოიგო.

მივედი, სალამი ვთქვი. საერთო აზრი რეალის გამარჯვებაა, არავის არ ეპარება ეჭვი, ზოგი ჰანდი კაპს აწვება. გივი გრძელ ხის სკამზე ზის თავის ჯინსის ზმეიკიანი ქურთუკით და მუდამ პრიალა შავი მოკასინებით, ფეხი ფეხზე აქვს გადადებული, თასმები — წინდებში ჩატანიებული, უემოციო, ოდნავ ცინიკური სახით უსმენს მაზავშიკების კომენტარებს. მე ვერც მამჩნევს ან ატრაკებს, დილით არ ველაპარაკე ტელეფონით?

გამოვიხმე, ბიჭებმა თვალი გამომაყოლეს, ჩვენი თამაში იციან და ვეცოდები, რას გადაეკიდე, ხომ ხედავ, უეჭველს გიგებსო. ხო, მაგრამ ლოგიკა სად არის? ზარს ხომ არ ვეთამაშები? ფეხბურთის სპეციალისტი ვარ, ახალგაზრდულ ნაკრებში ვთამაშობდი თავის დროს. ლელოს ნომერი არ გამომიტოვებია, რაც თავი მახსოვს, ყველა შენახული მაქვს, კანაფით გადაკრული, გაყვითლებული გაზეთების კიპები. კიროვის ბაღში ჟურნალების ბარიგა მყავდა არტურა, ინგლისურ „კიკერს“ მიჩითავდა თვეში ერთხელ, მაგარი ფოტოებით და ისეთი ინფორმაციით, რომელიც ათმა კაცმა თუ იცოდა საქართველოში. ისინიც შენახული მაქვს, ოღონდ ვარსკვლავების ფოტოების გარეშე, იმათ ვჭრიდი და ჩემი ოთახის კედლებზე ვაკრავდი. დღევანდელი მსოფლიოს ფეხბურთელები კი არა, მწვრთნელები ვიცი ყველა, ინფარქტი აქვს თუ არა გადატანილი, ისიც ვიცი.

გივიმ, რა გინდა, უეჭველს მიგებ, შენი ხუთასი, ჩემი — ასიო. დავიწყეთ ვაჭრობა, ეგრე სად არის, ბურთი მრგვალია, შენი სამასი-მეთქი. ცოტაც ვიკაჩავეთ და მოულოდნელად: რა გინდა, ერთნაირი კუშები იყოს, ოღონდ ათას ათასიო.

გული შემიქანდა. დიდი ფულია. თან ბოლო თვეა, სულ მიგებს, ევროსპორტი ახალი შემოსულია ჩვენთან, ხან — ჩოგბურთში, ხან — კალათბურთში, ბოლოს ბალახის ჰოკეიც მომიგო. ერთ კვირაში მოსატანი-მეთქი და გახარებულმა, რომ არ გადაიფიქროს, ხელი დავარტყმევინე.

წამოვედი სახლში. რომ ავდიოდი, მეზობელი გამახსენდა, მაგრამ პირიქით რომ გამოვა დღეს და კახელ გივიას ათას დოლარს გამოვუღებ, მერე ალბათ რიჟას ცდას დავიწყებ ლიფტთან-მეთქი.

თამაში რეალმა წააგო. რაულმა პენალტი ააცილა, ერერომ კი თავის კარში ჩაჭრა უიმედოდ ჩაწოდებული ბურთი და თამაშიც დასრულდა.

ზუსტად კვირის თავზე სამშაბათ დღეს დამიჭირეს. მაგის მერე სამშაბათობით სახლიდან საერთოდ არ გავდივარ დღემდე. მთელი კვირა ვეძებე და ფული ვერ დავიადე. აღარავინ მასესხა. როგორც ჩემი უბნელი გალოთებული ფუფლოშნიკი მაფრთხილებდა, ეგ დღეც დადგება, შაურს არ გასესხებს არავინ; აბა, მე ფუფლოდ კი არ დავბადებულვარ, ათი წელი ვიხადე პატიოსნად და ერთ დღესაც...

12 საათამდე სამი საათი რჩებოდა, შანსი აღარ მქონდა, სარდაფიდან ნაჭერში გახვეული ნაგანი ავიღე და უბანში მცხოვრებ მევახშეს შევუვარდი უნიღბოდ, მაინც მიცნობდა, რა აზრი ჰქონდა, მარტო ამ კვირაში ხუთჯერ დავადექი ვალზე და ხუთჯერვე უარით გამომისტუმრა. დრო აღარ რჩებოდა, ორ საათში ფული უნდა ჩამებარებინა. შევანგრიე ჯაჭვზე გაღებული კარი, იარაღი თავზე დავადე შიშისაგან მუხლებზე დამხობილ პედიკიურშა ზინას, რომელიც ველარც ყვიროდა, ხმა ჩაუვარდა მგონი, ადგა და საძინებლისკენ დაიძრა პირზე ხელაფარებული, თრთოდა და ჩუმად ტიროდა, ისე, რომ ხმამაღლა არ გამოსვლოდა. კარადა რომ გამოაღო და ქალის საცვლების ქვევიდან გაზეთში გახვეული ასიანებით გადაკრული დასტები გამოიღო, დავუყვავე, სხვა გზა არ მაქვს, რომ არ მომცე, მოგკლავ, და მერე თავსაც დავიბრიდავ, არადა, ორივე ცოცხლები დავრჩებით, შენს ფულს ამ თვის ბოლოს დაგიბრუნებ-მეთქი. ათასი დოლარი ამოვიღე იმ გაზეთიდან, დანარჩენი, დაახლოებით ათი პრესი, რეზინგადაკრული ასიანები ისე დავუბრუნე არც დამითვლია. ამ სულგრძელობის იმედზე ვიყავი, არ გამწირავს, არ განაცხადებს, თან თავის ათას დოლარსაც დაიბრუნებს მეთქი.

გივის მუშტაიდში მივაგენი, ატრაქციონის უკან ჩაცუცქული ყომარს აგორებდა. ფული ისე გამომართვა, არც ამოუხედავს, დიდ ფოსტას თამაშობდნენ, მაგ ოცის ფეშინაო და გააგორა, კამათელი შაშიბეშზე დაჯდა. ორმოცი მოიგო, წამოდგა და დღეს მოვკალით თამაში, დავიქანცე ბიჯო, მთელი დღეა პური არ მიჭამიაო. პლეხანოველი ბიჭი ზარდაცემული იჯდა ჩაცუცქული, კამათელს მოკლედ აგორებდა, თან დედას აგინებდა ძალიან მწარედ, ისტერიულად, გივის მისამართით აშკარად, რომელსაც მაგრად ეკიდა, საერთოდ არ იმჩნევდა და სკამზე შემოდებულ მოკასინის თასმას წინდაში იტენიდა.

გამთენიისას ამაგდეს. შვიდი წელი მოვცეს, მთელი სროკი დაჭერის დღეს ვიხსენებდი, მესიზმრებოდა კიდეც: სახლიდან რომ გამოვდიოდი, მეზობლის რიჟა, ცეცხლთავიანი ქალიშვილი ნაგავს ყრიდა ჭიშკართან დადგმულ დიდ კონტეინერში.

ის სახლი ნაჩქარევად, იაფად გაყიდეს ჩვენებმა, პროკურორს მაქსიმუმი, 12 რომ არ მოეცა. სახლზე გული საერთოდ არ დამწყვეტია, უბრალოდ, მშობლები სოფელში გადავიდნენ საცხოვრებლად, დარჩენილი ცოტა ფულით ჩემს ცოლშვილს გარეუბანში ოროთახიანი უყიდეს.

ექვსი წელი მოვიხადე. იქ არ მითამაშია. ერთადერთი, ლელოს ვშოულობდი ყოველდღე და ვკითხულობდი. რომ გამოვედი, დედ-მამა გარდაცვლილი დამხვდა, იქვე, სოფელში დაუსაფლავებიათ, თვითონ ასე დაიბარესო. ქალაქში არც ჩამოდიოდნენ, სვიდანიაზეც არ მოსულან არც ერთხელ, მეც არ ვაძალებდი, არ მინდოდა იქ, იმ ზოოპარკში ვენახეთ. დიდ წერილებს მწერდა დედა, ჭკვიანი, კარგი ბავშვი რომ ვიყავი, იმ ამბებს მახსენებდა. იმდენს ტიროდა, აღარც ეტყობოდა, ვერც შეამჩნევდა უცხო ადამიანი, ჩვეულებრივ, თვალის უპეები მუდმივად სველი ჰქონდაო, ლალიმ მომიყვა მერე.

ვცხოვრობ უცხო უბანში, სახლიდან რომ გამოვდივარ, სხვა ქალაქში მგონია თავი. ალბათ, შევეჩვევი. როგორც ვთქვი, აღარ ვთამაშობ, უბრალოდ, პატარა ფოსტებით ვერთობი ტოტალიზატორში. აბა, რა ვქნა, საქმე მე არ მაქვს, ვზივარ ტელევიზორთან და მთელი დღე თამაშის რეკლამაა, ერთ არხზე ლაივში ავსებენ ბილეთებს საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, ქვევით ტიტრი — შემვსები. გადავრთავ სხვა არხზე და — იქაც ლატარიის რეკლამა გუგუნებს: ხარაგაულში მევიგე... საგარეჯოში მოვიგე... ერთ არხზე მარტო ანგარიშები მიდის, და ასე მთელი დღე.

ჩემთან ნაჯდომია ერთი, ზეიკიძე. მაღალი, გამხდარი ბიჭია, ჩახლეჩილი ხმით, გრძელი ცხვირით, მაგარი თარსი, ეგ თუ შეგხვდა, მაზი აღარ უნდა დადო, ახალი ბილეთის შევსებასაც არა აქვს აზრი, თუ იქ დგას. ჩემთან სახლშიც იციან უკვე, თუ შუაღამეს ხმამაღლა ვიგინები, შენი დედა, ესე იგი წავაგე და ზეიკიძე ბილეთის შეტანის დროს იქ იყო. ხანდახან ვრეკავ ტოტალიზატორში, წავიდაო, რომ მეტყვიან, მაშინ მივდივარ, რომ არ შემხვდეს. ბევრჯერ გვიან დამინახავს და უეჭველი ბილეთი დამიხევია, მოვტრიალებულვარ და წამოვსულვარ, აღარ დამიდია, მაგრამ ხანდახან გამოსავალი არ გაქვს, თან საკუთარი ცრურწმენები ობიექტური არ არის, თან უსაქმურია, ჩემსავით, სულ იქ არის. იმ დღეს ისე გავგიჟდი, ტელეფონის ნომერი გავიგე, დავურეკე და ვაგინე. მთვრალი ხარო? ის კი არ იკითხა, რატომ მაგინებო. ერთისთვისაც შემჩნეული აქვს, რომ მორჩება ბილეთის შევსებას, გუნდების და ფეხბურთელების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციას ჩამოთვლის, სათვალეს მოიხსნის და — რა თქმა უნდა, ზეიკიძე თუ არ შეგვხვდა ტოტალიზატორშიო.

ერთხელ ავდექით და თვითონ შევავსებინეთ ბილეთი. ნაკლები გოლი — მაზია ეგეთი, თამაშში ცოტა გოლი უნდა გავიდეს. ექვსი თამაში გადაება წაგება, იუვემ, რეალმა და მილანმა ლამის სულ ხუთით ნოლები წააგეს. ისე, როგორც წესი, ბილეთში ერთი თამაში ტყდება, თუ დაიქცა ქვეყანა, ორი. ექვსივე წავაგეთ.

იმ დღეს ადრე ჩავედი. გახსნილებიც არ

იყვნენ. დავუტოვე ბილეთი და ჩქარა წამოვედი, ზეიკიძე არ მოსულიყო. ბუნდესლიგის თამაშები გავმაზე და ყველა დაჯდა, ლევერის გარდა. ღამე პრიმერა დივიზიონის თამაშებია, თან ზამასკაში ვარ წაგებული. ლევერის სულ არ მეშინოდა და არც სჭირდებოდათ ქულა, რამ გაამხეცათ, არ ვიცი, ბალახის ჭამა დაიწყეს, ფეხები დაამტვრიეს ლიგიდან ფაქტიურად გავარდნილ გუნდს. იმათაც არაფერი არ შველოდათ და რამ გააგიჟათ, არ ვიცი, სასწაული მოხდა. კი გამკრა, ზეიკიძეს ექნება ეს მაზი-მეთქი, და ერისთავმაც დარეკა, იმას გაყავდა ლევერიო.

ღამე ესპანეთის ტურია, უეჭველი ვიცი, მოვიგებ. არადა იმ დღის ფული უკვე წაგებული მაქვს, უნდა ვისესხო. ვიგებ, ოსასუნას იქს დვა ჯდება! ვის ვესესხო? ლევერის და ზეიკიძის დედა მოვტყან მართლა, ბევრჯერ გულუბრყვილოდ მიფიქრია, რომ გავიგო, თვითონ რას დებს და მე პირიქით დავდო, ვერ მოვიგებ-თქო? შანსი არ არის, ეგ იმისთვის არსებობს, რომ ვერ უნდა მოიგო, მგონი ტოტალიზატორებს წილში ჰყავთ ზეიკიძე. ათი საათია, თამაშები ერთ საათში იწყება, ბავშვის მასწავლებლის ფული აქვს ლალის, უნდა დავაბა. ეგ ასი დოლარი მომცეს და ორასს ვუბრუნებ დილას, არ დამიბრუნებია თუ რა, გუშინწინ არსენალის კუთხურებით მოვარტყი სამასი, პროსტა ზეიკიძე არ იდგა იქ. პატარა ჩხუბის და მოსალოდნელი ასპროცენტიანი, პროფესიონალური პროგნოზების შემდეგ ფული გამოვართვი იმ პირობით, რომ მეზობელს გავატან, რომელსაც საერთოდ არ ეცოდინება, ზეიკიძე ვინ არის. ლალის აჩემებული აქვს, შენ თვითონ გახადე ეგ კაცი თარსი, აბა, როგორ დავიჯერო, ჰამბურგში თამაშს ზეიკიძე აქედან როგორ თარსავსო. ისე მჭირდებოდა ფული, გავატარე, თორემ რომ მოვყვე, რა სიტუაციებში რა თამაშები აქვს გატეხილი, თმები დაგიდგებათ ყალყზე, ვისაც უნდა გავუმაზავ, ეგ თუ იქ არის, ბილეთს ვერ მოიგებს. რაც არის, არის, და მეზობელი, ქირით მცხოვრები ბიჭი გავაგზავნე, ამაზე ვერაფერი ვერ იმოქმედებს, მაგრად კიდია ფეხბურთიც და ზეიკიძეც. ჩავაწერინე ბლოკნოტში, ბილეთში იქ გადაიტანდა. მალე მობრუნდა, იქვე, ჩვენს სახლთანაა ტოტალიზატორი, ასლები მოიტანა. ჩავიხედე მაინც და რას ვხედავ: ოსასუნა ნაკლები უწერია. ცოტა ვიჩხუბე, მაგრამ ვეღარ ვენდე, მე თვითონ გამოვცვლი-მეთქი და გამოვედი სახლიდან სპორტულებით, როგორც ვიყავი, შლოპანცებით. ორ წუთში უნდა მოვტრიალდე. მობილური დამრჩა, მაგრამ აღარ შევბრუნდი, მობრუნება ცუდი ნიშანია. კორპუსების უკნიდან ჩაბნელებული მარშრუტით წავედი ასეთი ჩაცმული რომ არ დავენახე ვინმეს. ჩემს მეზობელს დავცინი, სპორტულებით რომ გადის ხოლმე ქუჩაში და მეც ესე არ ვარ, ორღობეში შინაურულად გამოტანტალებული. ტოტალიზატორს უკნიდან მივადექი, თან დარბაზში თუ არის კიდევაც ის, გვარი არ მინდა ვთქვა, ვერც გავიგებ.

დავაბრახუნე. ვერ გავაგონე. დაკეტვის დროა, ესენიც ლაგდებიან ალბათ. დარბაზში აღარავინაა, ძირს ბილეთები ყრია, სიგარეტის კვამლი ღრუბლებივით დაიზლაზნება, შუქი სანახევროდ ჩამქრალია, მოთამაშეები ბოლო პროფესიონალურ ტერმინებს ამბობენ, მეპატრონის ბიჭი კარებში დგას და ისე აცილებს მანიაკებს. ბევრჯერ მინახავს ეს სცენა. ამ დროს დანარჩენი თანამშრომლები უკანა ოთახში არიან გასული, ფულის ან კუშების დასათვლელად, ამიტომაც აქედან უფრო ადვილად უნდა გავაგონო.

რკინის კარებს ყური მივადე. ჩამიჩუმი არ ისმის. ამ დროს მოულოდნელმა ფეხის ხმამ შემაკრთო, მოვტრიალდი და ზეიკიძე არ დგას ბილეთით ხელში?! მოვასწარით, მე მგონიო. გავფუჭდი, მასწავლებლის ასი დოლარი გამახსენდა, მათემატიკის წიგნიდან ამოღებული, და მტკიცედ გადავწყვიტე სასწრაფოდ უკან გამომერთვა ფული ტოტალიზატორისთვის. კარებს მოადგა ვიღაც და რომელი ხარო, გამოგვძახა. ზეიკიძემ, მე ვარო. მე ხასიათზე აღარ ვარ. მაინც ბილეთში ჩავუხედე, სულ პირიქით უწერია ოსასუნას მაზი. გული მომეცა. კარი გაიღო, მე ცარიელი ბილეთი გამოვართვი სასწრაფოდ და კორიდორშივე, კედელზე დავიწყე შევსება, იმას რომ არ დაენახა, რას ვწერდი.

შევავსე, ოთხად გავკეცე და დაფარულად რომ უნდა გადავცე ნიკოს, უკანა, ჩვენს გამო გაღებული კარიდან სახეზე ნიღაბაფარებული ბიჭი შემოვარდა. ერთ ხელში იარაღი უჭირავს, მეორეში — ლიმონკა, დაწექით, თორემ აგწევთ ჰაერში ყველასო, იყვირა. მე იარაღი მომიშვირა, შიგნით, ოფისში შემაგდო. მოლარე გოგომ იკივლა და გონება დაკარგა. მეპატრონემ ხუთი ათასი მაქვს, წაიღე, ნუ დაგვხოცავ, რას გვერჩიო, თან მოლარეს მაგიდაზე მდგარი ჭიქიდან წყალი აპკურა: ნელი, ნელი, ნუ გეშინია, ჩვენები არიან, გამოიხედე, არ დამღუპო, ერთი-ორი სილაც გააწნა. ქალმა თვალი გაახილა და ისევ იკივლა, ოღონდ გონება აღარ დაუკარგავს. მძარცველმა, ჩუმად ეგდე, თორემ გაგიხვრიტავ თავს, გოგო, არ გესმისო? ქალი გაჩუმდა, მხოლოდ თავი მუხლებში ჩარგო და უხმოდ იშენდა ხელებს.

მე საგულდაგულოდ გაკეცილი ბილეთით, ზეიკიძემ რომ არ დაინახოს, ვდგეავარ დაბნეული და ჩემს შლოპანცებს დავცქერი. ყველაზე ძალიან რაც მეზიზღება, ჩუსტებით უბანში გამოსული მოქალაქეები. რა შარში ვარ, ვინმეს დანახვა კი არა, ჩემს თავს ვხედავ ტელევიზორში: მძევლად აყვანილი, ტიტველ ფეხზე ცერგაყრილი, შლოპანცებიანი კაცი, მოკლული თუ განთავისუფლებული — სულ ერთია — ყველა არხზე, მთელი ღამე და ხვალ მთელი დღე, ქვემოთ მინაწერი ტიტრით: შემვსები. არა, თუ არაფერი არ არსებობს, პირველად მივედი უკნიდან და ზეიკიძესთან ერთად, როგორია?! უხ, ლევერის დედას რომ შევეცი. ხომ ვეგდებოდი ეხლა სახლში, ტელევიზორთან, გამარჯვებული სახით, მათემატიკის პასტით აჭრელებული წიგნი და შიგნით გრძელი ასდოლარიანიც იდებოდა თავისთვის.

ყაჩაღს დავხედე. ფეხებზე ბოტასები აცვია ისეთი, ეს მკვლელი არ უნდა იყოს. თვითონაც მოთამაშეა უეჭველი, თითქოს საიდანღაც მახსოვს კიდეც. ფული, დროზე, თორემ ავფეთქდებით ყველანიო, იყვირა ბოტასებიანმა და ლიმონკას რგოლი მოაძრო. ერთდროულად ამოვიხვნეშეთ მძევლებმა. მეპატრონემ, ექვსი ათასი მაქვს, რატომ გვხოცავ, წაიღე და წადი წყნარად, ღმერთმა შეგარგოსო. სად არის ფული, დროზე! — იყვირა ისევ მძარცველმა და ზეიკიძეს მიმართა მოულოდნელად: ეს ლიმონკა შენ გამომართვი და გეჭიროს, რამე რომ გაბედო, გესვრი, ისედაც განწირული ვარო. ამანაც ხელი წაიღო გამოსართმევად, და ამ დროს მე ვიყვირე მოულოდნელად, მაგას არა, თუ გინდა, კბილებით დავიჭერ-მეთქი. ბოტასებიანი დაიბნა, ახლა მე მომიშვირა იარაღი. მომეცი, მე დავიჭერ, ზეიკიძეა, ვერ ცნობმეთქი? თითქოს მიხვდა, რასაც ვეუბნებოდი, მიუტრიალდა და შენ ზურგით დადექიო, უყვირა ზეიკიძეს. გეგონება გამინათდაო, მივხვდი, ეს ბიჭი აქაური მაზავშჩიკია, ამის თარსობა გამოცდილი აქვს, და მგონი ისიც მიხვდა, რომ დაიწვა. მეპატრონის პუტკუნა, გაუპარსავი ბიჭი, აქამდე ხელებაწეული რომ იდგა, ისე, რომ არავის უთქვამს, გამოცოცხლდა, ჯიბეში ჩაიყო ხელი და მგონი პატრულის ნომერი აკრიფა მალულად, თან დაიყვირა, რატომ გვკლავ, წაიღე ეს შვიდი ათასი და წადიო. ბოტასებიანი ხან მე მიყურებდა, ხან მიბრუნებულ ზეიკიძეს და ინიციატივას კარგავდა აშკარად. სიტუაციის განმუხტვა ისევ გამოცდილმა მევახშემ ნიკომ დააპირა: მოიცა, ნუ გვიშვერ ამ სასროლებს, ხომ იცი, წელიწადში ერთხელ ჯოხი ისვრის, უარს ხომ არ გეუბნებით, აიღე ეს რვა ათასი და წყნარად წადი, ვისაც შენი რამე შეშურდესო. თან ერთი ხელით ისევ ნელის დაუწყო თმებზე მოფერება: არაფერი აღარ ხდება, გამოიხედე, ჩემო სიხარულოო. გოგო არ ჩერდებოდა, უსიტყვოდ, ისტერიულად იშენდა ხელებს თავში. პუტკუნა ბიჭი ზიზღით უყურებდა მამის ახლად აღმოჩენილ საყვარელს და სახლში დაბერებული, უთოობით წელმოწყვეტილი, ისედაც ვენების გაგანიერებით დატანჯული დედა ახსენდებოდა. ერთი გაფიქრება ისიც იფიქრა, ნეტა გაუვარდეს იარაღი და ვითომ დასავით მზრუნველ მოლარე ნელის მოხვდეს მაგ უტიფარ თავშიო.

ყაჩაღმა იყვირა ისევ: თქვენ ხომ არ გაგიჟდით, ფული გამოიტანეთ, ჰაერში აგწევთ ყველასო. მე ისევ ფეხებზე დავიხედე. ქირით მცხოვრები მეზობელიც მაგარი თარსი გამოდგა, აბა, ანგარიშები რომ ვერ გადაწერა როგორ დავიჯერო. არადა, რომ მეცვას ფეხზე, ხელში ვეცემოდი ბოლო-ბოლო, მომენტებში ძალიან ადვილი მოსარევია ბოტასებიანი მაზავშჩიკი, მაგრამ — ზეიკიძე...

ნიკო ნელის ფერებას განაგრძობდა, თან, ფული სახლში მაქვს, აქვე, ორ ნაბიჯზე, ხომ იცით ჩემი სახლი, წასული არ ვიქნები, რომ მოვალო, თან ყველა აქ არ რჩება, ამათ ხიფათში ჩავაგდებ, მაგის კაცი ვარ მეო?

სახლის გაგონებაზე მე გავხდი ცუდად და იმას რა მოუვიდოდა, კანკალი დაეწყო ისეთი, ლიმონკა არ გაუვარდეს-მეთქი, ვიფიქრე. თქვენ დედებს აგიფეთქებთ, სეიფი გააღე ეხლავეო, ისტერიულად იყვირა ბოტასებიანმა აცახცახებულმა ბიჭმა. თავნის ქვეშ არის უეჭველი-მეთქი, გავიფიქრე და ისევ მივამსგავსე ვიღაცას. ცარიელი ბილეთებით გავსებული სეიფი რომ დაინახა, არც დააყოვნა, ლევერის და ჩემი ყლე დედას შევეციო, ამოიხავლა ბიჭმა და ჩაიკეცა.

გარედან პატრულის სირენები მოისმა, მერე მეგაფონით მკაცრად ნათქვამი, იარაღი დაყარე და ჩაგვბარდიო, ექოდ გამეორდა. ბიჭს ცალი თვალით გავხედე. მზად იყო ჩასაბარებლად. ისევ ჩემს შლოპანცებს დავხედე. ბედი არ გინდა? ზეიკიძე დგას გაუნძრევლად, როგორც უბრძანა თავნის ყაჩაღმა. მეპატრონემ თავჩაქინდრულ, გაფუჭებულ ყაჩაღს — მე არ ვიტყვი არაფერს, ნუ გეშინია, მოიტა, მაგ იარაღს სეიფში დავმალავ, ესენი რისი მთქმელები არიან, ყველას იცნობო. ბიჭმა თავი ასწია, ნიღაბი აღარ ეკეთა. ეგრევე გამახსენდა, ხიდისქვეშელია, იქ დგანან დღე და ღამე. თვალებში — შიში და დაბნეულობა ერთდროულად. მოლარე რიჟა თავში ხელების ჩუმად ცემას არ აჩერებდა. მეც რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე, ეს დაბრედილია, რა უნდა ურჩიო, ყველა შემთხვევაში ჩემს გადარჩენაზე გამომდის ფიქრი... თუ ჩაბარდა, 25 წელი, ყველაზე ცოტა, ხელში უჭირავს, მანამდე კი ერთ ხელში პისტოლეტი და მეორეში — ლიმონკა. მგონი ხვდება, რომ დაენძრა, და გამოსავალს ჩვენგან ეძებს ჯიუტად, შეშინებული ხან ერთს გვიყურებს, ხან — მეორეს, მე თვალს ვარიდებ, როგორც მიცვალებულს. მეპატრონეც ხვდება მის გატეხვას და მშვიდი ხმით იგივე გაუმეორა, მე არ ჩაგიშვებ და ესენი არ გაბოზდებიან, კაი ბიჭები არიან, ხომ იცნობ, აჩიკო, რა მოგვიდა, აზრზე მოდი, იქნებ მართლა მოვასწროთ, ეგენი დავმალოთ და გაუგებრობა მოხდა-თქო, ვიტყვით, დამიჯერე, ბიჭო, თავს ნუ დაიღუპავო.

გარედან ისევ მეგაფონის ხმა მოისმა, იმავე მოთხოვნით: დაგვნებდით, იარაღი დაყარეთ და ხელებაწეული გამოდითო. ეს მრავლობითი აღარ მევასა, ბევრნი თუ ჰგონიათ, შტურმი არ დაიწყონ, მე ისეთი ბედი მაქვს — ზეიკიძეს გავხედე. იატაკზე დახეთქებულ ჩემს გვამს, ცალ ხელში ბილეთით და ტიტველ ფეხზე შლოპანცებით იხილავს მთელი საქართველო დღეს ღამე ტელევიზიით, ყველა ნიუსში. ეს ხიდისქვეშა, თავნისქვეშა ყაჩაღი კი პატარძალივით მზად არის ჩასაბარებლად. მეპატრონეს უყურებს და ფეხზე დგება, ფერი არა აქვს. ლიმონკა რამდენწამიანია, კაცმა არ იცის, 1 დან 10-მდეა საერთოდ, მაგრამ 0-იც არსებობს, ხაფანგებისთვის ხმარობენ, მოძვრება თუ არა რგოლი, ფეთქდება. არადა, ფ-1-ია, ყველა მხარეს იშლება, ამ პატარა ოთახში დაგვფლითავს ყველას. კარებისაკენ სამი ნაბიჯია, რომ გავრისკო და მოვხიო, კედელს ამოვეფარებოდი, მაგრამ თუ 0-ია, ვერ ვასწრებ. საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. ბიჭი იატაკზე იჯდა, თავი ჩაქინდრული ჰქონდა.

გარედან მეგაფონის ხმა გაისმა: შვილო, აჩიკო, მე ვარ, არ დამღუპო, გემუდარები. სხვების ცოდვას ნუ დაიდებ. თავანი ჩაგიბარე, მიტანილია, არ დაგიკატავებია, შვილო! ეს ფრაზა ხმამაღლა თქვა, თითქმის იღრიალა, მტკივნეული სიამაყის რიხით: თავანი ხურუშას და პრუშკოს გავატანე, აჩიკო, მამა, გამოდი, ეს ხალხიც გაითვალისწინებს შენს კეთილგონიერებას, ცოტა ხანიც შეიძლება არ მოგიწიოს ჯდომაო. გაფიცებ, თუ რამე გწამს — და მეგაფონში ხმა აცახცახდა და გაჩუმდა, ეტყობა, გამოართვეს.

აჩიკო გამოცოცხლდა, აფორიაქდა, წამოდგა და მე მიყურებს. რა ვქნაო? მე ჩავბარდებოდი, ფუფლოს გადარჩენილი ხარ რაც მთავარია. შენი საქმე შენ იცი, სპეცნაზი მოსული იქნება უკვე, სადაც არის, შემოვლენ, შენ უეჭველი დაგბრიდავენ, ჩვენც ავფეთქდებით. რაც მთავარია, თავანი ჩაბარებულია-მეთქი — გამახსენდა მამის მთავარი აქცენტი, — დროც ცოტა გვაქვს. ყველა გასუსული გვისმენს, არ უნდათ, რამე აირიოს, მამისა და ჩემი

შეგონების მერე თითქოს გვნებდება. პისტოლეტი დაუშვა, მარცხენა ლიმონკიანი კი წინ გაწია.

დაიძახე, რომ გამოხვალ და ხელები მაღლა გეჭიროსო — მეგაფონმა დაიქუხა ისევ. მე რომ ისევ კარებისკენ ვზომავ მანძილს, თან ჩემს თავს ვხედავ ტელევიზორში, ხელებაწეული, სპორტულებით და ამ დედამოტყნული შლოპანცებით, ისევ აქ ჯობია მგონი, რაც იქნება, იქნება. ელვასავით გამკრთალ ფიქრებში ერთი მუდმივად მახსენებს, რომ ძირს უნდა დავწვე, სადაც არის გავარდება. ჩემს არაბუნებრივად დაგდებულ, დაფლეთილ გვამზე უფრო ცალი შლოპანცით რომ ვეგდები იქვე, პალესტინელი ტერორისტივით, ეს მაგიჟებს.

უცბად ზეიკიძემ ისკუპა და ნებადაკარგული ბიჭის სხეულს დაახტა, ხელებში ეცა. აფეთქების მოლოდინში, ძირს დავწექითთქო, ვიყვირე. ქალმაც იკივლა და გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა. წამით განათდა.

*

ტელევიზორში სპეცგამოშვებაა. აჟიტირებული ჟურნალისტი: „სპეცდანიშნულების რაზმი უკვე ამთავრებს სამუშაოს, მძევლები განთავისუფლებული არიან. ბოროტმოქმედი დაკავებულია. სასიკვდილოდ არავინ დაშავებულა. დაჭრილები საავადმყოფოში გადაჰყავთ. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. აი, ერთ-ერთი მძევალიც გამოჰყავთ!

მამაკაცს საკაციდან შიშველი ფეხი აქვს გადმოყოფილი. სანიტარი მის შლოპანცს დასწვდება და ფეხზე ჩამოცმას ლამობს. ოცამდე ნაირფერი მიკროფონი გადარჩენილ მძევალს პირში აქვს ჩათხრილი. კადრსმიღმა მდგომი ჟურნალისტები ერთმანეთს ასწრებენ და ერთი და იგივე შეკითხვა ისმის — რა მოხდა?

შემვსები თავის ფეხებს დახედავს და იღრიალებს: „ზეიკიძის დედას რო შევეცი!“

ბაღათერ არაბული

* * *

რისთვის ხმაურობ, მდინარის წყალო,
ან ჩქერალებით რისთვის ირთვები?
მაგ სილამაზის დღეებიც წავლენ,
შენც ჩახვალ ბარში და დამშვიდდები...
თავკომბალებით და ბაყაყებით
ამოივსება შენი ნაპირიც,
ან გაილევი, ან დამყაყდები,
ან ზღვა ჩაგყლაპავს გველეშაპივით...
და დაინთქმება შენი ჩქერების
ხმა და გუგუნი მთების მზარავი,
რადგან ბოლომდე ბედნიერება
ჯერ არ რგებია ქვეყნად არავის.

* * *

ლამპიონების გრძელი დერეფნით
ჩვენ ქალაქიდან გავყავდით გამზირს
და მონატრული ცა გათენების
იქ მიგველოდა სხვა სილამაზით...
ხოლო ქალაქი მაღალ სახლებით
დასახლებული იყო მინდორი,
მან არ იცოდა ჩვენი სახელი,
სულერთი იყო, სად წავიდოდით...
იგი ბორგავდა და ბრჭყვიალებდა
და ნებიერი, როგორც მორევი,
რომ ჩაეთრია, ახლა გარედან,
სხვებს მოუხმობდა განმეორებით...
იდგა ამაყად, სევდით ულევით,
გაუმხელელი ცოდვებით სავსე
და რეკლამების სამკაულები
უელვარებდა მაცდურად ტანზე.

* * *

ვინ გაგიყვანათ, მინდვრებო, ქარში?
ვინ დაგათოვათ თრთვილის ქვირითი?
შემოდით ჩემთან, ლოგინს გაგიშლით —
გაზაფხულამდე ტკბილი ძილისთვის...
თქვენაც, ხეებო, რომ გაწევთ სევდა
და სუსტი ტანი გიჩანთ შიშველი,
შემოდით ჩემთან, შემოდით ჩემთან,
ყველას უკლებლივ გეპატიჟებით!

* * *

ო, შადრევანო, რას შეგადარო,
შენ — სევდიანი ბაღების მკვიდრო...
ოდეს ციური გერქვა ავდარი,
უკვე წასულა ის ჟამი, ის დრო...
დღეს კი გედივით ყელაწეული
და მოწკრიალე, როგორც ეჟვანი,
დგახარ და მზეზე გითრთის სხეული —
სავსე წუხილით და კაეშანით. . .

* * *

აყვავებული ტყემლების ნისლო —
საგაზაფხულო დედოფალო ამ ველ-მინდვრების,
საცდუნებლად რად მიხმობ ისევ,
ან ქალწულებრივ რისთვის ირთვები?..
ოდეს კვლავ გახსოვს უკვე ჩავლილი,
გაბრუებული მზისგან ალერსით,
ქარს გაყოლილი შენი ყვავილი,
შენი განძარცვა შესაბრალისი...

* * *

... დიდი ხნის მერე გეძახი, გეძებ,
უკან არაგვი მომდევს ბღავილით,
და კვლავ შრიალებს მოწმაოს მთებზე
ზეცა — ძალიან ლურჯი ყვავილი...
მაშინ კი თოვდა, თოვდა დათვისში,
ჩვენ ვბრუნდებოდით თეთრი ცხენებით,
შენს ხელებს ჰქონდა სითეთრე ნისლის
და ნისლს — სითეთრე შენი ხელების...
ახლა სადა ხარ? გეძახი, გეძებ,
როცა არაგვის ჭალებს ჩავივლი
და კვლავ შრიალებს მოწმაოს მთებზე
ზეცა — ძალიან ლურჯი ყვავილი...

შეყვარებული ქარები

... საითკენ მიჰქრი, ტრამალის ქარო, —
თავისუფლების სულო ძლიერო,
ან რა სევდიან სიმღერას ჰგალობ —,
სამწუხაროს თუ საბედნიეროს ?!
იქნებ გადაღმა მთების, ქედების,
შეყვარებულის წუხილით, ზარით
და კვლავ შეხვედრის დაიმედებით
მიგელის უცხო ტრამალის ქარი ...

* * *

ლამპიონების ცივი თვალებით
თავისკენ გითრევს, როგორც მორევი,
ქალაქი, სავსე იდუმალებით,
ქალაქი, სავსე უცხო ჭორებით...
შენ კი ოცნებით სხვა მხარეს ელტვი,
როცა ჩაუვლი ქუჩებს, აივნებს
და შურთ მინდვრების ყვავილის ბედი
მაგ ჭრელ კაბაზე ნაქარგ ყვავილებს...

* * *

(ციკლიდან „დაცლილი სოფლები“)

დაშლილ ღობეზე იჯდა მამალი —,
(მამალი, რა თქმა უნდა, ამალით!)
ამალა ყველა მსხვილ-მსხვილ, წვრილ-წვრილით,
ყველა დედლით და ყველა წიწილით ...

ბევრის მომსწრე და ბევრის მომთმენი,
იქვე ღობესთან იჯდა თოთელიც ...

თოთელს გულ-ღვიძლში ეჯდა მაცილი,
თოთელს შვილ-ბოლო ჰყავდა გაცლილი ...

....
დაშლილ ღობეზე იჯდა მამალი,
(მამალი, რა თქმა უნდა, ამალით!)

* * *

... მე ვბრუნდებოდი შენი გულისთვის,
უბელო ცხენის ჭენებ-ჭებებით
და შემოდგომის ყვითელ ბურუსში
ენაცვლბოდნენ ჭალებს ჭალები ...

შორს კი, ღამეულ ნისლით და ქარით,
დასახლებული ქედები იწვნენ
და ფოთოლივით ფერმკრთალი მთვარეც
იდუმალებით ავსებდა სივრცეს.

* * *

ვინ რთავს ამ ღამეს ვარსკვლავებით?
ან ვინ რთავს მთვარით?
რომ ყველას ცისკენ გაგვირბის თვალი...

ვინ აფერადებს ამ სივრცეებს ფერით ულევით?
ანდა ზეცისკენ რად ილტვიან ჩვენი სულები?..

იქ ვინ მიგველის? ვინ მოგვიხმობს?
ან რა გვიზიდავს?
რად გვეჩქარება დაღლილ მგზავრებს
გასვლა მიწიდან?..
...
ვინ რთავს ამ ღამეს ვარსკვლავებით?
ან ვინ რთავს მთვარით?
რომ ყველას ცისკენ გაგვირბის თვალი...

* * *

(ეტიუდი)

უკვე გამოჩნდა დილის ნაპირი —
მთებს დაფენილი რიჟრაჟის კალთა,
დაშხეფებული თეთრი ქაფივით
ცისა და მიწის აღსავლის კართან ...

დაჩნდა მინდორიც უცხო არილით,
გამოღწეული ღამის ნისლოვნებს,
სადაც ალვისხე დგას ისარივით,
თითქოს ზეციდან გადმოისროლეს. . .

შორს კი, დაცვარულ სივრცის დასავლით,
მწვანე ბურუსად ტყეები გაკრთნენ
და დილის მნათმა სხივთა სავსავი
გადააფინა რიჟრაჟის კალთებს...

ქართლი

გათენდა, თითქოს გუნდი ქედნების
შემოფრთხიალდა ზეცის სარკმლიდან
და მზემ ქარიან ქართლის ქედებზე
ათიათასი სხივი დაჰკიდა. . .
შეგუბებულმა და შეჩვეულმა
ამ ამინდების უამინდობას,
გამოიტანა ყაყაჩოები
და გამოჰფინა მზეზე მინდორმა...
ისევ აჩქამდა მდინარის სიმიც,
ირგვლივ დაირხა საოცარ ხმებად
და განბანილმა მაისის წვიმით
ნამის მძივები აისხეს მთებმა.

* * *

კვლავ გავექცევი დღეებს უნათლესს,
ავსილს ამ ქვეყნის ჯგლეთით, ხმაურით
და ბნელ ღამეებს მივაყურადებ,
სად ხმები მესმის არაქაური...

იქ, იმ უხილავ სამყაროს მიღმა,
როს ვარსკვლავები კრთიან წვეთებად
სხივის კიბეზე მიღოღავს ვიღაც
და აღსავლისკენ მიეხეტება...

თან მიაქვს სული, როგორც სასჯელი,
სული, რომელიც მტვერში ახვეტა
და აღებს მთვარეს — ზეცის ფანჯარას,
სხვა სივრცეებში გადასახედად...

* * *

იყავი ბრძენი, ჩემო ტკივილო,
და უფრო მშვიდად გეჭიროს თავი,
უკვე ჩავლილზე არ იჩივილო,
ან მძიმე ხვედრზე არ დაგცდეს ავი...

შენ უფრო მწარე ბედიც გექნება
და სიხარულის ჟამიც — უცვლელი!
დღეები — სავსე მხოლოდ ეკლებით,
დღეები — სავსე ვარდის ფურცლებით...

ხელის მოცარვის გელის დილეგიც
და შთაგონების წამიც — ფერადი!
დღეები — სავსე მხოლოდ ჩრდილებით,
დღეები — სავსე სხივთა კელაპტრით...
...
იყავი ბრძენი, ჩემო ტკივილო,
და უფრო მშვიდად გეჭიროს თავი,
უკვე ჩავლილზე არ იჩივილო,
ან მძიმე ხვედრზე არ დაგცდეს ავი...

* * *

ნისლის ბურუსის მკრთალ სამოსელით
და მოხასხასე ცათა ფერივით
ჩანან მინდვრები — ქართლის დროშები,
დასასვენებლად ძირს დაფენილი ...

ირწევა მტკვარი და მთათა გასწვრივ
გადაჭიმულა ვით სხივი მთვარის,
აწვიმს მთების ჩრდილს
და მტკვარსაც აწვიმს,
მთვარის სხივივით ცახცახებს მტკვარი ...

შორს ფრინველივით ისვენებს ჯვარი,
ცისკენ მზირალი ნისლით და ქარით
და მღვრიე ღრუბლით დაცვარულ ღამეს
უელავს ელვის კლაკნილი ბზარი ...
...
ნისლის ბურუსის მკრთალ სამოსელით
და მოხასხასე ცათა ფერივით
ჩანან მინდვრები — ქართლის დროშები,
დასასვენებლად ძირს დაფენილი ...

ევა

ევა, შენ ახლა სახლში ბრუნდები,
სად ბალიშებზე სევდით ციმციმებ
და შენი კაბა — თეთრი ღრუბელი,
ბნელ კარადაში ჩუმად იძინებს...
ათასი ფიქრი გეხვევა დარდად,
წევხარ და თრთოლვით სასთუმალს ავსებ,
კვლავ ეფერები ოცნებით ადამს
და მთვარის შუქი დაგნათის თავზე...
ხოლო ადამი (საბრალო ევა!)
სხვისი ვაშლით და ალერსით ტკბება
და მოღალატის შხამი ერევა
იმ პირველყოფილ ბედნიერებას...

სოფელში

(ეტიუდი)

ხევის გაღმა
ვიღაც ახმახს,
სადაც ბალახიც კი გახმა,
ცხენი ამოჰყავდა აღმა ...

ხოლო იმ მგზავრს, უკვე დაღლილს,
უკან მოჰყვებოდა ძაღლი,
ცოტა ზემოთ ჩანდა სახლიც ...

სახლის წინ კი ვიღაც მზისებრ,
ანდა როგორც სხივი, ისე
მომზირალი იდგა გზისკენ ...

გემი ბერმუდის სამკითხედში

ტალღების შრეზე შრიალებს ბინდი
და ქარში გემი ირწევა კენტად,
ამ ყიამეთში საითკენ მიდის?
ანდა ღამიდან ვის უხმობს ნეტავ?

ცა კი კრიალებს, როგორც ყინული —,
სავსე სხივების ცივი სავსავით,
გზააბნეული და განწირული
მიემართება, მიდის დასავლით ...

არგაგონილი ზათქით, ხმაურით
ზღვამ იგუგუნა და იწიაქა,
არც მგზავრი ვინმე, არც მეზღვაური,
ყველანი შთანთქა ბნელმა წიაღმა...

და გემბანს შავი ჩრდილი ებურვის,
სადღაც შორიდან ისმის ზარის ხმა, —
ის დაცლილი და მიტოვებული
დასაღუპავად მისდევს ქარიშხალს!..

* * *

(ძველი რვეულიდან)

რუსუდან, შენი ღიმილით ავსილს
ამ იმერეთის ღამეებს ვითვლი
და მთვარე — ოქროს ლამაზი თასი,
მე მომაქვს შენთვის და ხელზე მითრთის . . .

მე მომაქვს სევდის დამღლელი მძივი
და ჩემს ცხოვრებას ცრემლებად ვკიდებ,
მთვარე კი —შენი გულივით ცივი,
გვირილასავით უჭირავთ მინდვრებს. . .

* * *

ჩვენ კვლავ ვბრუნდებით ღამის დერეფნით
ქალაქში, სადაც მკრთალად დაფენილ
სინათლეს ისევ მოუჩანს ტერფი
და მდუმარეა სუყველაფერი ...

სდუმან ვარდები და ზამბახები,
სად მოუცვია ღამე იდუმალ
დუმილს და სდუმან ირგვლივ სახლები
და ჩათვლემილი ქუჩებიც სდუმან ...

და ჩვენ ვბრუნდებით თითქოს უხილავ,
ჯერაც გაუვალ გზებით ვბრუნდებით
და უძოს თავზე უცხო წუხილად
ჩამოძენძილი ჩანან ღრუბლები ...

* * *

მალე ჩაქრება ზეცის სარკმელი,
დადგება ჟამი გრძელი ზამთრების,
მოდი, ძვირფასო, უკანასკნელად,
ამ ერთ სიყვარულს ნუ დამზარდები ...

მოდი მილეულ მთვარის კელაპტრით,
ფოთოლდამჭკნარი სხივთა იელით;
ოდესღაც ჩემთან, ვით კლეოპატრა,
თქვი, ხომ იყავი შენც ბედნიერი?..

განქარდა ჟამი ვარდისფურცლობის,
ის თეთრი ცხენიც აღარ ჭიხვინებს
და გასავლელი გზები უცნობი
ჩამოღამდნენ და ჩამოიჭირხლნენ...
. . .
ნისლით ივსება ზეცის სარკმელი,
მზეც დასავლისკენ მისდევს ტრამალებს;
მოდი, ძვირფასო, უკანასკნელად
და შენი თმების ბინდში დამმალე...

მეუღლეს

ამღვრეულია უკვე ამინდი,
მხრებზე მოისხეს ნისლი ქედებმაც, —
ვერ მოგიტანე ქართლის მინდვრები,
ვერ ჩამოვკიდე ოთახს კედლებად ...
ვერც ღამეული მთვარის ნათელი
გამოვამწყვდიე სახლის წყვდიადში
და ვერ აგინთე სანთლად ზამთარიც
თავის სიწმინდით და სიდიადით.
ამოვსებული ტალღების ბორგვით
ვერ დაგიფინე კართან ზეფირი,
ვერ მოგილალე ირმების ჯოგი,
ვერც ვარსკვლავები, როგორც შეგპირდი ...
. . .
ამღვრეულია უკვე ამინდი,
მხრებზე მოისხეს ნისლი ქედებმაც, —
აყვავებული ქართლის მინდვრები
ვერ ჩამოვკიდე ოთახს კედლებად ...

* * *

ისევ ვბრუნდები და შენს კარებთან
ვდგავარ დაღლილი და მოთენთილი,
იღვრება შუქი სადღაც გარედან
და მოჩანს გუბე — წვიმის წერტილი...

შრიალებს ბაღი ჩრდილდახუნძლული,
სადაც ოდესღაც ალერსს მაჩვევდი
და შენი სახლი, როგორც კუნძული,
განათებული იდგა ფანჯრებით...

ქსნის ხეობაში

ქსნის ხეობაში ხავსად ჩაფენილ
და ჩამოჩქერილ ნისლთა სურნელით
როცა სავსეა სუყველაფერი,
შენს შესახვედრად მოვეშურები...

ო. ზეციერის წილხვედრო, ქართლო,
მკვდრეთით აღმდგარი დგახარ ფენიქსი, —
უპირველესად მხოლოდ შენ გმადლობ
ჩემი წარსულის გადარჩენისთვის ...

კვლავ ზეციური შუქით ივსები,
უსპეტაკესი ცათა ფერივით
და დროშებია შენი ნისლები
საგაზაფხულოდ გადმოფენილი...

* * *

შავად გაფოთლილ ქართლის გორებზე
კვლავ ვიღაც გვიხმობს ქარის საყვირით,
თავზე დაგვბრუნავს ზეცის მორევი
და ღამეს უჩანს მთვარის საყელო ...

მივდივართ, შორით ჩნდება სურამი
ზურაბის დედის მარადი სევდით,
ასე ლამაზი და სასურველი
ცას შემსხვრეული ქედების ხედი...

მივდივართ, ქარზე წამოშლილ მინდვრებს
თითქოს ეზრდებათ ფრთები ალვების,
რომ ღამღამობით ცაში აფრინდნენ
მოცულნი უცხო იდუმალებით ...

გასაუბრება ლომთან

თამაზ ხმალაძეს

სალამი, ლომო,
ჩვენ შევხვდით კიდევ,
მდუმარედ წევხარ გალიის შიგნით,
დაღლილი თავი თათებზე გიდევს
დამძიმებული დარდით და ფიქრით....
სევდით იხსენებ დროს უნეტარესს,
ტყეებს მოხატულს ფერად ღრუბლებით,
ახლა კი ჩუმად ვუმზერთ ერთმანეთს,
ერთმანეთს ჩუმად ვესაუბრებით...
ჩვენ ერთნაირი გვერგო სვე-ბედი,
მეც მიმაჯაჭვეს დროის გალიას
და ამ დღეების გისოსებიდან
გაქცევას ვცდილობ, დიდი ხანია ...
შენც შორ სივრცეებს იმედით ზვერავ,
ზოგჯერ მოგივლის ბრძოლის სურვილი,
უდაბნოსავით მცხუნვარე მზერას
კედლებს მიაბჯენ ორლესულივით...
სიბრაზით ბრდღვინავ ფაფარაშლილი
და ელვასავით უვლი გისოსებს,
მაინც არ არის შენი საშველი
მაინც არავინ არ შეგიცოდებს...
ბრუნდები უკან ლომის აჩრდილი,
(ვინ განუგეშებს ბედის მომჩივანს?!)
განწირული და მწარედ დასჯილი
ისევ კუთხეში წვები მორჩილად...
სალამი, ლომო,
ჩვენ შევხვდით კიდევ,
მე — გარეთ, შენ კი — გალიის შიგნით,
დაღლილი თავი თათებზე გიდევს
დამძიმებული დარდით და ფიქრით...

მამელუქები

(ციკლიდან „აფრიკული დღიურები”)

თქვენ აქ ხართ სადღაც,
თქვენი ხმაც მესმის,
ბრძოლის ყიჟინაც მწვდება ფიცხელი,
ვინც ბედის მწარე სამსალა შესვით
და ამ ცხელ მიწას ჩაეფიცხენით...

აქ,
სადაც მომსწრე მრავალ ომების,
პირამიდები კვლავ ზეცას ჩხვლეტენ
და სადაც მძლავრი ფარაონები
ეჯიბრებოდნენ თვით მაღალ ღმერთებს...

გამახსენდებით უცხო მხარეში
და მწარე სევდა დამეუფლება;
თქვენ, ქართველებად დაბადებულნო
და გარდაცვლილნო მამელუქებად!..

ეგვიპტე

ბებერ ეგვიპტეს ადევს მგლისფერი,
ზეცა იმღვრევა და იქუფრება
და ფარაონთა ეტლების მტვერი
გაქვავებულა ცაში ღრუბლებად...

... ფლოქვებქვეშ ქვიშას გააქვს წკარუნი
და მიჰკაფავენ მტრის ჯარს უკლებლივ,
სხვის კარს იცავენ უსახლკარონი
და უმამულო მამელუქები...

წინ კი ... ათასი შუქი ინთება,
თითქოს სამყარო მოჩანს აქედან
და ჩვენ ავდივართ პირამიდებზე
იმ გარდასულში გადასახედად...

ეპიტაფია

შენ ჩემს საფლავზე
სანთლად უნდა ენთო, ბალახო,
ხვატი იქნება თუ ზამთარი მოთოვს ყინვებით
და ყველას შენი ერთგულება უნდა ანახო
ჩემზე წუხილით, ჩემზე ფიქრით და მოთმინებით ...

ეტიუდი

თოვლი დაბერდა და იცრემლება,
ისევ უმატა ირგვლივ ჟინჟვლამაც,
მალე ყვავილი — შუქი ტყემლების
შემოენთება ველს გარიჟრაჟად ...

და ბალახების მწვანე ღვართქაფი
გადითქრიალებს მინდვრებზე ისევ,
საგაზაფხულო ციდან ღმერთებიც
კვლავ გადმოჰფენენ მაისის ნისლებს...

და აიშლება შავად მდინარეც,
ბორგვით ჩაუვლის ძილგამკრთალ ნაპირს
და გრძელი ზამთრის ძილით მძინარი
ისევ აავსებს ხეობას ხაფით...
. . .
თოვლი დაბერდა და იცრემლება
ისევ უმატა ირგვლივ ჟინჟვლამაც,
მალე ყვავილი — შუქი ტყემლების
შემოენთება ველს გარიჟრაჟად ...

ნუ გამოიყვანთ ბავშვებს ზღაპრიდან

გამომაძევეს მე ბავშვობიდან,
გადამიკეტეს კარი ურდულით,
დღეს შურით ვუმზერ სათამაშოებს,
როგორც დასჯილი და გაქურდული...

იქ დამრჩა ხმალი, ზღაპრის ქვეყნების
დევთან ბრძოლისთვის რომ მისახსოვრეს,
ახლა კი იმ დევს, ძალით თუ ნებით,
შევგუებულვარ, როგორც ახლობელს...

მისთვის ვარსებობ და მისთვის ვცხოვრობ,
მწარე ჭაპანსაც მისთვის ვეწევი;
მე ჩემი თავის ჩრდილი ვარ მხოლოდ,
ჩემი თავის და ბედის შეწევნით...

სასახლე ჩემი ქცეულა ყორედ,
ჩაჟანგულია ჩემი გუთანიც
და ცხრათავიან დევის შემყურეს
აღარაფერი მაქვს საკუთარი ...

თითქოს ჩამქრალა მომავლის შუქიც,
(ვაი, სოფელო, ბინდით მოცულო!)
დევის ნებაზე ვცეკვავ და ვბუქნავ
და ღმერთთან დევის ენით ვლოცულობ ...

წაშლილა ათას ფერით ნაფერი
ის დრო — დიდების მზით რომ ბრწყინავდა,
შთამომავალთან და წინაპართან
ერთხელ ხომ უნდა წარვსდგე პირნათლად ...

გადარჩენის და დახსნის სიმბოლოდ,
ოცნების სხივით სავსე ნაპირთან,
ზღაპრის დევებთან მაინც იბრძოლონ,
ნუ გამოიყვანთ ბავშვებს ზღაპრიდან!..

სად მიხვალ, ქარო...

სად მიხვალ, ქარო,
ამ ნისლიან მთების გადავლით?
საითკენ გიხმობს ელვის შოლტით ღამის ავდარი?..

იქ ვინ მიგელის იმ შორეულ ცათა გადაღმა?
ან ვინ დაგვხვდება იმ სივრცეში როცა გადახვალ?..

სად თოვლიანი მწვერვალები წამომართულან
ვინ გელოდება?
ვინ გაგიშლის ბინდის სასთუმალს?

ან სად ტრამალთა იდუმალი ელავს სინათლე
ვინ შეგიფარებს უკვე დაღლილს?
ვინ მოგინატრებს?..

ვინ დაგიამებს სულს და სხეულს ქვებზე
დაფლეთილს?
თქვი, ვის მოუხმობ მაგ ბუკებით და დაფდაფებით?..
...
სად მიხვალ, ქარო,
ამ ნისლიან მთების გადავლით?
საითკენ გიხმობს ელვის შოლტით ღამის ავდარი?..

პეტრაკეს ოცნება

ლაშა იმედაშვილი

დასასრული
დასაწყისი №35,37

 პეტრაკემ თანხა დაასახელა.

— ძალიან ბევრია. – თავი გააქნია სირაბიმ.

— მეც მაგას არ ვამბობ. – აჰყვა პეტრაკე. – ამ ფულმა სულ დაკარგა ძალა, ეს რუსები კიდევ გვპირდებიან და არაფერს გვაძლევენ.

— მოგვცემენ, აბა რას იზამენ, შემოვლენ თუ არა ანგარიშს გაგვისწორებენ. – მეგობრის დაწყნარებას შეეცადა ოღადელი.

— მანამდე რა ვქნა, თავი რით გავიტანო, ისე გამიჭირდა, მობილურიც კი გავყიდე.

— მობილური როგორ გაყიდე?! – სირაბის დაეტყო, რომ ეს ამბავი აშკარად არ ესიამოვნა.

— რა უნდა მექნა, რედაქციის ჯამაგირი ერთი დღეც არ მყოფნიდა, ადამიანურად მაინც ვისადილებ. – უკან არ დაიხია პეტრაკემ.

— ხომ გაგაფრთხილე მობილურს ხელი არ ახლო მეთქი!

— მახსოვს, მაგრამ სარფიან წინადადებაზე უარი ვეღარ ვთქვი, არ მომეშვა, სული ამომიღო.

— ფულის სიყვარული დაგღუპავს შენ, პეტრაკე... ვის მიყიდე?

— ტუფა ზოთანაშვილს.

— ისაკ ზოთანაშვილის ცოლს, ხომ?!

— ეგრე გამოდის...

— ან იმას რად უნდა, მაგის გამოგონებამდე ერთი ოთხმოცდაათი წელი მაინც არის დარჩენილი, ვერც იხმარს და ვერც ვერაფერი.

— თამაშები ვასწავლე, კინაღამ გაგიჟდა, ხელიდან არ გაუშვია, თანაც გავაფრთხილე, არავისთან არაფერი ეთქვა.

— მაგ იმედით იყავი, რომ ტუფა შენ ნამუსს შეგინახავს. – ხელი ჩაიქნია ოთადელმა. – აკუმულატორი რომ დაუჯდება მერე რას აპირებ, ქვეყანას შეგიყრის.

— ჩემსას ორი ცალი მოყვება, ჩინურია.

—რა კრიჟანი კაცი ხარ, საკუთარი თავისთვის წესიერი მობილურიც გენანება.

— კი არ მენანება, საჭიროებას ვერ ვხედავ. – თავი იმართლა პეტრაკემ.

— როცა იქნება ის მეორეც ხომ გამოვა წყობიდან?

— მაგას ოთხი დღე მაინც დაჭირდება, ყველაფრზე ნაფიქრი მაქვს, ამ დროისთვის შემოჭრის ამბავიც გაირკვევა და მეც დავასრულებ ოცნებას.

— ჯერ არ გიოცნებია?

— ვცადე, მაგრამ არაფერი გამოდის.

— ის ხომ კარგად გამოგივიდა, აქ რომ მომახვედრე?!

— მე ჩვენს მოძმე ერზე ვოცნებობდი, აქ ყოფნა ვერც კი წარმომედგინა.

— კარგად გაიხსენე რას აკეთებდი იმ დროს, იქნებ ზუსტად გაიმეორო და მაშინ გამოვიდეს. – ურჩია სირაბიმ.

— მახსოვს ნახევრად ვიჯექი, უფრო სწორედ წამოწოლილი ვიყავი, ხელში მეჭირა სოლჟენიცინის როგორ მოვაწყოთ რუსეთი და ვკითხულობდი, იქვე საკმაოდ მაღალ ხმაზე ვუსმენდი შნიტკეს ვარიაციებს ალტოვის მინიატურებზე, აი სწორედ ამ დროს გამიტაცა ოცნებამ.

— ეგენი აქ საიდან მოგიყვანო, ჯერ დაბადებულებიც არ არიან. – სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა სირაბიმ.

— მიმსგავსება შეიძლება.

— რა მიმსგავსება? – ვერ მიხვდა ოღადელი.

— ასოციაციურად მიმსგავსება. – დააზუსტა პეტრაკემ. – აი, მაგალითად, სოლჟენიცინის მაგივრად გერცენი, შნიტკეს მაგივრად დვორჟაკი, რაღაც ელემენტების მოძიება შეიძლება, რჩება წამოწოლა და სიწყნარე.

— მერე?! გამოვა რამე?!

— ვეცდები... უკვე ვცდილობ. – მოიბოდიშა პეტრაკემ.

— არ ვიცი, როგორც გინდა ისე დამაბრუნე უკან, იცოდე, მე აქ შენი მიმხედავი არ ვარ, მეყო, რაც გათრიე. – გაბრაზდა სირაბი და თანამებრძოლს ზურგი აქცია.

— ეგ კიდევ საკითხავია, ვინ ვინ ათრია. – ჩაიბურდღუნა პეტრაკემ.

— რა ბრძანე?! – მკვეთრად შემოტრიალდა სირაბი და დამფრთხალი მერაძე მზერით გაზომა.

— არაფერი... ისე... ჩემთვის...

— მაინც? – არ მოეშვა სირაბი.

— გარაჟი თქო. – პეტრაკეს ხმაში მუდარა გაისმა.

— გარაჟის უფროსს მე მივხედავ. – მიუხვდა სირაბი.

— წავალ მაშინ მე, ვიოცნებებ. – დაიმორცხვა მერაძემ.

— წადი და გახსოვდეს, ოცნებას კაცი არ მოუკლავს.

ეჰ, პეტრაკე, პეტრაკე, შენ ყოფილხარ... თბილისურად გაურითმა სირაბიმ. არადა, რა კარგად იწყებოდა ყველაფერი, რა ხალხში ვტრიალებდი, მივდი – მოვდიოდი, ერთი ორჯერ გადავფრინდი კიდეც, დახვედრა გინდა, პრესა გინდა, პურის ჭამა გინდა, დროსტარება მაგათმა იციან თუ იციან, გაიფიქრა ოღადელმა და თვალი მიადევნა ოთახიდან გასულ მერაძეს, რომლის პატარა ნაბიჯების ბაკუნი, დერეფნიდან შემოსული ხმაურის გამო თითქმის აღარ ისმოდა.

საქმის მიხედვაში სირაბი გულისხმობდა ვერელ შაქროს.

ეს ვერელი შაქრო, როგორც ადვილი მისახვედრია, ცხოვრობდა ვერაზე და იყო სრულიად ხელიდან წასული კაცი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სხვა ნვრილმან რამეს ისიც ემატებოდა, რომ შაქრო ნეკროფილიის მძიმე სენით გახლდათ შეპყრობილი და ღამ – ღამობით გაცივებულ მიცვალებულებთან სიყვარულობანას თამაშით ერთობოდა, რა თქმა უნდა, ავი თვალისგან მოცილებულად.

ვერელ შაქროს სრულ სიმარტოვეში, მაინც არ გამოდიოდა ეს საქმე, რადგან თბილისის სამიცვალებულოს, იგივე მორგს, ზედამხედველი ჰყავდა, ვინმე ვლასა მამაცაშვილი. თავისმხრივ, არც ვლასა ბრძანდებოდა სუფთა სულის ადამიანი, უპატრონო მიცვალებულს, ზოგჯერ პატრონიანსაც, ყველაფერ ფასეულს პარავდა, მცირე ნაწილს თავისთვის იტოვებდა, დიდი წილი კი ბოლშევიკების სალაროში შეჰქონდა, როგორც ამ პარტიის ერთგულ კაცსა და ყურმოჭრილ მონას. სწორედ ვლასასგან გახდა ცნობილი, რბილად რომ ითქვას, შაქროს უცნაური ახირების შესახებ ჯერ ბოლშევიკებისთვის, შემდეგ კი სირაბი ოღადელისთვის. იმათაც მეტი რა უნდოდათ და, რომ იტყვიან, ვერელი შაქრო ყურებით ჰყავდათ დაჭერილი. სწორედ მას დაევალა ალფეზ გოგელიას ლიკვიდაცია, რა თქმა უნდა, თავის ბიჭებთან ერთად.

გადაწყდა, რომ ეს აქცია რაც შეიძლება ხმაურიანი უნდა გამოსულიყო, დახოცილიყო ხალხი, მათ შორის გოგელიაც, ქალაქში გამეფებილიყო შიში და პანიკა, რაც მოსახლეობას ახალი მთავრობის უუნარობას დაანახებდა, ამით ბოლშევიკებს სალაპარაკო მიეცემოდათ და ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოსაც ჩირქს მოსცხებდა.

დადგა ნანატრი დღე.

თავდამსხმელებმა თავთავიანთი ადგილები დაიკავეს.

გამოჩნდა ტაატით მომავალი, ხალხით გადავსებული ტრამვაი, რომლითაც მგზავრობდა კიდეც გვარდიის გარაჟის უფროსი, ალფეზ გოგელია. ჯგუფის წევრმა დათიკო ჭიაბრიშვილმა ნაბიჯი წინ წადგა, ეს ოპერაციის დაწყების ნიშანი იყო. ამ დროს აფეთქდა ორი ბომბი, ერთი ტრამვაის წინ, ერთიც ბორბლების ქვეშ. ტრამვაი შუაზე გადასკდა და გვერდით გადაწვა. აფეთქების ტალღამ ხალხი ვაგონიდან გადმოჰყარა, ირგვლივ მდებარე მაღაზიების შუშები ჩაიმსხვრა, მთელი მოედანი ცეცხლის ალში გაეხვა, დამფრთხალი ხალხი უმისამართოდ გარბოდა, ნაწილი იქვე მდგარ ფოსტის კანტორას აფარებდა თავს. ისეთმა პანიკამ მოიცვა ყველა, რომ ვერავინ შესძლო იმის გარჩევა თუ რამდენი თავდამსხმელი მოქმედებდა, ან საიდან ისროლეს ყუმბარები, ან საით გაიქცნენ თავდამსხელები.

დაჭრილთა რიცხვი ოციდან ორმოცამდე მერყეობდა, ათიოდე მგზავრი და გამვლელი ადგილზე გათავდა. დასახიჩრებულები თბილისის სხვადასხვა საავადმყოფოებში გადაანაწილეს, მათ შორის იყო სასწაულად გადარჩენილი გოგელიაც, რომელიც წმინდა მიხეილის სამკურნალოში მიიყვანეს, ბედის ირონიით სწორედ იქ, სადაც სული დალია სატანამ და საიდანაც დაიწყო კიდეც ეს ამბავი.

სირაბი ოღადელი მოვლენების ასეთი განვითარებით უკმაყოფილო დარჩა

დავალება სანახევროდ შესრულდა. მართალია, ალფეზის გადარჩენის იმედი თითქმის აღარ არსებობდა, მაგრამ ჯერ მაინც სუნთქავდა და სიცოცხლეს ეპოტინებოდა, გადარჩენილს კი ვინ იცის, იქნებ აღარც დადგომოდა ეს ამბავი ენაზე.

მოკლედ, დრო არ ითმენდა.

რუსეთის საელჩომ, სირაბის ძალისხმევით, მოსკოვში დეპეშა აფრინა

საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, რომ ჩვენ მას დიდი ძალისხმევის გარეშე მოვუღებთ ბოლოს. ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ აჯანყება ბორჩალოს მაზრაში, აფხაზეთში, აჭარაში, დუშეთის მაზრაში. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ საქართველოს ჯერიც დგას, საჭიროა სულ პატარა ძალისხმევა, რათა ბათუმი ბაქოს შევუერთოთ. კიდევ ერთხელ გაცნობებთ ამას და ველით განკარგულებას.

პასუხმა არ დააყოვნა:

წავიკითხეთ პირველი დაშიფრული წერილი. გპასუხობთ, ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, თქვენს ჩანაფიქრს შეიძლება დამღუპველი შედეგები მოყვეს, ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ გრთავთ ნებას. მოსკოვი, როგორც პროლეტარული რევოლუციის ცენტრი, მიისწრაფის ყველგან დაამყაროს საბჭოთა სისტემა, და თუ საჭირო გახდა სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებშიც სამხედრო ჩარევაზეც არ დაიხევს უკან, მაგრამ ამავე დროს მოსკოვი კატეგორიული წინააღმდეგია მოვლენების ფორსირებისა, ჩვენი მიზანია, შევქმნათ ისეთი ვითარება, რომ მსხნელებათ მოვევლინოთ საქართველოს. აგვიხსენით, რატომ ჩქარობთ.

ამას, როგორც მოსალოდნელო იყო, მოჰყვა ახსნა-განმარტება:

ოპერაციის ზაფხულში დაწყება საფრთხის ქვეშ დადგა, ინფორმაციამ გაჟონა, შესაძლოა საქართველოს მთავრობის ყურამდეც მიაღწიოს, რაც საშუალებას მისცემს სრულად მოემზადოს შეიარაღებული მოსალოდნელი თავდასხმისთვის. ველოდებით თქვენს განკარგულებას.

განკარგულებამ ერთი დღე დააგვიანა, თუმცა მაინც მოვიდა.

გაერთიანებულმა თათბირმა განიხილა სერგო ორჯონიკიძის მოხსენება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთვის ბრძოლის შესახებ. ერთხმად და საიდუმლოდ გადაწყდა, გარიჟრაჟზე საქართველოს საზღვრების გადალახვა. ყველაფერი მომზადებულია.

სირაბი ოღადელი კმაყოფილი დარჩა, როგორც იტყვიან, გულიდან ლოდი მოსწყდა. ახლა, ძალიანც რომ მოენდომებინა ალფეზ გოგელიას ისტორიის შეცვლა, მაინც არაფერი გამოუვიდოდა. ყველაზე მეტად გულს ის უმაგრებდა ოღადელს, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში მისი მონდომებაც იყო გარეული, რა თქნა უნდა, პეტრაკეს მონდომებასთან ერთად.

ამ საიდუმლო მიმოწერის შესახემ თბილისელთა უმეტესობამ არაფერი იცოდა.

ისააკ ზოთანაშვილიც თბილისის მაცხოვრებელი გახლდათ და სულ სხვა რამით ბრძანდებოდა შეწუხებული. საქმე იმაშია, რომ ტუფასთვის ნაყიდ მობილურის აკუმულატორმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალა დაჰკარგა. ისაკა ამ ყოველივეს გამყიდველის უნამუსობას და ნივთის უხარისხობას აბრალებდა. სწორედ ამის გარკვევას ცდილობდა მილიციაში და სხვა საქმეებით გადატვირთულ მორიგეს დახმარებას თხოვდა.

— გაგონილა?! განა ეგრე შეიძლება, ნამუსი აღარ არის?! ადრე ეგეთ რამეს ვინ იკადრებდა, ვაჭარი ვაჭრობდა, მყიდველი კიდევ საქონელს არჩევდა, რამდენჯერ ვერ მორიგებულან კიდეც, მაგრამ სიტყვას ფასი ჰქონდა, ეხლა კიდევ რეები ხდება, ჩვენც ხალხი ვართ, ქუდი ჩვენცა გვხურავს...

— რას უჩივით, ამხანაგო, ისაკ? – შეაწყვეტინა მორიგემ, რომელსაც უკვე გვარიანად ჰქონდა მობეზრებული მოქალაქის საუბარი.

— ხველას, ასთმა მაწუხებს, რა... – ვითომ იხუმრა ზოთანაშვილმა და რადგან მორიგემ ამ ხუმრობის ვერაფერი გაიგო, იქვე დაამატა. – რას უნდა ვუჩიოდე?! უხარისხო საქონელი მომყიდეს და სათანადო ანაზღაურებას ვითხოვ.

— თქვენ მოგყიდეს?

— ჩემს ქალს... ანუ მე, რადგან ფული მე გადავიხადე.

— ვინ მოგყიდათ?

— ერთმა აფერისტმა.

— იცნობთ?

— როგორ არა, ბოლო თვეებია ჩვენს სამეზობლოში ცხოვრობს.

— ჰოდა, რადგან გცნობებიათ იქნებ მორიგდეთ კიდეც. – გამოსავალი მონახა მორიგემ.

— ვნახე რო?! ეგრე ამბობენ, რუსეთის საელჩო მფარველობსო, ეხლაც იქა ყოფილა.

— სახელი, გვარი...

— ისაკ ზოთანაშვილი.

— თქვენი არა, იმისი.

— ჰო, იმისი... ძალიან უცნაური რამე ჰქვია, უხერხულიც კია სახელმწიფო დაწესებულებაში მაგის გამეორება.

— სხვანაირად არაფერი გამოვა.

— მაშინ ვიტყვი, პეტრაკე ქვია, გვარად კიდევ მერაძეა.

— რა ნივთი მოგყიდათ? – წყნარად იკითხა მორიგემ, რომელზეც მერაძის სახელმა სათანადო ზემოქმედება ვერ მოახდინა, რაც იმას ადასტურებდა, რომ აღნიშნულ საქმეს უგულოდ თუ ზერელედ უდგებოდა.

— აბა მე რა ვიცი. – მხრები აიჩეჩა ისაკამ.

— რაღაც არეულად ლაპარაკობ, ამხანაგო და სახელმწიფო მოხელეს ტყუილუბრალოდ დროს ართმევ.

— ევროპიდან ჩამოტანილი ქალური შტუკაა. – თქვა ისაკამ და ხელით წარმოსახული ნივთი მოხაზა.

— პორტსიგარია?

— პორტსიგარის მეტი რა მინახავს, ეგ უფრო ვიწროა და გრძელი, პენსნეს ჩასადებს გავს. – დააზუსტა მოქალაქე ზოთანაშვილმა.

— მოტანილი გაქვს?

— სახლშია, მაგიდაში ჩავკეტე, რომ მერე კიდევ შარი არ მომდოს, თქვენ წაახდინეთო.

— უნდა მოიტანო.

— იქნებ თქვენ წამობრძანდეთ და ადგილზე ნახოთ.

— ყველასთან რომ სახლში ვიაროთ სად წავა. – იუარა მორიგემ და სავარაუდოდ ნაწყენიც კი დარჩა ამგვარი თავხედური შეთავაზებით. – ეგ ნივთი უნდა მოიტანო და განცხადება დაწერო, მერე ვნახოთ.

— სხვანაირად არ გამოვა?

— არა. – მოჭრა მორიგემ.

ისაკ ზოთანაშვილი ადგილიდან წამოდგა და კარისკენ გაემართა. გზადაგზა რაღაცას ლაპარაკობდა, თავისთვის ბურდღუნებდა, ისე როგორც გამოხატავს უკმაყოფილებას საკუთარ თავზე გაბრაზებული და იმდგაცრუებული ადამიანი.

— ჩემი კნეინას დღეობა მაინც არ იყოს, ყისმათი არ გინდა, რაღა დღეს უნდა მომხდარიყო ეს ოხერი.

იდგა თორმეტი თებერვლის დილა.

ღამით, ლორეს ნეიტრალურ ზონაში განლაგებულ ქართულ შეიარაღებულ ძალებს თავს დაესხნენ საბჭოთა რუსეთის სამხედრო შენაერთები.

თბილისში ყურიც არ შეუბერტყავთ, თითქოს არც არაფერი ხდებოდა.

ქართულ დრამატულ თეატრში იმართებოდა ბენეფისი ცნობილი მოსკოველი არტისტისა. უნდა დადგმულიყო სუმბათაშვილის დრამა სამშობლო. ეს ნაწარმოები ქართული სცენის ხშირი სტუმარი გახლდათ და მეტად პატრიოტული სულით იყო განმსჭვალული. პიესის მოკლე შინაარსი თხელყდიან პროგრამაში იყო ასახული და შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ნაწარმოები მოგვითხრობს სპარსელების მიერ ტყვედ წაყვანილ ქართველ დედოფალზე და ქართველ გმირზე, რომელიც მტრის ბანაკში გადავიდა.

ამ პროგრამებს სრულიად უსასყიდლოდ ურიგებდნენ თეატრთან შეკრებილ ბილეთიან თუ უბილეთო მაყურებელს, რომელიც შენობაში შესვლას ლამობდა და ათასგვარ ხერხს იგონებდა ამ მიზნის მისაღწევად.

წარმოდგენის დაწყებას სამიოდე წუთი უკლდა, როდესაც დარბაზში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გამოჩნდა თანხმლებ პირებთან ერთად. ხელში მასაც, როგორც სხვებს, ის პროგრამა ეჭირა, რომელიც, თუ შექმნილ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, უფრო თბილისელთა უდარდელობის საბუთს ჰგავდა, ვიდრე მორიგი წარმოდგენის მცირე განმარტებით ბარათს.

სპექტალმა საუცხოოდ ჩაიარა. მობენეფისე მანდილოსანმა მშვენივრად შეასრულა თავისი როლი, რა თქმა უნდა, საკუთარ ენაზე. ამის გამო მას გაუმართეს დიდი ოვაცია და მიუძღვნეს მრავალი საჩუქარი. ყველანი შეპყრობილები იყვნენ მადლიერების გრძნობით დიდი რუსი მსახიობის მიმართ, რომელმაც ქართველი დედოფლის განსახიერება არჩია, სხვა როლების შესრულებას.

სწორედ ამ სასიხარულო ფაქტის გამო, სადღესასწაულო ვახშამიც კი გაიმართა თეატრის სარდაფში განლაგებულ რესტორანში. იყო სადღეგრძელოების სმა, რუსული გენიისა თუ ნიჭის ქება – დიდება, ორი ერთმორწმუნე ერის საუკუნო მეგობრობის არმოშლის დღეგრძელობა და ნათელი მომავლის იმედი.

მეორე დილით გამოსულ გაზეთებში თბილისელ მოქალაქეთა უმეტესობამ ამ ფაქტის ამსახველი სრული რეპორტაჟი იხილა, მხოლოდ ერთ ადგილას, ისიც შეუმჩნეველი შრიფტით გამოყვანილი ტექსტი შემდეგს იუწყებოდა:

საქართველოს საზღვრებთან ომი დაწყებულა.

ეტყობა ბრძოლა სასტიკი ყოფილა, როგორც გვითხრეს ყოფილა კრიტიკული მომენტები, როცა ბატარეა თითქმის ხელთ იგდეს მტრებმა. ჯარისკაცებს დიდი სიმხნევე გამოუჩენიათ, როგორც სჩანს მტერი მოდიოდა საკმაოდ სქელი კოლონით. მარა მოიერიშეთა ტალღები იცვლებოდა თოფების მწყობრი სროლით და მტყვიამფქვეველთა მუშაობით. ქართველთა შეიარაღებული ძალები პატარ პატარა რაზმებად იყო დაშლილი და ცალკეულ პუნქტებში ჩაყენებული. მოულოდნელი თავდასხმის შედეგად ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა დიდი დანაკლისი განიცადეს.

ამ მცირე ცნობას დიდი მითქმა – მოთქმა არ მოჰყოლია. მხოლოდ მეოთხე დღეს მოიცალა მთავრობამ და დამფუძნებელი კრების დეპუტატები იხმო. მთავრობის თავმჯდომარე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს სომხები დაესხნენ თავს. ამ ეჭვებს ადასტურებდა გენერალი ჯიჯიხია, რომელიც მთავრობის თავმჯდომარეს მუდამ თან ახლდა და ყველაფერზე კვერს უკრავდა.

— მართლა სომხების ხელი ურევია ამ საქმეში? – კიდევ ერთხელ იკითხა მთავრობის მეთაურმა.

— წყალი არ გაუვა, მაგათი დაწყებულია ყველაფერი, ვერაფრით მოიშალეს დიდ სომხეთზე ოცნება. – თქვა ოდიშელიძემ და ისე გაიღიმა, რომ კაცი იფიქრებდა სომხეთის შემოტევა სათვალავში ჩასაგდები არც კი იყო.

ჯიჯიხიამაც, როგორც ყოველთვის, თავი დააქნია.

ამგვარი, რა თქმა უნდა, მცდარი ინფორმაციით შეიარაღებულმა მთავრობის ხელმძღვანელმა სიტყვა ითხოვა და, როგორც ჩვევად ჰქონდა, ყოველგვარი დასტურის გარეშე ჩამოაყალიბა საკუთარი სათქმელი.

მოქალაქენო!

განმეორდა 1918 წლის ამბავი, სომხეთი კვლავ ვერაგულად დაგვესხა თავს. ერევნის დღევანდელი მთავრობა სდუმს და ცდილობს ქვეყანას ამცნოს, რომ აქ ომი კი არა ადგილობრივი გლეხთა აჯანყებააო. მაშ ვისია ჩვენი ჯარების წინ მდგომი ცხენოსანი და ქვეითი პოლკები, არტილერია და ტყვიამფრქვეველები? ვინ მოიყვანა რეგულარული ნაწილები ბორჩალოს მაზრაში? ერევნიდან ეხლავე სთხოვენ რუსეთს მფარველობასა და შველას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენლობისა, რომ მოსკოვი ამ საქმეებში არ ერევა, რომ ის გადაჭრით სდგას 7 მაისის ხელშეკრულების ნიადაგზე. ერევანს დარჩა ერთადერთი ბაქო, სადაც დიდი გავლენით სარგებლობენ საქართველოდან გაქცეული ბოლშევიკები, თავისი ხალხისა და ერის აშკარა მოღალატენი, ერევნიან ავანტურის წამქეზებელნი.

სიბეცის ნიმუშიც ასეთი უნდა.

ხარობდა პეტრაკე.

ლაღობდა სირაბი.

შრომა და გარჯა ორივეს დაუფასდა. რუსეთის საელჩოში ახალი, ოღონდ ძველებურად დაშიფრული ტელეგრამა მოვიდა, სადაც სამოქმედო გეგმასთან ერთად მერაძე და ოღდელიც იყვნენ ნახსენები. ბევრი ფიქრი აღარ იყო საჭირო, ნათლად ჩანდა, აქაც შეუმჩნევიათ მათი მონდომება და სათანადო ყურადღებაც გამოუჩენიათ.

რევკომის შემადგენლობაში დატოვეთ რამდენიმე ადგილი ფედერალისტებისა და მემარცხენე მენშევიკებისთვის, გარდა ამისა გირჩევთ შეიყვანოთ თათარი, სომეხი და აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელი, თორემ სხვანაირად რევკომი კოჭლობას დაიწყებს. ჟორდანიას შეცდომა ის იყო, რომ მისი მთავრობა თითქმის სულ გურულებისგან შედგებოდა და ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოში არ სარგებლობდა მხადაჭერით, მენშევიკების ეს შეცდომა ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ. ასევე მოგიწოდებთ, რევკომში დაასაქმოთ პეტრაკე მერაძე და სირაბი ნოღდელი, როგორც საერთო საქმისთვის გულანთებული მებრძოლნი.

ქართველ მოღალატეთა სია ყოველთვის შთამბეჭდავია ხოლმე. ყველას ჩამოთვლა ძნელიც არის და აღბათ შეუძლებელ საქმეს წარმოადგენს, მაგრამ გამორჩეულთა დავიწყებაც არ იქნება მართებული.

მამია ორახელაშვილი.
ბუდუ მდივანი.
ფილიპე მახარაძე.
შალვა ელიავა.
მიხეილ ოკუჯავა.
ლადო დუმბაძე.
ომარ ფაეკი.
ამაიაკ ნაზარეტიანი.
ალექსანდრე გეგჭკორი.
ბესო კვირკველია.
სირაბი ოღდელი.
პეტრაკე მერაძე.
სერგო ორჯონიკიძე.

დასამალი აღარაფერი იყო.

ვერაფერი შველოდა ბოლშევიკების ალაგმვას, არც გაზეთების დახურვა, არც ცემა – ტყეპა, არც პატიმრობა. საკვირველი ამბები ხდებოდა თბილისში, პატიოსანი კაცი ვეღარავის ენდობოდა, ყველა საკუთარი თავის გადარჩენის გზას ეძებდა. ქალაქში არ მუშაობდა არც ერთი ტრამვაი, ირგვლივ გამეფებული იყო ბნელეთი, სიჩუმე და მყუდროება, აქა – იქ მოსჩანდა სანთელი, მხოლოდ სამხედრო სასწავლებელთან შეკრებილიყო ხალხი და მგზნებარე ორატორს უსმენდა.

ეს ორატორი გახლდათ პეტრაკე მერაძე.

— ამხანაგებო! საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც იშვა მენშევიკების კონტრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ხალხის მასების აჯანყების ცეცხლსა და კვამლში, აღფრთოვანებულ სალამს უძღვნის დიდი პროლეტარული რევოლუციის ბელადს. საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ სამი წლის მანძილზე ნასაზრდოებმა მენშევიკურმა მთავრობამ შექმნა საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო აპარატი მშრომელთა დასათრგუნად, მაგრამ ხალხის მასების უკანასკნელი აჯანყება ძლევამოსილი აღმოჩნდა. საქართველოს დასახმარებლად ისწრაფიან ევროპის რეაქციის ძალები. გაერთიანებული შავი ღაშქრის დაწოლისთვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ შეერთებულ წითელ სოციალისტურ ღაშქარს შეუძლია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციის, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობის ქვეყანა არ დაგვტოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს.

— სწორია. – გაისმა აქეთ იქიდან.

— შეხედე, რა დიდებული სიტყვა თქვა. – აჰყვნენ სხვებიც.

— ადრე უნდა გვექნა.

— სამი წელი, სამ საუკუნედ გაგვიხადეს.

— რუსეთის გარდა ვერავინ გვიპატრონებს.

— სცდებით ახალგაზრდებო. – ხმა ამოიღო საშუალო ასაკის მამაკაცმა, რომელიც მიტინგზე შემთხვევით მოხვედრილს გავდა, მაგრამ თავის შეკავება მაინც გაუჭირდა. – არავინ არის ამ ქვეყნად ევროპული კულტურის მფლობელი, რა ბედნიერი დღეები დაუდგებოდა საქართველოს ევროპასთან დაძმობილების შემდეგ, მოვიდოდნენ სწორუპოვარი მრეწველნი და კომერსანტები, მასწავლებლები და ინსტრუქტორები, აღორძინდებოდა ქვეყანა, გაძლიერდებოდა სახელმწიფო, შეიქმნებოდა ძლიერი რეგულარული ჯარი, ახლა კი უცადე როდის გათავდება კოსმოპოლიტიკოსებისა და ფანტაზიორების მიერ შექმნილი დომხალი.

— გაიყვანეთ!

— გაათრიეთ!

— დაჰკარით!

— მუშებს ჩააბარეთ!

— ხელი არ ახლოთ! – ხმა ამოიღო პეტრაკემ. – გაუშვით, ილაპარაკოს, ოცნებას კაცი არ მოუკლავს.

ატყდა სიცილი, სტვენა და შეძახილები. მამაკაცმა გაცლა ამჯობინა. მიდიოდა და უკან მიყვებოდა ეს სიცილი, როგორც საკუთარი ქვეყნის მივიწყებული დიდება.

საქართველოს მთავრობა ჯიუტად არ იჯერებდა საბჭოთა რუსეთის ვერაგობას. იმის მაგივრად, რომ იარაღი აეღოთ ხელში, ფუჭი მიმოწერით იყვნენ დაკავებულები და ომის დაწყების მიზეზებს ადგენდნენ, ის კი ავიწყდებოდათ, რომ რუსეთისთვის მიზეზად ცუდი ამინდიც გამოდგებოდა, სამხედროთა თავგასულობაც და უბრალო ადამიანური შურიც.

ჩვენებს მაინც არ სჯეროდათ :

რას ითხოვთ ჩვენგან? გვაცნობეთ ის მიზნები, რომლის გამოც დაიწყეთ ომი ჩვენს წინააღმდეგ, შესაძლოა ჩვენ შევძლოთ სისხლისგვრის გარეშე მოლაპარაკება.

რუსები მხრებს იჩეჩავდნენ, რას გადაგვეკიდნენ ეს ქართველები, რაღა ყველაფერს ჩვენ გვაბრალებენო, არადა ღმერთი რჯული ჩვენი ხელი არ ურევია ამ საქმეშიო.

მოგვიანებით, როცა რუსეთმა, ქართველების დახმარებით გამარჯვებას მიაღწია, მიკრძალებულად აღიარა, მართალია ჯარები შევიყვანე უცხო ქვეყანაში, მაგრამ ამბოხებულ მშრომელებს დავეხმარე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეშიო.

შემდეგ წელში, ისევ ქართველების ხელით გამართულმა, უკვე თითქმის ხმამაღლა, ტროცკის პირის თქვა, არავითარი აჯანყება არ ყოფილა, მუშებისა და გლეხების დაუკითხავად შევედით საქართველოში, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობას მაინც არ შევხებივართო.

ხუთიოდე წლის მერე დასამალი აღარც არაფერი ჰქონდათ, დიახ, რუსეთი დაბრუნდა საქართველოში, ოღონდ ახალი რუსეთიო, უთქვამს რევოლუციის ბელადს და თანაპარტიელისთვის მხარზე დაუკრავს ხელი, რაც ოდითგანვე კეთილგანწყობის დასტურად ითვლებოდა. ისიც აჰყოლია და უფროსის გულის მოსაფერებად დაუმატებია, ჩვენ რომ არ დაგვეპყრო საქართველო, ვინმე სხვა აუცილებლად დაიპყრობდაო. მერე გასცინებიათ და რუსული ხალხური სიმღერა წამოუწყიათ, რა თქმა უნდა, დაგუდულ ხმაზე, რათა გარჯისგან გადაღლილ, შორიახლოს მძინარე მშრომელებს არ გაჰღვიძებოდათ.

ვისაც ამ მიმოწერის, ტყუილი ფიცი – მტკიცის არ სჯეროდა, ხელში იარაღი ეკავა და საკუთარ მიწას ისე იცავდა, როგორც შეეძლო. გულანთებული მოხალისეები საბრძოლო რაზმებში ეწერებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საელჩო ჩვეულ პროპაგანდას ეწეოდა, ამ ომს აბიაბურებდა და ქართველებს უღრუბლო მომავალს ჰპირდებოდა, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობისა თუ მონობის ქვეშ.

ამ პროპაგანდაში ერია პეტრაკე.

ამ დაპირებებს იძლეოდა სირაბი.

უმეტესობას მაინც არ სჯეროდა მათი გულრწფელობის.

სახალხო საქმეში მოკლე ცნობა გამოჩნდა.

მთელს ევროპაში სახელგანთქმული ჩვენი თანამემამულე, ცნობილი ანარქისტი და მეგობარი ამ დღეებში გარდაცვლილი კროპოტკინისა, ვარლამ ჩერქეზიშვილი სამობილიზაციო კომიტეტში გამოცხადდა და თოფი მოითხოვა რესპუბლიკის დაცვაში მონაწილეობის მისაღებად. ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ ჟამად 75 წლისაა.

აქვე იმასაც გაიგებდა ადამიანი, რომ ფრონტისკენ სამხედრო სკოლაც მიემართებოდა.

ქუჩა სავსე იყო ხალხით. მოწაფეებს, მშობლებსა თუ ნათესავებთან ერთად, საკუთარი მასწავლებლებიც აცილებდნენ: ვასილ ბარნოვი, იპოლიტე ვართაგავა, არჩილ კეკელიძე, შიო შიუკაშვილი, ანტონ ნატროშვილი, ნიკოლოზ სულხანიშვილი, ია კარგარეთელი. ამას ემატებოდა სამხედრო საქმის მასწავლებლები: გენერალი კვინიტაძე, გენერალი ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი ჩხაიძე.

შენაერთები ვერის ბაღს გასცდნენ და გავიდნენ რუსთაველზე. აღელვებულ საზოგადოებაში კარგად მოსჩანდა ვასილ ბარნოვი სათვალითა და ჭაღარა წვერით, მიწას ჩაშტერებული ფიქრს ჰყავდა დატყვევებული.

რას ფიქრობდა?

ერთის მხრივ გული დარდით ევსებოდა საქართველოს ავბედობის გამო, მეორის მხრივ სიამაყე მართავდა წელში, რომ მისი აღზრდილი მხედრები სამშობლოს დასაცავად მიემართებოდნენ.

რომელიღაც მაღალი შენობის მოაჯირიდან ხმამაღალი მოწოდება ისმოდა. ვიღაც შოთა რუსთაველის პარტიაში გასაწევრიანებლად ეპატიჟებოდა საზოგადოებას და სხვადასხვა შეღავათებს ჰპირდებოდა ხსენებულ პარტიაში შესვლის შემთხვევაში.

რა დროს პარტიაა?

რამ გაასულელა?

ნუთუ ამ ქვეყანაში არ ცხოვრობს?

იყო აღშფოთება და იყო საყვედურიც.

ყველა და ყოველთვის იხსენებს სამხედრო სკოლის თავგანწირვას, უდრეკელობას, მოვალეობის პირნათლად შესრულებას, გმირობას. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლე უნდა იყოს და არის კიდეც, მაგრამ სიმართლის ღალატი იქნება თუ სხვა რამეც არ ითქმება.

კაცობაში ვერ შესული ახალგაზრდები ომისთვის მომზადებულები არ იყვნენ. არ გააჩნდათ ამინდის შესაფერისი სამოსი. საზაფხულო ტანსაცმელზე თხელი, სითბოს მოკლებული, ხელოვნური იტალიური ქსოვილისგან შეკერილი პალტოები ეცვათ, რომელშიც ერთი ღერი მატყლიც არ ერია. დღისით, სანგრებში ყოფნისას ტანსაცმელი წყლით იჟღინთებოდა, ღამით ფიცრებად ქვავდებოდა და ამის გამო იარაღის მოხმარებას თუ მოძრაობას თითქმის შეუძლებელს ხდიდა

თავი იჩინა ქართული ჯარისადმი ზერელე დამოკიდებულებამ. გვარდიის ბრძოლისუნარიანობა ხანმოკლე აღმოჩნდა. იყო ღალატიც და გვარდიელთა მასიური გადასვლა მტრის მხარეზე. გვარდიელთა შტაბის უფროსი ვალიკო ჯუღელი ცხენდაცხენ დასდევდა საკუთარ გვარდიელებს, აგინებდა, მათრახით სცემდა, მაგრამ უკან მაინც ვერ აბრუნებდა.

იყო საბოტაჟის ფაქტებიც. ქართველი მფრინავები საფრენი აპარატების ზეთის გარეშე დატოვეს, როგორც ამბობდნენ, შეძენა დავიწყნოდათ. მიუხედავად ამისა, ქართველი პილოტები ვახტანგ მაყაშვილის მეთაურობით მაინც ახერხებდნენ გაფრენას, აწარმოებდნენ სადაზვერვო სამუშაოებს და ხშირად, თუკი ამის საშუალებას მტერი იძლეოდა, ბომბავდნენ კიდეც მათ პოზიციებს.

მოკლედ, ომი შედგებოდა სხვადასხვა გმირული ეპიზოდებისგან, ამა თუ იმ მებრძოლის პიროვნული თვისებების წყალობით მიიღწეოდა დროებითი წარმატება, რომლის შენარჩუნება ჭირდა, რადგან ომს აკლდა ერთიანი ხელმძღვანელობა. მიუხედავად სავალალო მდგომარეობისა საქართველოს მთავრობა მაინც არ ენდობოდა საქმის მცოდნე სამხედროებს და ყველაფერს საკუთარი შეხედულებით წყვეტდა. საბრძოლო მდგომარეობის ყოველი განხილვა ჩხუბითა და დავიდარაბით მთავრდებოდა, ხშირი იყო ერთმანეთზე გაწევა და იარაღზე ხელის გაკვრაც. ასე იყო მაშინაც, როცა თბილისის ამბები წყდებოდა. გვარდიის ერთ - ერთმა ხელმძღვანელმა, ალექსანდრე დგებუაძემ გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილს შეკამათებისას ამ უკანასკნელს სულ კონტრევოლუციონერი და მეფის გენერალი უძახა.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ჯარში ხულიგნები ერიენ, მაგრამ ეს იყო უმცირესობა, რუსის ჯარში ნამსახური ოფიცრების მეთაურობით. საზოგადოდ ჩვენ დაგვღუპა ამნაირმა ოფიცრობამ, მას არ ჰქონდა არავითარი პატრიოტიზმი, ყველაფერს უყურებდა გამორჩენის თვალსაზრისით, ძარცვავდნენ პოლკებს სისტემატურად, ერთი სიტყვით, ეს რუსეთუმე ხალხი იყო ნამდვილი რისხვა ჩვენი საქმისთვის. ქართული ოფიცრობა იყო გაზრდილი რუსის ჯარში და სკოლაში, იყო ამავე დროს რუსის ორიენტაციის, მხოლოდ არა ბოლშევიკურ, არამედ თეთრის, ჩვენთან მოდიოდა უმთავრესად ბოლშევიზმის სიძულვილით და არა თავისუფლების სიყვარულით.

ასე ფიქრობდა მთავრობის თავჯდომარე.

ამას ემატებოდა ქალაქში შექმნილი განუკითხაობა, ათასი მოარული ჭორი და აქედან გამოწვეული პანიკა, რომლის დანერგვაში აქტიურად მონაწილეობდნენ პეტრაკე მერაძე და სირაბი ოღადელი, რა თქმა უნდა, რუსეთის საელჩოს სხვა თანამშრომლებთან ერთად.

ეს ყოველივე რასაც მოიტანდა ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს.

მოწინააღმდეგეთა რაოდენობა სულ ცოტა სამჯერ მაინც აღემატებოდა დედაქალაქის დამცველთა რიცხვს. ამის გამო საქართველოს მთავრობამ დედაქალაქის დატოვების გეგმა მიიღო. ამის მიზეზად სახელდებოდა ხუთი გარემოება:

- გვარდიის მიერ ორხევის პოზიციების მიტოვება.
- თელეთის ქედზე სიმაღლის მოწინააღმდეგის ხელში გადასვლა.
- მარჯვენა ფრთაზე მტრის კავალერიის გამოჩენა.
- მოწინააღმდეგის მიერ მარცხენა ფრთის შემოვლა, ავჭალის დაკავება, მცხეთისკენ მიმავალი გზის გადაკეტვის საფრთხე და ქალაქის ალყაში მოქცევის საშიშროება.
- რეზერვის არქონა.

→

ვითარება მართლაც ძალიან მძიმე იყო, მაგრამ არა კატასტროფული. ყველა ამ არგუმენტის გაქარწყლება თავისუფლად შეიძლებოდა, თანაც ნათელი იყო, რომ ქალაქის დატოვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გატეხავდა ჯარსაც და მოსახლეობასაც, მაგრამ სამხედროებს, როგორც უკვე ითქვა, არავინ უსმენდა.

ქართული ჯარი გასცდა რუსთაველის გამზირს, ბოზარჯიანცის ქარხანას, დიდუბეს და წამოეწია მცხეთისკენ მიმავალ ერთეულებს. ჯარს უკან, დაცვის მიზნით მიჰყვებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი, თეთრ ჩოხებში გამოწყობილი ასეული.

ასე იარეს ბათუმამდე.

ბათუმში გაურკვეველი მდგომარეობა სუფევდა. სადგური, ქუჩები, მოედნები სავსე იყო ჯარით. წესრიგის აღსადგენად და მორალის ასამაღლებლად გენერალმა კვინიტაძემ აღლუმის ჩატარება ბრძანა. დაფაცურდნენ უფროსები და წესრიგში მოიყვანეს ნაწილები, რომლებიც ვაჟკაცურად გამოიყურებოდნენ. საზოგადოება აღფრთოვანებით და იმედის თვალით შესცქეროდა მწყობრად მიმავალ ნაწილებს. ასეთი ჯარებით ნახავთ ბედის შემობრუნებას – ისმოდა აქეთ – იქიდან.

საქართველოს დამფუძნებელი კრების ბოლო სხდომაც ბათუმში გაიმართა. სწორედ აქ გადაწყდა, რომ მთავრობა ქვეყანას დატოვებდა, გაიხიზნებოდა დასავლეთ ევროპაში და იქიდან შეეცდებოდა საქართველოს გათავისუფლებას, ოღონდ ახლა უკვე პოლიტიკური ზომებით, თანაც იმ ევროპელთა დახმარებით, რომელთა განწყობაც სადღაც შეშფოთებასა და აღშფოთებას შუა გაიბნა თუ გაუჩინარდა.

მოკლედ, სხვა ენაზე რომ ითქვას, მთავრობამ თავს უშველა. ერთადერთი რაც ამ თავყრილობამ შეძლო, იმ დადგენილების მიღება გახლდათ, რომელიც ცოტა ნაგვიანევი კი ჩანდა, მაგრამ სულ არაფერს მაინც სჯობდა.

მას შემდეგ, რაც თებერვალში შექმნილმა რევოლუციურმა კომიტეტმა საკუთარი სახელმწიფოს ხელისუფლების დასამხობად საბჭოთა რუსეთის არმია მოიწვია საკუთარ სამშობლოში, ქვეყნის პარლამენტმა ისინი მოღალატეებად გამოაცხადა. კერძოდ, დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით რევოლუციური კომიტეტის სრული შემადგენლობა უკლებლივ აღიარებულ იქნას საქართველოს ხალხის მოღალატეებათ, ჩამოერთვათ მათ მთელი ქონება და გამოცხადნენ საქართველოს კანონთა მფლობელობის გარეშე.

კარის გაჯახუნებას გავდა ეს ყოველივე.

სხვა არაფერი მიუღიათ, გემზე თუ ეჩქარებოდათ.

იტალიური გემი იდგა თითქმის შუა ზღვაში. უზარმაზარი გემი თითქოს მეთვალყურედ ჰყავდათ დანიშნული სხვა პატარა გემებს. ისიც იდგა და ზემოდან დასცქეროდა მათ. ამ პატარებში ერია ქართველებისთვის განკუთვნილი ვესტა და მარია. ნაპირზე უამრავი ხალხი ირეოდა, ყველანი გემზე მოხვედრას ლამობდნენ. საკუთარი ბარგი – ბარხანის დატოვება არ სურდათ, ამიტომაც ნაპირს მომდგარი ნავები ტვირთით ივსებოდა და გემისკენ მიემართებოდა. ირგვლივ ისმოდა ვირა და მაინა. საღამომდე გრძელდებოდა გემის დატვირთვა. უკვე ბნელოდა, როდესაც მეზღვაურებმა ხრიალით აუშვეს ღუზები და მანქანები აამუშავეს. შეტოკდა გემი, ნელ – ნელა დაიძრა და აჩქარებით შეიჭრა ღამის წყვდიადში.

მთელი ქვეყანა მხოლოდ ორ გემში დაეტია.

ომი დასრულდა.

საქართველოში რუსეთი შემოვიდა.

გაიხარა პეტრაკემ.

გაილაღა სირაბიმ.

გაუმარდჟოს საკარტველოს!

წითლები ბოლშევიკურ რეჟიმს აცხადებენ. თბილისში მათი არჩეული მთავრობა ჯდება. ეს მთავრობა სასწრაფოდ ბრძანებს ქართული ჯარის გაუქმებას. კომისართა საბჭო სპობს არჩევით ორგანოებს, დამფუძნებელთა კრებას, მუნიციპალურ და ადგილობრივ საბჭოებს, აუქმებს მუშათა პროფკავშირებს.

ყოველივე ეს იცვლება კომუნისტებით. მათ წითლები ნიშნავენ, ნიშნავენ სასტიკ, დაუნდობელ, ზნედაცემულ ადამიანებს.

არჩილ ბერიაშვილი – ცხენების ქურდი – თელავის რაიონული მილიციის უფროსი.

არაბული – ცნობილი ბანდიტი – თიანეთის რაიონული მილიციის უფროსი.

ლევან ქავთარაძე – ბანდიტი – დუშეთის მილიციის უფროსი.

დარჩო ჭოღოშვილი – რეციდივისტი – ანანურის რევკომის თავჯდომარე.

ქუთათელაძე – ბანდიტი – ოზურგეთის ჩეკას უფროსი.

კობიაშვილი – მკვლელი – თბილისის ცეკას თანამშრომელი.

გუნთაიშვილი – ბანდიტი – ოზურგეთის ჩეკას უფროსის მოადგილე.

პაიჭაძე – მკვლელი, რომელსაც მოკლული ჰყავდა ინგლისელი ექიმი – ჩოხატაურის ადმინისტრაციის უფროსი.

თათარაშვილი – ბანდიტი – რკინიგზის მილიციის თანამშრომელი.

გულარიშვილი და კოსაშვილი – მკვლელები, მოკლული ჰყავდათ სტუდენტი ბატიშავიძე – თბილისის მილიციის თანამშრომლები.

გაუმარდჟოს საკარტველოს!

მოისპო ყოველგვარი თავისუფლება, მოსახლეობას ჩამოართვეს რაიმეს თქმის უფლება. ყველაფერი რეკვიზირებულია, ფაბრიკები, ქარხნები, სახლები, ბინები, ავეჯი. ბოლშევიკები ნებას არ რთავენ უმუშევრებს დატოვონ ქალაქი და სოფლად წავიდნენ სანოვაგის საშოვნელად, მათ ჯგუფებად აერთიანებენ და იძულებით სამუშაოზე აგზავნიან.

საქართველოს ყველა მოწინავე მოქალაქე საპყრობილეშია. ხვრეტენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებსაც, იმათაც, ვინც არასოდეს გაჰკარებია პოლიტიკას.

ქვეყნის სიმდიდრე განადგურებულია, რაც გადარჩა რუსეთში გაიზიდა. აწიოკებულია მაღაზიები, დუქნები, კერძო სახლები, ხდება ყველაფრის რეკვიზიცია, ნაციონალიზაცია, ყველგან შემოღებულია სამხედრო დისციპლინა.

გაუმარდჟოს საკარტველოს!

ინტელექტუალური ცხოვრება აღარ არსებობს. ლიტერატურაში, პრესაში იძულებულნი არიან მისდიონ ბოლშევიკების ჭკუის სწავლებას, თუ რამის გამოქვეყნება გინდა სპეციალური ნებართვაა საჭირო, მათ უნდა სთხოვო ქაღალდი და დასაბეჭდი ტექსტიც უნდა წარუდგინო.

ყველა სათეატრო დარბაზი ბოლშევიკების საკუთრებად იქნა გამოცხადებული. წითელი ხელისუფლება თავად ირჩევს სათამაშო პიესას, ადგენს რეპერტუარს, როლებზე ნიშნავს მსახიობებს.

წითლებისთვის ხელოვნების მხოლოდ ერთი ჟანრია მისაღები – ქანდაკება. მოქანდაკე, რომელიც ბელადის იერსახეს გამოძერწავს, წამსვე აღზევდება, გვარიან ჰონორარსაც გამოჰკრავს ხელს და ქება – დიდებასაც დაიმსახურებს.

აწესებენ თავის დღესასწაულებს. შობა დღე საკუთარ დღეობად მონათლეს და კომუნისტ გაიოზ დევდარიანის კომკავშირის ხელმძღვანელად დანიშვნა იზეიმეს.

გამომძიებლები და მოსამართლეები გაძევებულნი არიან. მუშაობენ მხოლოდ ტრიბუნალები, თანაც მთელი დატვირთვით სტუდენტების სულსა და გონებას მეთოდურად სწამლავენ. სასწავლო პროგრამაში შეაქვთ მარქსიზმი და საბჭოთა სამართალი, თუმცა თავისი ვერ გააქვთ, ლექციები არ ტარდება, ქართველი პროფესორები უარს აცხადებენ კურსის წაყვანაზე, რუსებს კი საკუთარი არავინ ჰყავთ. ეს სიჯიუტე პატრიოტების ციხე – სიმაგრეს არ აპატიეს. თავადი ჯავახიშვილი სასწავლებლიდან გააგდეს, შემცვლელად გამონახეს ბოლშევიკების სამსახურში ჩამდგარი ვინმე ღლონტი, უცოდინარი და პათოლოგიური მიდრეკილების ადამიანი. ამას არ დასჯერდნენ და უნივერსიტეტში ქართული ენა აკრძალეს, ლექციები მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა წაკითხულიყო. საბჭო ჩეკისტებს ჩაუგდეს ხელში, სასწავლებლის მართვაშიც ისინი იღებენ მონაწილეობას.

ამგვარმა თავხედურმა ქცევამ სტუდენტებში აღშფოთება გამოიწვია. სასწავლებელში წითელი რაზმები შევიდნენ. ამ ამბავს შეეწირა ცამეტი კაცი, სამოცზე მეტი დაიჭრა, სხვები ციხე – ბანაკებში გაფანტეს.

მრეწველობა გაქრა, თითქოს არც არასდროს ყოფილა.

ყველაფერი რაც დასავლეთიდან შემოდიოდა, აღარ შემოდის. თუ რამ იშოვება, მხოლოდ მაღალი რანგის კომუნისტებს ეკუთვნით. ეს რანგირება კი საათივით ჰქონდათ აწყობილი. ჯერ მოდიოდა ყველაზე დამსახურებულთა, კომუნისტურ თავადთა ჯგუფი, სახელით უძველესი გვარდია. შემდეგ ტახტის აზნაურნი, ძველი მოდგმისა და წმინდა სისხლის კომუნისტები. ამას მოჰყვებოდა შედარებით დაბალ საფეხურზე მდგარი კეთილშობილნი, რომლებიც პარტიაში რევოლუციამდე გაწევრიანდნენ. შემდეგ საბატონო აზნაურნი, ბოლოს კი მაძიებელნი.

თუ თავის გადარჩენა გინდა, მათი მეგობარი უნდა გახდე. თუ შიმშილით სიკვდილი არ გსურს, კომუნისტური სახელმწიფოს ფუნქციონერი უნდა შეიქნე. მართალია, ეს გროშები ნორმალური ცხოვრებისთვის სრულიად არასაკმარისია, მაგრამ შიმშილისგან სული არ გაგძვრება.

ახალი კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად ბოლშევიკები გახრწნილ ახალგაზდებს ეყრდნობიან.

კომკავშირი შედგება უმუშევარი გოგო – ბიჭებისგან. ადრე მათ პოლიცია ეძებდა ქურდობის, ლოთობის და უზნეობისთვის. ბევრს სასჯელიც აქვს მოხდილი, ბევრი ამ სასჯელს წითელმა არმიამ გადაარჩინა. კომკავშირი მსახურია ბოლშევიკების ყველგან და ყველაფერში, იგი მტერია ყოველგვარი ტრადიციის, მორალის, არ სცნობს სხვა გზას გარდა დასჯა – რეპრესიისა, ამ ყველაფერში კი გვარიან გასამრჯელოს იღებს, რომლითაც, ისევ და ისევ მისი უფროსი მეგობრები ასაჩუქრებენ.

მოკლედ, ტანჯვა – წამებას ბოლო არ უჩანდა, უფრო სწორედ ეხლა იწყებოდა.

მაშ, კიდევ ერთხელ გაუმარდჟოს საკარტველოს.

ამ ყველაფერში, როგორც მოსალოდნელია, გარეულები იყვნენ პეტრაკე მერაძე და სირაბი ოღადელი. მართალია, დაპირებული თანხის დარიგებას პირი არ უჩანდა და საქმე ფიცი – მტკიცის იქით არ მიდიოდა, მაგრამ ორივენი ბედს მაინც არ უჩიოდნენ.



თანამდებობა ერთსაც ერგო და მეორესაც, ზოგჯერ ჭკუასაც ეკითხებოდნენ, საჭირო ხალხთანაც ჰქონდათ ურთიერთობა და გარკვეულ გადაწყვეტილებებსაც იღებდნენ, ასე რომ, თავს კარგად გრძნობდნენ. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ პეტრაკემ ოცნება შეწყვიტა და იმდროინდელ თბილისს საბოლოოდ აუღო ალღო, რომელიც ცოტათი თუ ჩამოგავდა ოცდამეერთე საუკუნის დედაქალაქს.

თუმცა გარკვეული უხერხულობა მაინც იქმნებოდა. პეტრაკეს არ ჰქონდა ტელევიზორი, მობილური, ინტერნეტი, არ აკმაყოფილებდა ტელეფონის მუშაობა და უჩიოდა მოსკოვის მიმართულებით რეგულარული რეისების არარსებობას. დროდადრო გულში ოჯახის მონატრებაც გაჰკრავდა ხოლმე და პარტიული ამხანაგებიც ახსენდებოდა, მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა, რომ ოჯახიდან მოწყვეტაც მის წისქვილზე დაასხამდა წყალს, რადგან მათი გაუჩინარება აუცილებლად ხელისუფლებას დაბრალდებოდა, რაც ახალი საპროტესტო ტალღის დასაწყისის მიზეზად ნამდვილად გამოდგებოდა, ოღონდ ამჯერად მომავლის თბილისში.

მოკლედ, იმედები იყო და ცხოვრებაც საინტერესოდ თუ სახალისოდ გამოიყურებოდა. ჰოდა, სადაც ხალისია იქ სუფრაც გაიშლება და სადღეგრძელოც ითქმება.

იმ დღეს, როგორც ამბობენ, ბოლშევიკთა ვიწრო წრე სირაბის დაბადების დღეს აღნიშნავდა. მანქანაში ხუთიოდე კაცი იჯდა და ვერის დაღმართით მტკვრის სანაპიროსკენ მიემართებოდა, სადაც მდინარის პირას გაშლილი იყო მოკრძალებული პურმარილი. მეგობრები იმედიანად იყვნენ განწყობილნი, რადგან პირობა ჰქონდათ მიღებული და მოგვიანებით ბოლშევიკების სხვა ხელმძღვანელ პირებს ელოდნენ აღნიშნული დღის აღსანიშნავად.

ეხლა ვინ იჯდა ამ მანქანაში.

ბოლშევიკებთან დაახლოვებული მღვდელი დიომიდე შილაკაძე, რომელიც დღისით წირავდა, ღამით კი წითელ ტერორში იყო ჩართული.

თბილისური სამეულის წევრი, ბოლშევიკი ლევან ღოღობერიძე, რომელიც თავის მთავარ დამსახურებად თავადაზნაურთა განადგურებას თვლიდა, ამით ამაყობდა და ხშირად იმეორებდა : თავადაზნაურთა პროცენტი საქართველოში ნულამდე დავიყვანეო.

საშა ობოლაძე, რომელიც გურიაში სპეციალური დანიშნულების მილიციელთა რაზმს ხელმძღვანელობდა და სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც დაუნდობელ და უსამართლო ადამიანს. ეს ობოლაძე მოგვიანებით მოკლეს, როდესაც ფაეტონით ოზურგეთის ბაზრობაზე მიემართებოდა თავის ხელქვეითებთან სანიკიძესთან და ჩუბინიშვილთან ერთად. ობოლაძეს ხელში ეჭირა გიტარა, ფეხებში კი ჩხავერით სავსე ჭურჭელი ედგა, იყო გვარიანად ნასვამი და სრულიად ჰქონდა დაკარგული რეალობის შეგრძნება. სწორედ ამ დროს აუტეხა სროლა გოგია ღლონტმა, ყოფილმა გვარდიელმა, ვალოდია გოგუაძის ჯავშან – მატარებლის მებრძოლმა, რა თქმა უნდა, რამდენიმე თავისნაინ გადარეულთან ერთად.

სწორედ ამის შემდეგ შეიქმნა გურიაში ხალხური ლექსი:

ატყდა სროლა კვაჭალათზე,
ჩაადღლეს ობოლაძე.
გურიაში რა გინდოდა,
თუ სიკვდილი არ გინდოდა.

ამ სადღესასწაულო მანქანას მართავდა სენაკის მაზრის სადამსჯელო რაზმის უფროსი პოლიკარპე დავითაია, რომელიც ყოველ ხელსაყრელ თუ არახელსაყრელ დროს რიხით აცხადებდა, ყოველ კომუნისტს გვწყუროდა ღვინოსავით გვესვა ქართველთა სისხლიო.

ასეთ დიდ ხალხში იყვნენ გარეულები თითქმის დავაჟკაცებული პეტრაკე მერაძე და მუდამ სულელივით მომღიმარი სირაბი ოღადელი.

ჩაცდა თუ არა მანქანა ვერის აღმართს, აფეთქების ხმაც გაისმა. ხმა მოდიოდა ასტემიროვის ფართლეულის მაღაზიის მხრიდან, რომელიც იმ ხანად უკვე გავერანებულ – გაპარტახებული გახლდათ და მისი ძველი დიდების დასტურად მაღაზიის თავზე შემორჩენილი მხოლოდ რამდენიმე ლათინური ასო მეტყველებდა. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მოქეიფეებმა იქითკენ გაიხედეს, საიდანაც აფეთქების ხმა გაიგეს. სწორედ ამ დროს მეორედ იფეთქა. ჰაერში ავარდნილმა მანქანამ მგზავრები მიჰყარ – მოჰყარა, მერე შუაზე გადასკდა და ასე ნაწილ – ნაწილ დაენარცხა მიწას.

ადგილზე გათავდნენ სირაბი, პეტრაკე და პოლიკარპე დავითაია, მძიმედ დაიჭრა ღოღობერიძე, შედარებით მსუბუქად ობოლაძე. სწორედ მისგან მიიღო პირველი ჩვენება ადგილზე დაგვიანებით მისულმა მილიციამ. ობოლაძის განცხადებით აფეთქების ადგილას კოჭლობით დაიარებოდა სახენაიარევი კაცი, დაჭრილებს ყურადღებით აკვირდებოდა, მერე თითო ტყვია მაუზერიდან სირაბისა და პეტრაკეს დაახალა, მხოლოდ ამის შემდეგ გაეცალა იქაურობას. ობოლაძეს თავზეხელაღებული შურისმაძიებელი არ ეცნო და ვერც ვერაფრით გაიხსენა, თუმცა გუმანით კი ხვდებოდა, რომ პირად ანგარიშსწორებასთან უნდა გვქონოდა საქმე.

ძველი მაძებრები, რომლებიც ჯერ კიდევ კანტი – კუნტად იყვნენ შემორჩენილები სამართალდამცავ ორგანოებში, ამტკიცებდნენ, რომ განხორციელებული აქტი ძველი ტერორისტების ჩაფიქრებულს ჰგავდა, უფრო კი გრიშა ურუტაძის ჯგუფის ნამოქმედარს. თავად სატანა რამდენიმე წლის გარდაცვლილი გახლდათ, ჯგუფის სხვა წევრები დახვრეტილ გადასახლებულები, ტიხონა მებუფეტე პარიზში ბინადრობდა, რჩებოდა მხოლოდ ალფეზ გოგელია, რომლის ბედ – იღბალი საიდუმლოებით იყო მოცული. საავადმყოფოში მის გარდაცვალებას ვერ ადასტურებდნენ, თუმცა ვერც გამოჯანმრთელებაზე დებდნენ თავს. საბუთები არეულობის დროს დაკარგულიყო, ხოლო მკურნალი ექიმი საკუთარი ხელით დაეხვრიტა საავადმყოფოს ჩეკისტ ხელმძღვანელ ულრიხს, როდესაც სამედიცინო სპირტის გაცემაზე სასტიკი უარი მიუღია.

ასეა თუ ისე, ბოლშევიკებს ამ საქმის გამოძიებით თავი აღარ შეუწუხებიათ და ჩვეულ ხერხს მიმართეს. საპყრობილიდან სამოცდაათი პატიმარი, რომლებიც ამ ამბამდე დიდი ხნით ადრე ისხდნენ ციხეში და წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ თუ რა მოხდა იმ ავბედით დღეს, ჩაიყვანეს ვერის დაღმართზე, მიიყვანეს აფეთქების ადგილას და სახალხოდ დახვრიტეს.

ისე, კაცი რომ დაფიქრდეს, ალფეზის გამტყუნებაც გაჭირდება, რა თქმა უნდა, ცოცხალი თუ გადარჩა, ბოლო – ბოლო საკუთარ ფულს ითხოვდა ადამიანი.

ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, ხშირად გაიგონებს სმენაგაფაციცებული ადამიანი.

ჩვენი ქვეყნის ისტორიისა თუ გამოცდილების გადამკიდე სულ მთლად მართალი არ უნდა იყოს ეგ ამბავი.

გააჩნია რაზე ოცნებობ.

სანდრო ანთაძის ნახატი

გაგა ნახუცრიშვილი

ძველმოდური ვერლიბრი

1
რა იქნებოდა

ვდარდობ იმ წლებზე,
ვერ ვიბრუნებ,
მხოლოდ ყრუდ მტკივა,
რა იქნებოდა,
დამეჭირა ყოველი წამი,
ყოფნის, სიცოცხლის,
მევლო სხვაგვარად,
რა იქნებოდა, რომ ეცოცხლათ
მეგობრებს... ბიჭებს,
არ წაეყვანა
დროს, სისასტიკეს,
უტვინობას, გაუტანლობას,
რა იქნებოდა,
არ ჩაეცვათ გოგოებს შავი,
არ ჩამქრალიყო მათი თვალები
ნაღველითა და მომავლის შიშით,
რა იქნებოდა,
ყოფილიყო უფრო
ხანგრძლივი
უდარდელი დღე,
არ დაეჩრდილა
ნაადრევ ბინდს,
არ დაეღარა
სული ნაოჭებს
ასე უდროოდ...
ასე უდროოდ,
არ მეფიქრა
მარტოობაზე,
მიუსაფრობის,
არყოფნის შიშზე,
და მინდა მხოლოდ,
რომ შემეძლოს
უკან დავბრუნდე,
ვცადო მაინც
რამის შეცვლა,
სხვა გზის მიგნება,
რომ თუნდაც ერთხელ
ვინმე მაინც გადავარჩინო,
მხოლოდ ყრუდ მტკივა
და დაბრუნება
არის უკვე
შეუძლებელი.

2
ზღვა და ხურდა

ზღვას ვჩუქნი ხურდას,
მინდა დავბრუნდე
ბავშვობაში,
როცა ყოველ დღეს
ჰქონდა თავის
სურნელი, გემო,
როცა ოცნება მოჰქონდათ
გემებს
შორს და თან ახლო,
იქ, ჰორიზონტთან,
იქ, სადღაც, სადაც,
ნელა, ზანტად,
თან მსუბუქად
ჩადიოდა მზის ბოლო სხივი...
ნაპირზე ვდგავარ,
მოდის ტალღა,
მიბრუნებს ხურდას.

3
გაქცევა

მე გავექეცი
საკუთარ თავს,
სახლს,
და სამშობლოს,
მე გავექეცი
საყვარელ ქალს,
მეგობარს და
ყველა ნაცნობს,
ყველა ახლობელს,
გავექეცი,
რომ მომენატროს,
აუტანლად მომენატროს,
ისევ დავბრუნდე.

4
სინანული

წარსულს არ ვნანობ,
მაგრამ მაინც ვნანობ წარსულზე.
და ფიქრით მაინც
ძველ შეცდომებს,
თითქოს ვასწორებ,
ჰო, შემეშალა,
რადგან მეგონა – არ შემშლია
მე არაფერი;
არაფერი სხვა არ შემშლია.

5
ცვლილება

მეუბნები,
რომ შევიცვალე,
ალბათ ასეა,
მე უსასრულო
ღამეებმა
წელში გამტეხა,
მზის მცხუნვარებამ
გამომფიტა
და
გამომაშრო,
წვიმამ დამაზრო,
დამაჭაობა,
თოვლმა და ქარმა
ამომივსო
სული სიცივით
და შევიცვალე,
რომ მეცხოვრა
უფრო სხვაგვარად,
რომ ყველაფერი
თავიდან და ახლად დამეწყო,
ამ ქვეყანაზე ცვლილებაა
მხოლოდ უცვლელი.

6
შემთხვევითობა

შემთხვევითია,
როცა ქალი უეცრად გტოვებს,
თქვენი შეხვედრაც იყო
ალბათ შემთხვევითობა,
ზამთრის ღამე ნათელი, ბარდნის,
ფანჯარას აღებ
და ისუნთქავ ცივ სიმარტოვეს,
ის მიდის,
თოვლზე მხოლოდ თავის
ნაკვალევს ტოვებს,
რომელსაც ადნობს სუსტი
მზის სხივი,
ადრიან დილით,
თქვენი შეხვედრა იყო
მცირე შემთხვევითობა.

7
შენი სიზმრები

როცა იწვიმებს,
ფანჯარაში
შუქი ჩაქრება,
შენ დაიძინებ,
არ იღელვო,
აღარ მიყვარხარ,
მიყვარს
მხოლოდ შენი სიზმრები.

8
მეგობრებთან დამშვიდობება

ზამთრის ღამე,
ცა გამჭვირვალე,
შეცივდა ვარსკვლავს
და აცახცახდა,
დამშვიდობებაც
ვერ შევძელი
ისე წახვედით,
დამშვიდობება
არასოდეს
მყვარებია,
ახლა კი ვნანობ,
გავალ გარეთ,
დავლევ რამეს,
მხოლოდ ერთ ჭიქას,
შეციებულ ვარსკვლავთან ერთად,
იქნებ მესიზმროთ,
ამ ბოლო დროს
სიზმრად ვერ გხედავთ,
მოიწყინეთ ალბათ უჩემოდ.

9
დრო ნელა გადის

მე მომენატრა დრო,
როდესაც დრო ნელა გადის,
როცა ცხოვრობენ, რომ იცხოვრონ,
არავინ ჩქარობს,
მე მომენატრა დრო,
როდესაც დროს არ ითვლიან,
დღეებს დღეები ებმებიან
ასე მსუბუქად,
მე მომენატრა დრო,
როდესაც დროს არ კარგავენ,
რადგან იციან დასაკარგი
უკვე დაკარგეს,
მე მომენატრა ის დრო,
როდესაც დროს არ მისდევენ,
სისულელეა წამებს სდიო,
გსურდეს დაწევა,
როცა მაინც დააგვიანებ.

10
უკაცრავად

მალე ორმოცის
შევსრულდები...
უკაცრავად
თუ დაუდევრად
გავფლანგე წლები,
შემეძლო მეტი,
უკაცრავად
თუ დავიჩივლე,
რომ დავიღალე,
უკაცრავად
თუ აღსარება
ვერაფრით ვერ ვთქვი,
მე სიამაყით,
უკაცრავად
თუ სიყვარული
შეუმჩნევლად,
იოლად დავთმე,
რადგან მიყვარდა,
მალე
ორმოცის შევსრულდები.

11
ძველმოდური ვერლიბრი

მას ეცვა კაბა,
ალბათ წლების,
სამოციანის,
დროით ნაკაწრი
ფირფიტა ბრუნავს.
და სულ იმავეს იმეორებს,
ჰგონია მღერის,
და მესიზმრება
სიზმარში ცხადი,
ცხადში სიზმარი,
რა იქნება,
ცოტახნით მაინც
დავუბრუნდეთ
ერთმანეთს,
წარსულს,
რა იქნება,
ახლა მაინც
დრომაც გვადროვოს.



ანონსი

— შეუძლებელია ადამიანმა თავის თავზე სიმართლე გვიამბოს და ამ სიმართლემ მკითხველამდე მიაღწიოს. — მარკ ტვენის ეს შეგონება კარგახანია წავიკითხე და მაინც გავაგრძელე ჩემი სახელდახელო ჩანაწერები: საკუთარ თავზე თუ არ წამომცდება ნახევარი სიმართლეც კი, სხვებზე ხომ მაინც ვიტყვი სრულ სიმართლეს?!

ვახტანგ ჯავახაძე

ლექსიდან-ამდე

მოსალოდნელი შეხვედრა

ერთხელ, გამომცემლობაში, გიორგი ლეონიძემ გვითხრა:

— უცნაური ხალხი ვართ ქართველები: კაცთან ერთი ჭიქა ღვინო თუ დალიე და ერთხელ მაინც დაგადო მხარზე ხელი, შენი საქმე წასულია. ერთადერთი პიროვნება, ვისაც მხარზე ხელი ვერავინ დაადო, ილია ჭავჭავაძე იყო.

— ბატონო გოგლა, თქვენთვის თუ დაუდევთ მხარზე ხელი-მეთქი? — ვკითხე.

— რამდენჯერაც გინდაო, — მიპასუხა.

მოგვიანებით მიხეილ ჯავახიშვილის წიგნაკების ჩანაწერებში ამოვიკითხე:

— ქრისტე რომ მოვიდეს და ქართველებში დასახლდეს, მეორე დღესვე თავში ჩავუფაჩუნებთ, ან ხელს გადავხვევთ და ასე ავლაპარაკდებით: „ბიჭო, იესო, როგორა ხარ? რასა იქ, შე ჩემო ნალავ? წამო, ერთი ჩარექა დამალევინე“.

ორი გენია

ბოსხის გენიამ სიმახინჯე მშვენიერებამდე აამაღლა.

ბოტიჩელის ტილოები შეყვარებული კაცის დახატულია, ბოსხისა — გაბოროტებული კაცის.

კითხვა-პასუხი

— ვინაა თქვენი ყველაზე საყვარელი მხატვარი? — ვკითხე ერთხელ ბატონ ლადო გრიგოლიას.

— რა თქმა უნდა, მიქელანჯელო, — დაუფიქრებლად მიპასუხა ბატონმა ლადომ.

ლადო ასათიანი

ვახტანგ ჭელიძე: ლადო ასათიანი სიცოცხლეში ასე აშკარად არ გამოირჩეოდა თავისი თაობის პოეტებიდან. დრომ ეს განსხვავება თანდათან გაზარდა — ლადოს სასარგებლოდ.

იმედის სალარო

ანუ

გამომშვიდობება „წიგნის სასახლესთან“

„წიგნის სასახლის“ მეორე სართულზე მარცხენა კორიდორის ოცდამეათე ოთახში ერთადერთი სარკმელი-სალაროა. ამ სარკმელს კარგად იცნობს მეოცე საუკუნის ყველა ქართველი მწერალი და არა მარტო მწერალი, ყველა, ვისაც ჰონორარის ან ხელფასის სიამოვნება განუცდია. თვეში ორჯერ აქ გამომცემლობის თანამშრომელთა რიგი იდგა, პერიოდულად კი — ავტორთა რიგი. სამოცი გრძელი წელიწადის მანძილზე ამ სარკმელთან უკეთეს ხასიათზე შემობრუნებულან გალაკტიონ ტაბიძე და ნიკო ლორთქიფანიძე, პავლე ინგოროყვა და კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე და იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე და პოლიკარპე კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ლადო გრიგოლია, ლადო ასათიანი. პირადად მე ორმოცდათვრამეტი წლის წინათ აქედან მომაწოდეს „მნათობში“ პირველად დაბეჭდილი ჩემი ლექსის საზღაური, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნახევარი თვის პირველი ხელფასიც აქ დავითვალე.

ვიდრე საბჭოთა იმპერია დაინგრეოდა, ეს სალარო-სარკმელი კუპიურების სიხარულებს არიგებდა. ამ სალაროსთან მოწყენილი არავინ მინახავს და გაბრაზებულიც არავინ მახსოვს.

უკანასკნელი ოცი წელიწადია, ეს პატარა სარკმელი აღარ იღება. პრივატიზების დაუნდობელი კანონი მას ამოშენებით ემუქრება. რამდენიმე აგური და გაჯ-ცემენტის ნაზავი სამუდამოდ ამოქოლავს ისტორიულ კვადრატს, საიდანაც ვალუტაზე გადაანგარიშებულ სიამოვნებას ველოდებოდით.

მალე „წიგნის სასახლე“ აუქციონზე გაიყიდება. „წიგნის სასახლეში“ შეიძლება გაიხსნას კაზინო, შეიძლება – სასტუმრო, უკეთეს შემთხვევაში — ბანკი. საქართველოს აქვს და ექნება ბევრი ბანკი, ბევრი სასტუმრო, ბევრი კაზინო და აღარასოდეს აღარ იქნება ერთადერთი „წიგნის სასახლე“!

ლევანი — ძე ჯუმბერისა

ერთმა პოეტმა „საარის“ გამოცემული ოცდაორთაბახიანი წიგნი მაჩუქა. როდესაც ვკითხე, რა დაუჯდა, ისეთი თანხა დამისახელა, აშკარად მეიაფა, რადგან კარგად ვიცნობ ახლანდელ პოლიგრაფიულ მაზანდას. ჩემი გაკვირვება „საარის“ ბუღალტერს ვაუწყე. მიპასუხა: მეც ვურჩიე ჩემს დირექტორს ლევან თითმერიას, მაგრამ არ დამეთანხმა: ვის გავუძვირო წიგნები? - ჩემს მეგობრებს და მამაჩემის მეგობრებსო?!

ყოჩაღ, ლევან!

თუმცა ასეთი პასუხი არც ძალიან გამკვირვებია და აი, რატომ: ლევანის მამა მწერალი ჯუმბერ თითმერია ბიბლიოფილი გახლდათ. იგი გაზეთ „კრიმინალურ ქრონიკას“ რედაქტორობდა. რედაქციას ოფისი არენდით ჰქონდა აღებული წიგნის სასახლეში. ჩვენ ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, ვმეზობლობდით, ვთანამშრომლობდით, ნარდსაც ვამღერებდით.

ერთხელ დამირეკა და თავის კაბინეტში მიმიწვია. შევედი და რას ვხედავ: წიგნები აწყვია მაგიდაზე, სკამებზე, სავარძელზე, იატაკზეც. გადაურჩევია თავისი ბიბლიოთეკა, მოუზიდავს წიგნები და გადაურეკავს ახლობლებთან. იმ დღეს ჯუმბერის კაბინეტში მრავალ ნაცნობ მწერალსა და ჟურნალისტს შევხვდი. მე თვითონ ათზე მეტი საინტერესო წიგნი ავარჩიე, ორი ისეთი, ადრე რომ ვეძებდი და ვერ მოვიპოვე.

ახლა, როცა ამ წიგნებს ვუყურებ, მახსენდება ხელგაშლილი და გულგაშლილი ჯუმბერ თითმერია - ბიბლიომანი, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და, რაც მთავარია, - ლევან თითმერიას მამა.

ლუარსაბ თათქარიძის საქართველო

„ჭამა“ — ამ სიტყვას „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ 42 ერთეული შეესატყვისება. საქართველო არა მარტო რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის ქვეყანაა, არამედ აგრეთვე — ლუარსაბ თათქარიძის ქვეყანა.

2007 წლის 10 ივლისს ონკოლოგიურ საავადმყოფოსთან სამარშრუტოს მძღოლებს ვკითხე, რომელიმე ხომ არ გაივლით მარჯანიშვილის ქუჩაზე — წიგნის სასახლესთან-მეთქი. ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს და ვერაფერი მიპასუხეს. ავუხსენი: ვერის ხიდზე (რა თქმა უნდა, გალაკტიონის ხიდი არ ვახსენე!) რომ გადახვალ და მარჯვენა მხარეს რომ ოთხსართულიანი შენობა დგას-მეთქი. მაშინვე მიხვდნენ: „აა, რესტორანი რომაა — „შემოიხედე, გენაცვალეო“?

ერთი წელია, ჩვენი სასახლის პირველ სართულზე რესტორანი გახსნეს და მთელმა თბილისმა შეიტყო. „წიგნის სასახლე“ კი 68 წელიწადია არსებობს და მისი არსებობა ერთეულებმა უწყიან.

ესეც შენი ლუარსაბ თათქარიძის საქართველო და არა ილია ჭავჭავაძის საქართველო!

ადრე, დაახლოებით ოცი წლის წინათ, როდესაც ჩუბჩიკას მიერ ნაჩუქარი ათიოდე ნახატი ავარჩიე ჩარჩოებში ჩასასმელად, მათ შორის აღმოჩნდა ქაღალდის პატარა ნახევარზე მიხატული „ლუარსაბი და დარეჯანი“ (10სმX8სმ) და, როგორც ჩანს, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ყველა ქართველი წაითათქარიძეებს, თვით ილია ჭავჭავაძეც. გავიხსენოთ გალაკტიონის კალამბური: „ეს ილია ჭავჭავაძე სამ ინდაურს ჭამს ჭამაზე“. ამიტომაცაა ლუარსაბი საყვარელი და დაუვიწყარი გმირი. გავიხსენოთ აგრეთვე ალფონს დოდეს „ტარტარენ ტარასკონელის“ ეპიგრაფი: „საფრანგეთში ყველა ცოტათი წაიტარასკონელებს“, და ბოლოს და ბოლოს აკაკიც გავიხსენოთ და ნუ დავივიწყებთ:

როდესაც ჩემ წინ სუფრაზე
ცხელი შუშხუნა მწვადია,
მაშინ მე სამშობლოსათვის
ყოველი კარგი მწადია.

***

წერტილის გრძნობა, ეტყობა, უმთავრესია პოეტისათვის. დავით გაჩეჩილაძემ დაწერა ერთი ჩვიდმეტსტრიქონიანი ლექსი – „რარიგ სხვა იყო“. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა მხოლოდ პირველი სტრიქონი დაეწერა: „რარიგ სხვა იყო, ვიდრე დავწერდი...“ კლასიკური ხანის იაპონელი პოეტი ასე მოიქცეოდა ალბათ.

***

გასაოცარი და დასანანია: შოთა ჩანტლაძე სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როცა ვერლიბრის აღორძინება და აღიარება დაიწყო.

***

მე მინდა ვწერო ისე, როგორც ხატავდა ვან გოგი.

***

ზოგიერთი პოეტი იმიტომ მაინც უნდა წაიკითხო, რომ იცოდე, როგორ არ უნდა წერო.

***

დღემდის იმას ვსწავლობდი, როგორ არ უნდა ვწერო. ის როდისღა უნდა ვისწავლო, როგორ ვწერო? მოვასწრებ კი?

***

სიცილში ადამიანის ხასიათი ჩანს: ზოგიერთი მხოლოდ გაცინებისას იხსნება (იყიდება!), გაბრაზების დროსაც.

***

— ვერლიბრი რომ უკეთესი ყოფილიყო, მაიაკოვსკისთანა ხულიგანი მაგას დატოვებდა უყურადღებოდ? არც გალაკტიონი იყო ნაკლები ხულიგანი, მაგრამ ვერლიბრს ეპიზოდურად მიმართავდა, — მითხრა ბატონმა ირაკლი აბაშიძემ სახელგამში 1984 წლის 6 ნოემბერს.

***

დღიურებს უმეტეს წილად ღამით წერენ. ამიტომ ღამეურები უნდა ერქვას და არა დღიურები.

რეპლიკა ვალერიან გაფრინდაშვილს

— რა თქმა უნდა, მაინც ქართულად სჯობია ლექსების წერა: რუსულში 29 ასონიშანია, ქართულში — 33.

***

მაიმუნი უკანა რიცხვით პაროდირებული ადამიანია (თუ პირიქით!) ანუ ადამიანი მაიმუნის ანტიკარიკატურაა.

***

1986 წლის 20 მარტს ანა კალანდაძე ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში“ მიიწვიეს — ბარათაშვილის ხიდის ქვემო სართულზე. ვახლდით: მურმან ლებანიძე, ანიკო ვაჩნაძე — ლადო ასათიანის მეუღლე - და მე. დიდი აუდიტორია არ იყო და ანა დამჯდარი კითხულობდა. ბოლოს დაიწყო: „ფეხი დამადგით, ფეხი დამადგით გულზე ყოველმან...“ – თანდათან წამოდგა და ისე დაასრულა.

უკან დაბრუნებისას ანიკო ვაჩნაძემ გაიხსენა:

- გაწვიმდა. მე, ლადომ და ალიოშა საჯაიამ რომელიღაც სადარბაზოს შევაფარეთ თავი. ლადომ თქვა: შევიდეთ ფოტოგრაფთან და სურათი გადავიღოთო. ჯიბეში 40 მანეთი მედო, მანანას რძის ფული. ვიყოყმანე და ვერ გადავწყვიტე. სურათი არ გადაგვიღია.

***

1989 წლის 9 ნოემბერს ანა კალანდაძეს ვესტუმრე: გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა ორი წიგნის ტალონები მივუტანე. ეს წიგნები მხოლოდ მაკულატურის ტალონებზე იყიდება. სხვათაშორის ვკითხე: წიგნი ხომ არ გამოდის-მეთქი სადმე. პატარა წიგნი მაჩუქა – „ნაკადულში“ გამოცემული და მითხრა: მურმანი რომ დამირეკავს, მეშინია, წიგნის გამოცემაზე არ დამიწყოს ლაპარაკიო. ალბათ ამასვე ფიქრობს ჩემზე, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამს.

***

მწერლის ბედი უნდა გადაწყდეს მის საწერ მაგიდასთან და არა ტელესტუდიაში ან ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

***

ხელოვნება არა მარტო ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, არამედ აქტიურ ზეგავლენას ახდენს ჩვენი გემოვნების ჩამოყალიბებაზე: გრძელსახიან მანდილოსნებს ლამაზთა კატეგორიას არ ვაკუთვნებდი, ვიდრე ელ გრეკოსა და მოდილიანის პორტრეტებს არ შევეჩვიე.

***

საქართველოში ძველად იყო კეთილშობილთა სასწავლებლები, ახლა საჭიროა გაიხსნას კეთილშობილების სასწავლებლები.

***

1992 წლის 17 სექტემბერს ირინეს სკოლის დირექტორს მათემატიკოს ოთარ ლომიძეს „უცნობის“ მეორე გამოცემა ვაჩუქე. მადლობა გადამიხადა და მითხრა: პირველი გამოცემა რომ წავიკითხე, წიგნს ვაკოცეო. „უცნობმა“ ბევრი კომპლიმენტი დაიმსახურა. ყველაზე მეტად ეს მომეწონა.

სიცილიაში

1988 წლის დეკემბერში საბჭოთა პოეტების ხუთკაციან დელეგაციაში, რომელიც სიცილიას ეწვია, ანა კალანდაძე და მე აღმოვჩნდით. აჩერიალეს სასტუმროში ვცხოვრობდით. ერთხელ ქალაქ კატანიაში ტექნიკუმის მსგავს სასწავლებელში მიგვიყვანეს. აუდიტორიას რომ გადავხედე, ანას ვუთხარი, თავი ზესტაფონში მგონია-მეთქი: ძალიან ჰგავდნენ ქართველებს.

ლექსები წავიკითხეთ. მე წავიკითხე ორსტროფიანი – „ხმაურობდა ჩიტების დახურული ბაზარი...“ და ვთარგმნე რუსულად, ჩვენმა რუსმა თარჯიმანმა კი სტრიქონ-სტრიქონ გადათარგმნა იტალიურად. ერთი 15-16 წლის გოგონას შეკითხვამ გამაოცა: პატარა ბიჭმა რომ მტრედები იყიდა და გაუშვა, პოეტი თავის სამშობლოს ხომ არ გულისხმობსო (1988 წელი იდგა და ჩვენს ექვსკაციან დელეგ-

აციაში ორი მოსკოველი რუსი ირიცხებოდა!). ცოტა დავიბენი და ვაჟასავით ვუპასუხე: შეიძლება ვგულისხმობდე-მეთქი.

***

ანა კალანდაძე: საოცარია, როგორ მივეჩვიე ლექსიკონებს. ზუსტად ვიცი სიტყვის მნიშვნელობა და თვალი მაინც ლექსიკონისაკენ გამირბისო.

***

სამოციანი წლების დასაწყისში ფატი ნიშნიანიძის წიგნის რედაქტორი გახლდით – „რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებიდან". ავტორს სათაურის შემოკლება შევთავაზე შემდეგი თანამიმდევრობით: საინტერესო ეპიზოდები გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებიდან, ეპიზოდები გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებიდან, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებიდან, და ბოლოს: „გალაკტიონის ცხოვრებიდან".

პავლე ინგოროყვას ნაამბობი

ცეკაში დამიბარეს კანდიდ ჩარკვიანთან. როდესაც მდივან ქალბატონს ჩემი ვინაობა მოვახსენე, მან სიაში ჩაიხედა. სიაში სიმონ ყაუხჩიშვილისა და შალვა ნუცუბიძის გვარებს მოვკარი თვალი. ჩანს, დაბარებულებს ცალ-ცალკე იღებდნენ. დაკითხვას ალექსი ინაური ესწრებოდა. ბრალდების შინაარსს შეადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მე ბრალდების ეპიზოდებს არ დავეთანხმე. ამ დაკითხვაში ცუდად ფიგურირებდა ერთი რეპრესირებული და გადარჩენილი ცნობილი ქართველი მწერალი, რომლის გვარიც ბატონმა პავლემ დაასახელა, მაგრამ მე თავს შევიკავებ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ამბავი სუკის მიერ იყო პროვოცირებული. ამის შესახებ მე ვუთხარი ბატონ პავლეს. ბატონი პავლე თითქმის დამეთანხმა – შეიძლებაო.

გივი კვირკველიას ნაამბობი

1993 წლის 10 მარტს ასტრონომმა გივი კვირკველიამ, რომელიც გამოსაცემი კალენდრისათვის მზისა და მთვარის ფაზებს გვიმზადებს, მიამბო: კენისბერგში რომ შევედით, იქაური გერმანელი ქალიშვილები გავიცანით. მშვენივრად ლაპარაკობდნენ რუსულად. გაგვიკვირდა და გვიამბეს: ჩვენ წინასწარ გვამზადებდნენ: ჰიტლერს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში დაეტოვებინა ჯანმრთელი და ჯანიანი მოსახლეობა – მხოლოდ 10% სოფლის სამუშაოებისათვის. დანარჩენები ციმბირში უნდა გადაესახლებინა, აქ კი უძვირფასესი კურორტები გაეშენებინაო. ასე რომ, ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლა მართლაც სამართლიანი ბრძოლა იყო და ამ ომში დაღუპულ ქართველთა სისხლი ამაოდ არ დაღვრილა.

1993 წლის 31 მარტი – ანა კალანდაძესთან

გამაგონეს: შენი სასაფლაო და ყაყაჩო ლადო ასათიანის ლექსებითაა შთაგონებულიო. როგორ გავამხილო, 1945 წელს, როცა ეს ლექსები დაიწერა, ლადო ასათიანის ლექსები წაკითხული არ მქონდაო.

გამოიტანა რვეული თავისი პირველი ლექსებისა, რომელმაც სენსაცია მოახდინა 1946 წელს. რვეული გადაფურცლა, მაგრამ ჩემთვის არ გადმოუცია. ვუთხარი: ეს რვეული ასე მთლიანად გამოვცეთ-მეთქი – ავტოგრაფის სახით. თავი შეიკავა, რადგან შიგადაშიგ გადაშლილია ლექსები და მათ გამოქვეყნებას არ აპირებს ალბათ. ამოვიღოთ გადაშლილები და ისე დავბეჭდოთ-მეთქი. მაინც თავი შეიკავა. ისე კი ოდესმე ეს რვეული და მისი შთამბეჭდავი ისტორია ნამდვილად უნდა გამოიცეს.

შევთავაზე: დაბრძანდი მაგიდასთან, დაიწყე მარცხენა კედლიდან და კედლებზე გამოფენილი ნახატების პატარა ისტორიები გაიხსენე-მეთქი. საძინებელ ოთახში გააგრძელე და კორიდორში დაასრულე-მეთქი. როგორც ამბობს, თითქმის ყველა ნაჩუქარ ნახატს თავისი საინტერესო თავგადასავალი აქვს.

დაურეკეს „ლიტერატურულ საქართველოდან": ერთი პოეტის საიუბილეო მისასალმებელი შეახსენეს — დაგვიჩქარეო. ძალიან შეწუხდა! ღირს კი ასე შეწუხება?! ტელეფონში, რა თქმა უნდა, მშვიდად უპასუხა.

რემინგტონის ლენტა გავასწორეთ.

წინადღეს ტელეფონში წამომცდა, საწერი პასტაც კი არ იშოვნება-მეთქი და, რომ მივედი, ორი პასტა მაჩუქა.

ანას დავურეკე

მეორე ტომის მასალებს უნდა გადახედოს, შეთანხმებული შენიშვნები გაასწოროს და გაასუფთაოს. შეწუხებულია: ორი საქმის ერთად გაკეთება არ შემიძლია, არადა, ვინ გაცლისო. გაზაფხულზე მაინც ყველა ერთად გამოიღვიძებს და ათასი სურვილი გაუჩნდებათო... მეც დავეთანხმე: გაზაფხულზე ადამიანები მეტ სურვილებს, მეტ გამბედაობას და მეტ თავხედობასაც ამჟღავნებენ-მეთქი.

ისტორია მეორდება

1991 წელს პრეზიდენტის მომხრე ერთმა ფიზიკოსმა მიტინგზე წერილი გაუგზავნა ზვიად გამსახურდიას, სიტყვა „ინტელიგენცია" ლექსიკონიდან ამოვიღოთო.

ოპოზიციონერ ინტელიგენტებზე გაანაწყენებულმა ნიკოლოზ მეორემაც მოითხოვა, ლექსიკონიდან ამოეღოთ სიტყვა „ინტელიგენცია".

შუქრის ფანქარი

შუქრი მირცხულავა რედაქტორად მუშაობდა გამომცემლობაში. ალიო მირცხულავას ძმისშვილი ლექსებს წერდა, მაგრამ არ აქვეყნებდა. მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით. მისი მაგიდა რომ გავათავისუფლეთ, ერთი უბრალო წვრილი ფანქარი დავიტოვე. როდესაც ახალ წიგნს ვკითხულობ, ამ ფანქრით აღვნიშნავ მოწონებულ ადგილებს და ყოველთვის მახსენდება კარგი კაცი — შუქრი მირცხულავა.

შუქრის დედა და დეიდა იყვნენ ჩემთან და მე დავეხმარე შუქრის ლექსების პირველ პუბლიკაციაში. ახლახან მურმან ლებანიძემ შუქრის ლექსების პატარა წიგნიც გამოსცა.

გამოუსწორებელი შეცდომები

რედაქტორის პრაქტიკაში არის იშვიათი შემთხვევა: ასწორებ რომელიმე ავტორის მცდარ მოსაზრებას და მერე ნანობ.

ოთხმოციან წლებში რესპუბლიკის ადრინდელმა ხელმძღვანელმა მემუარები დაწერა და გალაკტიონს უსაყვედურა: საზოგადოებრივ საქმიანობაში ვერ ჩავაბით, სვამდა, ლენინის ორდენი დაჰკარგაო... მე შევნიშნე: გალაკტიონი სრულიადაც არ გახლდათ საქმის კაცი, სჯობდა უკეთესი პირობები შეგექმნათ და მეტ შედევრებს დაწერდა-მეთქი. დამიჯერა და ეს პასაჟი წიგნიდან ამოიღო. არადა, სჯობდა დაბეჭდილიყო.

დაახლოებით ამავე პერიოდში, ერთმა მწერალმა საგარეჯოს რაიონზე წიგნი დაწერა: მოვა დრო და ქართველი ხალხი შუშანიკ დედოფლისა და თამარ მეფის სურათების გვერდით მედეა მეზვრიშვილის სურათს დაჰკიდებსო (მედეა მეზვრიშვილი საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი გახლდათ). ეს პასაჟიც ამოვაღებინე ავტორს და მერე ვინანე.

1946 წლის 25 მაისი

1993 წლის 25 მაისს დავურეკე ანას და წავუკითხე „ლიტერატურის მატიანეს" ახლახან გამოსულ წიგნში გამოქვეყნებული გერონტი ქიქოძის ერთი ჩანაწერი — 1946 წლის 25 მაისის შთაბეჭდილება: გუშინ სრულიად უცნობმა ანა კალანდაძემ ლექსები წაგვიკითხაო... ამ დღიდან იწყება ქართული ლირიკის აღორძინებაო, ვაჟას შემდეგ პირველი დიდი პოეტი მოგვევლინაო... რა თქმა უნდა, ანამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. რა თქმა უნდა, გაუხარდა. მაგრამ საოცარი დამთხვევა მოხდა: 25 მაისს დავურეკე და სწორედ 25 მაისს შესდგა დებიუტი (გ. ქიქოძე შეცდომით 20 მაისს ასახელებს). როდესაც ანამ ეს დამთხვევა შენიშნა, მე ვუპასუხე, რომ ეს საინტერესო შეტყობინება ჩაეთვალა დღევანდელი დღის მილოცვად. ისიც ვაცნობე, რომ ამ ციტატას გამოვიყენებდი ორტომეულის ანოტაციაში.

გამართლებული მოლოდინი

ჭაბუა ამირეჯიბი პირველად მწერალთა კავშირში ვიხილე. ახალი ჩამოსული იყო გადასახლებიდან. ტრიბუნას სხარტად მიუახლოვდა ახოვანი „მზეჭაბუკი" და პატარა ბლოკნოტი კი არ დადო ტრიბუნაზე, ნახევრად მოისროლა, თანაც ისე მოხდენილად, რომ ეს არა-ჩვეულებრივი მანერა დღემდე მახსოვს. მაგრამ არა-ჩვეულებრივი პიროვნება ჩვეულებრივ მოთხრობებს წერდა და ასეთი შეუსაბამობა თითქოს გაწონასწორებას მოითხოვდა, ელოდებოდა, გვპირდებოდა. ასეც მოხდა: არა-ჩვეულებრივმა პიროვნებამ არა-ჩვეულებრივი წიგნი დაწერა – „დათა თუთაშხია", საუკუნის წიგნი!

***

ორპირმა ქარმა ლოჯის დიდი შუშა დამიმსხვრია. მამასისხლად ვიყიდე ორმილიმეტრიანი შუშა — 130X160, უკანასკნელი 1800 რუსული მანეთი და 2400 ქართული კუპონი გადავიხადე. მივაკითხე მთელს უბანში ცნობილ ჩვენს მეზობელ მეშუშეს – ვასია საბოლევს. რამდენიმე თვის წინათ დაცემულა, ძლიერი შერყევა დამართნია და ტრეპანაცია დასჭირვებია. გამხდარი და დასუსტებულია, მაგრამ მაინც წამომყვა. გაუჭირდა, ვეღარ გაჭრა შუშა. მარჯვენამ უმტყუნა. გამიფუჭდა მამასისხლად ნაყიდი. ბოდიში მომიხადა და წავიდა. სულაც არ გავბრაზებულვარ, რადგან ჩემს თვალწინ გამოცდილი ოსტატი „მოკვდა".

ერთი მძიმე და ორი წერტილი

ანა კალანდაძის ლექსებში სამი წერტილის სიმრავლე შეინიშნება, ისევე, როგორც მარინა ცვეტაევასთან – ტირე. ორთავეს გამიზნული ფუნქცია აკისრია. ალბათ რომელიმე ლიგვისტი დაწერს ოდესმე – „მრავალწერტილი ანას პოეზიაში". ანას ბოლოდროინდელ ლექსებში გამოყენებულია პუნქტუაციის ორიგინალური სახე: ნაცვლად სამი წერტილისა – ერთი მძიმე და ორი წერტილი: ... მე გავასწორებინე სამ წერტილად. არ ვიცი, რამდენად სწორად მოვიქეცი. იქნებ სასურველია არსებობდეს ორი სახეობა: სამი წერტილი წინადადების ბოლოს და ერთი მძიმე და ორი წერტილი წინადადებაში – ანა ხომ სამ წერტილს ძალიან ხშირად ხმარობს წინადადებაში ანუ სტრიქონში?!

ციფრები და ციფრები და ციფრები

ტარიელ ჭანტურიამ შენიშნა და აღნიშნა თავის წერილების წიგნში ჩემი ციფრებით გატაცება და ციფრებით დაწერილი ლექსი „მ7 ღმ1". მე მართლაც აქტიურად ვიყენებ ციფრებს. ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი" გადავიკითხე და გამიკვირდა და გამიხარდა:

- ჭირი ბევრჯერ ვაათასი,
  ლხინი ჩემი ვაერთხელი.
- თავთა ჭირი უათასეთ,
  რადმც უშვიდეთ ანუ ურვეთ.
- სულთქმა ბევრი აათასეს,
  აღარა თუ აერთხელეს.
- აქა ლხინი დაღრეჯილსა
  უათასდა, არ უათდა.
- უმართლეა, ვერ-მჭვრეტელმან
  თუ პატიჟნი იასოცნეს.

ნიკა აგიაშვილის ნაამბობი

ომის დამთავრებიდან ორიოდე წლის შემდეგ ერთი ჩემი თანასოფლელი მოკლე გზით რკინიგზის სადგურისაკენ მიიჩქაროდა ფეხით. ზამთარი იდგა და საღამოხანი იყო. რამდენიმე ვერსის შემდეგ გზაზე ნაცნობი თანასოფლელი შემოხვდა, რომელიც ომში დაკარგულად ითვლებოდა და ახლა სახლში ბრუნდებოდა. მოიკითხეს ერთმანეთი და ორივემ თავისი გზა გააგრძელა... რამდენიმე დღის შემდეგ პირველი სახლში დაბრუნდა და ომგადახდილის ამბავი მოიკითხა. გამოირკვა, რომ იგი სახლში არ დაბრუნებულა. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ეძებეს, ეძებეს და ტყისპირას ჯარისკაცის ტანსაცმლის ნაფლეთები იპოვნეს: მგლების ხროვას დაეგლიჯა – ომის ჯოჯოხეთს გადარჩენილი.

***

ერთმა ცნობილმა მწერალმა დამირეკა და სახლში მიმიწვია. ვეახლე. ცოლი ორი თვის წინ გარდაეცვალა და მას შემდეგ ქალაქში არ გამოდიოდა. საკმაოდ ამაყი და მტკიცე ნებისყოფისა გახლდათ და, ჩემდა გასაკვირად, აშკარა დეპრესიაში იმყოფებოდა. წვერგაუპარსავი დამხვდა და ფანჯრებზე შტორები ჩამოეფარებინა. გამომცემლობაში დედანი უნდა წარმოედგინა და დედანი მე გამომატანა. გამომშვიდობებისას მთხოვა სახლში მარტომყოფმა: რაც აქ იხილე, ნურავის ეტყვიო. ამიტომ მწერლის ვინაობას არ ვასახელებ. ამას მხოლოდ ქმრების საყურადღებოდ და ცოლების სასიამოვნოდ ვწერ.

მიხეილი და მიხეილი

რუსეთის იმპერიის ერთმა ჯალათმა – მიხეილ მოლოტოვმა ოთხმოცდათექვსმეტ წელიწადს იცოცხლა, რუსეთის იმპერიის ერთმა გენიამ ლერმონტოვმა კი – ოცდაექვსი. აი, განგების უსამართლობა!

***

1973 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა ლევან გოთუა. ეს ამბავი დილით გამომცემლობაში გამოცხადებისას შევიტყვეთ. ვახტანგ ჭელიძე, ალიო ადამია და მე ერთად მივედით მწერლის ბინაში, პლეხანოვის პროსპექტზე და ოჯახს მივუსამძიმრეთ. ამ დროს გამომცემლობაში სასტამბოდ გამზადებული იდო ლევან გოთუას სოლიდური მოცულობის წიგნი, მაგრამ ავტორს ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული. მემკვიდრე კი, არსებული წესის თანახმად, ჰონორარის ნახევარს მიიღებდა. ამიტომ, დავბრუნდით თუ არა გამომცემლობაში, გავაფორმეთ ხელშეკრულება წინა რიცხვით და ავტორის მაგიერ მე მოვაწერე ხელი. ეს იყო ზნეობრივად სრულიად გამართლებული „სიყალბე".

***

ეგვიპტეში წასვლამდე მოშვებულ ონკანს ვერ ვამჩნევდი. მას შემდეგ მოშვებულ ონკანს ვერ ვიტან. წყაროსაც კი ვერ ვუყურებ გულგრილად.

***

„ჩვენს შორის დარჩეს". — ხშირად უთქვამს ჩემთვის ანა კალანდაძეს ისეთ რამეზე, რაც არავითარი აუცილებელი არ იყო, ჩვენს შორის დარჩენილიყო.

***

ამბობენ, ზამთარი რომ მიიწურება, ნავთქურები გაიაფდებაო, – მითხრა 1996 წლის 16 იანვარს პოეტმა-აკადემიკოსმა ანა კალანდაძემ თავის ცივ კაბინეტში, როცა პალტოები მოგვეხურა და ისე ვკითხულობდით მეორე ტომის მასალებს. თუმცა, ზამთარი რომ მიიწურება, მერე ნავთქურებიც აღარ იქნება საჭირო!

ხომ არაფერი შემეშალა?

1993 წელს ანა კალანდაძემ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებიდან სამოცი წელი მომილოცა:

— იგი ჩემთვის ერთი იმათგანია, ვისაც ხშირად ვურეკავ, ვეკითხები, ვეთათბირები და რომლის რჩევასაც უყოყმანოდ ვიღებ და ვიზიარებ.

მადლობა ანას ჩვეული გულწრფელობისათვის, თუმცა ეს სიტყვები დაბეჭდილი რომ წავიკითხე, შემეშინდა და, რამდენადაც შემეძლო, წინა მსგავსი შემთხვევები გავიხსენე: ხომ არაფერი შემეშალა?!

***

ესტრადის მომღერლები და სპორტსმენები სცენაზე და სტადიონებზე მოღვაწეობენ, მწერლები და მხატვრები კი – კულისებში. ამიტომ ახალბედა მომღერლები და სპორტსმენები უფრო ცნობილები არიან, ვიდრე „ცნობილი" მწერლები და მხატვრები. რას იზამ, ასეთია პროფესიული „უსამართლობის" დაუწერელი კანონი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რუსა ამირეჯიბი

მრისხანება

ქუჩაში მივდიოდი. ტვინში, უფულობის გამო, მხოლოდ ფული მიტრიალებდა. ჩემს თავს ხან ვეწინააღმდეგებოდი, ხან რაღაცას ვუმტკიცებდი.

„არის თუ არა დღეს ფული თავისუფლების წყარო?

არის ჩვენი ადამიანობა ხშირად ფულზე დამოკიდებული?

დიახ! ფული დღეს თავისუფლების წყაროა.

დიახ! უფულობა დღეს ადამიანს უფრო მეტად აფუჭებს, ვიდრე ფული.ირგვლივ ბევრ დაღლილს ვხედავ, გულგრილი თვალები, რაღაცას შეგუებული სახეები, შეკრული წარბები, ნაოჭიანი შუბლები. ეგოიზმი, აგრესია და... ბოროტებამდე სულ ერთი ნაბიჯია. ეს მრისხანებაა და ასეთი როგორღა შეძლებს სიყვარულს, მეგობრობას, ერთგულებას? „მრისხანება დაღლილი ადამიანის ნიშან-თვისებაა“— გამოვიტანე დასკვნა.

ჩახუტებულმა თინეიჯერებმა ჩამიარეს. კარგი, რა, ფული ხელის ჭუჭყიაო — გაცხარებით უმტკიცებდა გოგო ბიჭს. ეტყობა რაღაც საქციელისგან თავის შეკავებას ურჩევდა. გამეცინა და დავრწმუნდი, რომ დღეს მთელი ქვეყანა ფულზე ფიქრობს. თავს შევამჩნიე, რომ ლაპარაკის მადა მომაწვა. ნეტავ ვინმე შემხვდეს-მეთქი, ვინატრე. ჩემ გვერდით არავინ იყო და ფიქრი გავაგრძელე:

„ეს გამოთქმა კი მაშინ შეთხზეს, როცა ცხოვრების დონე დღევანდელთან შედარებით ბევრად დაბალი იყო და ფულის შოვნაც იოლი. რაც დღეს ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, მაშინ საერთოდ არ იყო და შესაბამისად ადამიანს ბევრად პატარა მადა ჰქონდა, ვიდრე დღეს. ხალხი მხოლოდ მინიმალურად საარსებოს იძენდა. რჩებოდათ ფულიც და დროც, რომ სულიერი სამყარო გამოეკვლევათ. ამიტომაც თქვეს მაშინ, ფული ხელის ჭუჭყიაო.

თუ დღეს ჩვენი თავისუფლება ფულზეა დამოკიდებული, გამოდის, მაშინაც კი, როცა ფული გვაქვს, თავისუფალი არა ვართ, რადგან რაიმეზე დამოკიდებულება,დღესდღეობით,თავისუფლების შინაარსს ეწინააღმდეგება. ესე იგი, შეიცვალა თავისუფლების გაგებაც.წინათ კი თავისუფლება ზნეობრივი პრინციპებით იყო შეზღუდული. ბოლოს და ბოლოს, ამას ხომ ბიბლია გვასწავლის.

მაშ, თავისუფალი რომ იყოს, რა გააკეთოს ოცდამეერთე საუკუნის ადამიანმა?“

ამ კითხვას ვიყავი ჩაბღაუჭებული, რომ ცხვირში ნაცნობმა, მადისაღმძვრელმა სუნმა შემიღიტინა.საცხობი... შებრაწულ ფენოვან ხაჭაპურებს გადავხედე და გზა გავაგრძელე, რომ თვალმა იქვე, ბუჩქებთან ჩაცუცქული ახალგაზრდა კაცის საინტერესო კადრი დაიჭირა. ფენოვან ხაჭაპურს ჭამდა, მადიანად ილუკმებოდა და კოკა-კოლასაც აყოლებდა. ნერწყვი თავისით გადამეყლაპა. საოცრად უხდება ფენოვანს კოკა-კოლა და მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ ცომეულობას არ ვჭამ.

ტიპი გემრიელად ილუკმებოდა, მაგრამ გამომეტყველება ჰქონდა ისეთი, რომ შემეშინდა: დაბოღმილი, ბოროტი, მკვლელის თვალებით იცქირებოდა აქეთ-იქით. ვინმეს კი არ ეძებდა, უბრალოდ გამვლელებს უყურებდა, თან ჭამდა.

გონებას გაუკვირდა და ამაზე ფიქრი ატეხა.

„ზოგადად, ადამიანი ჭამს მაშინ, როცა შია, ეს ჩვეულებრივი ინსტინქტია და ამიტომ, ჭამა სასიამოვნოა. ამის ლუკმაობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებ, ძალიან უნდა შიოდეს. დიდ ნაკბეჩებს აკეთებდა და კოკა-კოლასაც ისე სვამდა, როგორც მწყურვალი. ასეთი უკმაყოფილო სახე საკუთარი თავის დაკმაყოფილების პროცესში... გასაკვირია.“

გონებაში ჭამისას უკმაყოფილო ადამიანების ძებნას შევუდექი და ვერ ვიპოვე. დავრწმუნდი, რომ ნამდვილად არ მეშლებოდა და არაადეკვატურ მომენტს წავაწყდი. გავჩერდი, გამალებული ვფიქრობდი. ცნობისმოყვარეობამ ფეხებზე ბორკილი დამადო. მაინტერესებდა, რა მიზეზით ჭამდა მშიერი კაცი ასე?

მეხსიერება დავძაბე და სურათი დაწვრილებით აღვადგინე, ისიც კი დავინახე რა ეცვა. ფიქრებში წასული სახე კი ნამდვილად არ ჰქონდა, თორემ ვიტყოდი რაღაცაზეა გაბრაზებული და ასე ამიტომ იყურებოდა-მეთქი. მახსოვს, რომ გამვლელ-გამომვლელებს თვალს უაზროდ აყოლებდა და დავრწმუნდი, რომ ჭამის დროს პირად პრობლემებზე არ ფიქრობდა.

უფრო გამიკვირდა.

„ადამიანებმა ბარ-რესტორნები გახსნეს, რათა დაკმაყოფილების პროცესი უფრო სასიამოვნო ყოფილიყო. უყვართ ადამიანებს ჭამა და და ამისთვის უამრავ ფულს ხარჯავენ, ესე იგი სიამოვნებთ და იმიტომ. მაშ ამ ახალგაზრდა კაცს რა სჭირს? მკვლელია? არამზადა? უნდა გავარკვიო.“

გავიფიქრე და უკან მივტრიალდი, საცხობისკენ წავედი. მივეპარე და დავაკვირდი. ისევ ისეთი სახე ჰქონდა, ბოროტი, წარბებშეკრული და თავსაც ისევ აქეთ-იქით ატრიალებდა. ხელებში შევხედე და უფრო გავოცდი, რადგან ახლა მეორე ხაჭაპურს მიირთმევდა და კოკა-კოლაც სხვა ეჭირა.

„ფულიც ჰქონია. რა ძალიან უნდა სიამოვნებდეს ახლა ამას ჭამა. ალბათ ასეცაა, მაგრამ რატომ არ ეტყობა? უნდა ემჩნეოდეს, რადგან ადამიანები გამომეტყველებას ვერ ვმართავთ.“

თავს ვუთხარი, ვითომ წიგნის გმირი ხარ-მეთქი, საცხობთან მივედი, მეც ხაჭაპური და კოკა-კოლა ვიყიდე, უყოყმანოდ მივადექი და გვერდით, ბალახზე ჩამოვუჯექი.

ამრეზილად შემომხედა, არც კი გაუკვირდა. ხაჭაპური მოვკბიჩე, გემომ აღმაგზნო, ძლივს მივეცი უფლება თავს ის მეჭამა, რაც ძალიან მიყვარს, კოკა-კოლაც მივაყოლე და ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ წამსვე მივხვდი, მეორესაც ვიყიდიდი.

„დიდი რამე, ამ ერთხელ რას გამასუქებს...“ ვიმართლებდი თავს. სიამოვნების პროცესმა ისე გამიტაცა, რომ გვერდში მჯდომი ეს ტიპი კინაღამ გადამავიწყდა. უცებ გამოვფხიზლდი და მისკენ მივბრუნდი. მან მზერა იგრძნო და თავი მოატრიალა. კონტაქტში შესვლა დავიწყე, გავუღიმე. დამიბღვირა. არ ვიკმარე და ვკითხე:

— ხომ ძალიან გემრიელია?

ისე გაკვირვებულმა და დაბოღმილმა შემომხედა, თითქოს შევაგინე. პასუხი არ გამცა.

მე მაინც უკან არ დავიხიე:

— ამაზე გამიგია, თბილისში საუკეთესო ფენოვანს აცხობენო.ვფიქრობ,ასეცაა. თქვენ როგორ გგონიათ?

ისევ ამრეზით შემომხედა, „რატომ მაწუხებ“ სახეზე დაეწერა და თქვა:

— მე რა ვიცი!

„ვაა!“ უფრო გამიკვირდა გუნებაში. „ჭამს, მუცელს იხეთქავს და არ იცის, გემრიელია თუ არა?!“

არ მოვეშვი:

—ანუ, არ მოგწონთ ეს ხაჭაპური?

„ვაა!“ ამანაც გაიფიქრა და თქვა:

— მომწონს!

— ესე იგი მოგწონთ?

— მომწონს-მეთქი! რა იყო, შენია ეს საცხობი? — მკითხა შუბლშეკრულმა.

„უზრდელი! შენობით მომმართავს, როცა მე თქვენობით ველაპარაკები,“ გავიფიქრე, თორემ არ გამკვირვებია. ასეთი თვალების პატრონისგან, პირიქით, ზრდილობა გამიკვირდებოდა.

— მაშ, ასეთი წარბებშეკრული სახე რატომღა გაქვთ?იქნებ, სულაც არ მოგწონთ და მეორეს შიმშილის გამო ჭამთ? უბრალოდ, მაინტერესებს და მიპასუხეთ, რა, გთხოვთ.

გაოცებისგან მისი შეკრული წარბები შუბლზე ახტნენ, იქაურობა დაანაოჭეს, საბოლოოდ სამკუთხედის ფორმა მიიღეს და გაჩერდნენ. ქვემოთ დარჩენილი გაკვირვებული თვალები კი გაავდნენ.

„აი, მგონი დამერხა,“ გავიფიქრე.

წამები გაიწელა და შესაბამისად კადრიც. ვუყურებდი როგორ ნელ-ნელა თხლეშდა პირს.

„ალბათ უნდა დამიღრიალოს“ გავიფიქრე და ცოტათი შემეშინდა. მოვემზადე, რომ გული არ გამხეთქვოდა. არ შევმცდარვარ:

— შენ ვინ გკითხავს! რეებს ბოდავ! გიჟი ხარ, ვიღაცა! გაეთრიე აქედან, თორემ დავივიწყებ რომ ქალი ხარ!

„თითქოს აქამდე ახსოვდა!“ ირონიულად ჩავურთე გონებაში და მშვიდად ვთქვი:

— დაწყნარდით, ბოდიშს ვიხდი! უბრალოდ მაინტერესებს, მშიერი რატომ ჭამდით ასეთი სახით.

უფრო გადაირია:

— რეებს ბედავ! როგორი სახით? რა სახით? შარიანი ხარ, ვიღაცა! რას ჩამომიჯექი აქ და კითხვებს მაყრი! უზრდელო! ვინ გაგზარდა! ქალი ასე უნდა იქცეოდეს? ასეთი არაფერი მინახავს! წაეთრიე შენს გზაზე, თორემ თავზე ხელს ავიღებ და ერთი კარგად გაგლანძღავ, როგორც შეგეფერება ისე! თუ არ წაეთრევი, ისეთ დღეს დაგაყრი, არასოდეს დაგავიწყდეს! ვერა ხარ, ვიღაცა ხარ, შენნაირი გიჟები ქუჩაში რატომ უნდა დადიოდნენ? ესაა ქვეყანა? ესაა სახელმწიფო? ფუ! მე ამათი დედა ვატირე! შენც ეტყობა ამათნაირი ეგოისტი ხარ, არამკითხე, სხვის საქმეში ცხვირსა ყოფ! ქვეყანა რა დღეშია და შენ ორი ხაჭაპური გიკვირს?რას მითვლი! მითხარი, ესენი თუ ნორმალურები არიან, შენნაირებს ქუჩაში რატომ უნდა უშვებდნენ?!

ამ შეკითხვაზე გამეცინა და ყველაფერს მივხვდი, წამოვხტი და კმაყოფილმა ვუთხარი:

— დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ.

ხელი გავუწოდე, მაგრამ მის სახეს რომ შევხედე, ისევ დავმალე და სწრაფად გავშორდი იქაურობას.

„ეს ადამიანი უკმაყოფილო, შეწუხებული და დაბოღმილი თავის ქვეყანაზე ყოფილა. ეტყობა უსამართლობა შეეხო, რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი სახე ექნებოდა“.

გონებაში ვამართლებდი და თანავუგრძნობდი.

„მას თავისუფლება, სამართალი სწყურია და როგორც კაცი, უფრო მეტად დაჩაგრულად გრძნობს თავს, ვიდრე მე — ქალი, და სწორედ ამიტომ იყურებოდა მკვლელივით. ეპატიება, რადგან კაცი უფრო მწარედ განიცდის საკუთარ უძლურებას, ვიდრე ქალი, თანაც, როცა ბუნებით სუსტი არაა. ეს კაცი ნამდვილად არ იყო სუსტი, თორემ უკმაყოფილო არ იქნებოდა.“

მოვდიოდი, ვფიქრობდი და საკუთარ თავზე მეცინებოდა. პირველად გამლანძღა კაცმა და მე კი თითქმის მესიამოვნა.

შაისე

ერთ-ერთთან მწვანე ეზოში შევიკრიბეთ. ვჭორაობდით, ლუდს ვსვამდით. თემა ლამისაა გამოგველია, რომ:

— გოგოებო, მოდი, ცოტათი გავერთოთ.

— ჰო, მაგრამ რა გზით?

— ორი დღის წინ მარშუტკაში უცნობ ბიძაზე გავბრაზდი. მე ვიტყვი რატომ გავბრაზდი და თქვენ ის კაცი სათითაოდ დაახასიათეთ. თან გავერთობით, თანაც საინტერესო ფსიქოლოგიურ პორტრეტს მივიღებთ. შეიძლება არაზუსტს, მაგრამ გულს ვიჯერებთ.თანახმა ხართ?

ყველა დათანახმდა.

—კი, მაგრამ მარშუტკაში რა გინდოდა? მანქანა?

— იმან ლომბარდში წაიყვანა, პრობლემები აქვს და... დავიწყეთ, რა, კარგი?

— არ უნდა გაგეტანებინა!კაცს კი არ უნდა მისცე, უნდა გამოართვა!

— კარგი რაა, ვაჰ!!!

— აცადე, რა გჭირს! მიდი, გააგრძელე.

— მოკლედ, მარშუტკაში ავედი. მისი ინტერიერი მოგეხსენებათ. ჰოდა, უკან გადასვლისას ფეხი რაღაცაში გავუყარე. გამეჭედა. ვიღაც ჭაღარა, მელოტი ბიძა იჯდა, ასე, ზა შიისიატ. იჯდა და თან როგორ: გაჩაჩხული — ისეთ ვიწრო გასასვლელში! მშვიდი სახით! დამინახა გადასვლას რომ ვცდილობდი და ფეხების შეტყუპება არც უფიქრია. ფეხი რომ ფეხში გავუყარე, არც მაშინ. ისევ არ განძრეულა. მე კიდევ ფეხს უშედეგოდ ვიქნევდი და გამოძრობას ვცდილობდი... ბოლოს, როგორც იქნა, გავითავისუფლე და უკან გადავედი. საშინლად გავბრაზდი და ჩვეულებისამებრ მომენტალური სიძულვილით ავივისე. ბოლოში გეტყვით რაც გავაკეთე! ახლა კი დავიწყოთ... როგორი უნდა იყოს ასეთი კაცი?

— ეტყობა რაღაცაზე ფიქრობდა.

— ალბათ ვიღაც შეუყვარდა სიბერეში.

— არა, ფიქრებში წასული სახე არ ჰქონდა.

— მაშინ უზრდელია.

— კი, ეგეცაა.

— შეიძლება ბევრი ფული აქვს და ამიტომ ჰქონდა ფეხზემკიდია სახე.

— მაშ, მარშუტკაში რაღა უნდოდა?

— არაა. არც სათანადოდ იყო მოვლილი და ღარიბულადაც ეცვა.

— მაშინ თქვი, შენი აზრით როგორი იყო.

— როგორი და ორი ვარიანტია:

ადამიანი, რომელიც საკუთარი ვითარების შუაგულშია და არ აინტერესებს ირგვლივ რა ხდება, ან ცხოვრებისგან დაჩაგრული და ხელჩაქნეულია, ანდაც გაბოროტებული, რადგან საკუთარი თავის არარაობას გრძნობს.

გულგატეხილი რომ ყოფილიყო, ასეთი „ფეხზემკიდია“ გამომეტყველება და პოზა კი არ ექნებოდა, არამედ დაბეჩავებულის სევდიანი სინდრომი. ეს კაცი საკუთარი დამარცხების გამო, პასიურად აგრესიული გახდა და ირგვლივ დისკომფორტს ქმნის, რადგან თვითონაც იმავეს განიცდის. კაცს, რომელიც სხვას შეგნებულად გზას გადაუკეტავს, უამრავი სალანძღავი სიტყვა არ ეკუთვნის?

ამ დროს შეეძლო სხვა გზა აერჩია: ან შეგუებულიყო საკუთარ ფიასკოს, ანდაც ეცადა კარგი საქციელით დაებალანსებინა თავისი არარაობა. სხვების თვალში ზრდილობიანი ადამიანი იქნებოდა და ამის გამო—თვითონაც კმაყოფილი. ამას რომ ვერ ხვდება, ესე იგი ინტელექტი აკლია. უინტელექტო ბოღმა კი, არავის სჭირდება და თანაც საშიშია. დარწმუნებული ვარ, ცოლმაც მიატოვა, იმას ალბათ როგორ ექცეოდა...

— იქნებ, ცოლი საერთოდ არ ჰყავს?

— ვინ გაჰყვებოდა, რო? მეგობრებიც არა მგონია ჰყავდეს.

— ჰო. ალბათ.

— ეგ წუწურაქიც იქნება, კაპიკს არ გაიმეტებს ქალისთვის.

— მე ასეთ ადამიანს სუსტს კი არა, ბოროტს ვუწოდებ და ბოროტებას სიკეთე სძლევსო, ეგეც სისულელეა. ჭკუა უნდა ასწავლო მისნაირებს და აგრძნობინო, რომ ხედავ!

— მერე რა ქენი?

— რა და, გაცეცხლებული თურმე გაჩერებას გავცდი. ჩასვლისას კი, ისევ გაჩაჩხულს, მასავით მოვექეცი და გამიზნულად, მაგრამ შემთხვევითობის ელფერით, ისე მაგრად ჩავარტყი ჩემი ფეხსაცმლის ქუსლი ფეხის თითებში, რომ მისი ბღავილის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, რომელიღაც თითი მოტყდა და ამიერიდან მარშუტკაში ფეხებს ყოველთვის დამალავს!

გაეცინათ.

— სულ ჩხუბისკენ როგორ უნდა იწევდე?

— ადამიანები ჩხუბის სიმძაფრის მიხედვით მყავს მოგონებების ოთახებში გამომწყვდეული და მათ ვინაობას ჩხუბისას განცდილი ემოციების მიხედვით ვიხსენებ... და გონებაში, როგორც ეკრანზე, ისე გადის ჩხუბის კადრები. ახლა გამოვსწორდი, ადრინდელივით აღარ ვჩხუბობ, თავს ვიკავებ.

ისევ გაეცინათ.

— ჰო, გეტყობა, როგორი გამოსწორებულიც ხარ, ვინ იცის, კაცი დაინვალიდე.

— მე მაინც ვფქირობ, რომ გულგატეხილობამ მიიყვანა ეგ კაცი მანდამდე და ცოდოა.

—თუ ვინმე კაცი ვერ არის, ცოდო კი არა, უთავმოყვარეოა.

— მითუმეტეს უფულო!

— მოკლედ ასე იყო. ახლა წავედი, ბავშვი უნდა წამოვიყვანო დედაჩემისგან.

გოფრედო პარიზე

ანკეტა



გოფრედო პარიზე (1929 – 1986) იტალიელი მწერალია — ესეისტი, ჟურნალისტი, ავტორი საკმაოდ გახმაურებული რომანებისა „ლამაზი მღვდელი“, „მკვდარი ბიჭი და კომეტა“, „პატრონი“, მოთხრობების კრებულისა „ადამიანი-ნივთი“ და სხვებისა.

„ანკეტა" ერთ-ერთი მოთხრობაა კრებულიდან „ადამიანი-ნივთი“, რომლის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „მოთხრობების კრებული „ადამიანი-ნივთი“ წარმოადგენს ფსიქოლოგიური ჩანახატების სერიას, რომელთა საშუალებით მინდოდა შეძლებისდაგვარად ამესახა იტალიაში გამეფებული იდეური, სულიერი და პოლიტიკური ვაკუუმი... ბევრი მიიჩნევს, რომ მე ვარ პესიმისტი, რომ ვამუქებ ფერებს, მაგრამ ვინ არის ეს "ბევრი?" ბურჟუაზიაა, ვინც თვითონვეა დამნაშავე შექმნილ ვითარებაში, ისევ ის მაგნატები, რომელთა წყალობითაც მოხმარების საგნებმა ლამის წალეკოს დასავლეთის სამყარო, ბოლო წლებში ადამიანი ლამის დაიხრჩოს საგანთა მორევში. ადამიანური ცხოვრების რიტმი დაირღვა, გახდა ხელოვნური, მექანიკური. თავად ადამიანი დავიდა „ნივთის“ დონემდე და გახდა ნივთი ნივთთა შორის“.

მის რომანებსა და მოთხრობებში მთელი სიმძაფრითაა წარმოჩენილი ადამიანის გაუცხოების, შიშის, სისასტიკის, უიმედობის განცდა. თავის პერსონაჟებს მწერალი ხშირად სახელსაც არ არქმევს და წარმოგვიდგენს ინიციალებით M.K. „მე თვითონ ვხედავ და დარწმუნებულიც ვარ, რომ ცხოვრებაში მეტი ჩრდილია, ვიდრე — სინათლე“, – წერს იგი და სწორედ ამ ჩრდილში არიან მოქცეულნი მისი პერსონაჟები – უსახონი, უსახელონი, უძლურნი. შეიძლება ძნელი წასაკითხია მოთხრობებიც და განსაკუთრებით რომანი "პატრონი" (ქართულად თარგმნილია), მაგრამ მათში მწერალი აღწევს დიდ ემოციურ ძალას და ცხადად გვაჩვენებს ადამიანის გაუცხოების, შიშის, უიმედობის მწვავე განცდას, რაც გროტესკად აღიქმება.

მთარგმნელისგან

ფირმა სიამოვნებითაც კი დათანხმდა, რომ მიმიღებდა სამუშაოდ, ოღონდ ჯერ დახასიათება უნდა წარმედგინა და ერთი გრძელი ანკეტა შემევსო. ეს ჩვეულებრივი წესია, რადგან დამქირავებელს ურჩევნია თავი დაიზღვიოს რაიმე მოულოდნელი უსიამოვნებისგან, ანდა უბრალოდ, უნდა გაიგოს ვინა ხარ, რა კაცი ხარ და ესეც სრულიად ბუნებრივია.

რაც შეეხება დახასიათებას, ეს თითქოს ადვილად მოგვარდა, მე თვითონ, საკუთარი ხელით მივუტანე და ჩავაბარე კაცს, რომელმაც — ასე მომეჩვენა, — გულისხმიერება გამოიჩინა ჩემს მიმართ. ერთი სიტყვით, ამ მხრივ დაბრკოლება არ შემხვედრია. ახლა მარტო ანკეტა მაფიქრებდა.

ძველ სამსახურში რამდენიმე სამუშაო დღე კიდევ მრჩებოდა, რომ ზოგიერთი რამ მომეგვარებინა, მომარაგებამოწოდების პირობები გამერკვია და მშვიდად ნავსულიყავი; მაგრამ მალიმალ ფიქრები წამიღებდა ხოლმე, განსაკუთრებით ანკეტაში ჩამორიგებული კითხვები არ მასვენებდა, რა და როგორი პასუხები უნდა გამეცა, სულ ეს მიტრიალებდა თავში.

ჩემი ფირმიდან წასვლა წმინდა მატერიალური მოსაზრებით გადავწყვიტე, თუმცა კი ათი წელი ერთგულად ვემსახურე; ხელმძღვანელობაც თითქოს გაგებით მოეკიდა ჩემს ასეთ მოწადინებას, მაგრამ მაინც სცადა გადაეთქმევინებინა და ადრინდელზე უკეთესი პირობებიც კი შემომთავაზა, თუმცა ახალი ფირმის პირობებს სულ ერთია, ვერ გაუტოლდებოდა, არადა მათთვის არანაირი მოთხოვნილება არ წამიყენებია.

ბოლოს და ბოლოს ჩემი ფირმის ხელმძღვანელობა შეურიგდა ჩემ გადაწყვეტილებას და კიდეც მომილოცა; ის კი არადა, კადრების განყოფილებამ ჩემი პატივისცემის ნიშნად ბანკეტიც კი გამართა, (თუმცა ამაზე არც კი მიფიქრია) და ყველამ ერთსულოვნად მიიღო მონაწილეობა. როცა უთვალავი სადღეგრძელო შეისვა და გზაც დამილოცეს, მე განზე გავიხმე ბანკეტის მოთავე და ვუთხარი, მთელ ხარჯებს მე ვიკისრებ-მეთქი, ხოლო თუ თქვენსას დაიჩემებთ ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოსო, მაშინ ფირმის მონაწილეობის სიმბოლური მნიშვნელობა მაინც მიეცით-მეთქი.

მაგრამ ამის გაგონებაც კი არავის უნდოდა; გულითადი მოლოცვები, ხელის ჩამორთმევა ხომ არ მაკმარეს და ჩემდა გასაოცრად ოქროს კალამიც კი მაჩუქეს, რამაც ცოტა არ იყოს, შემაცბუნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო, მით უმეტეს, რომ კალამზე ამოტვიფრული იყო ამერიკული "O.K."

როგორც უკვე ვთქვი, ანკეტაზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა; ასე იყო თუ ისე, ამას მაინც ვერ ავცდებოდი, ახალ სამუშაოზე მიღებისთვის ეს აუცილებელი პირობა იყო, მაგრამ ის მაინც ვერა და ვერ ამეხსნა ჩემი თავისთვის, რატომ გავჩუმდი რაღაცრაღაცებზე; ეტყობა, ჩემდაუნებურად ვცადე საქმის ნამდვილი ვითარება მიმეჩქმალა, თუმცა ამას რაღა აზრი ჰქონდა, მერჩივნა ყველაფერი პირდაპირ და გულახდილად მეღიარებინა.

უპირველეს ყოვლისა, თურმე ანკეტაში აუცილებლად უნდა ჩამეკრა ჩემი ოჯახის წევრების, ე.ი. ჩემი, მამაჩემის, დედისა და ცოლის ოთხი ფოტოსურათი. ამის თაობაზე ვკითხე კიდეც ფირმის მუშაკს, — რომელიც ანკეტების საქმეებს განაგებდა, — ნუთუ ეს სავალდებულოა-მეთქი. მას ხმაც არ ამოუღია, მარტო გაიღიმა და თითი დაადო ანკეტის პირველი ფურცლის პირველ სტრიქონს, რომლის ქვემოთ მოხაზულ ოთხ კვადრატს მოჰყვებოდა დიდი წითელი ასოებით გამოყვანილი წარწერა: „მნიშვნელოვანია“, მერე დამრიგებლის ღიმილით შემომხედა.

მის ასეთ ღიმილსა თუ საქციელში მტრული ვერაფერი შევამჩნიე, პირიქით, ვთქვი კიდეც, ამ ინტელიგენტური იერის ადამიანის ჩემდამი დამოკიდებულებაში კეთილგანწყობა უფრო ვიგრძენი. მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე განათლებით ფილოლოგი იყო.

მეც მეტი რა გზა მქონდა, მივიტანე ფოტოსურათები, ჩავაწებე აღნიშნულ კვადრატებში და საბეჭდ მანქანას მივუჯექი (ჩემდა სამარცხვინოდ, მართლა საშინელი ხელწერა მაქვს); დროდადრო დავხედავდი ხოლმე ჩემთვის ესოდენ საყვარელ სახეებს და რაც უნდა იყოს, მაინც ჩემი ოჯახი ეს არის-მეთქი, ვფიქრობდი.

და მეც წათამამებული თუ გულდაჯერებული იმით, რომ საპასუხისმგებლო პოსტი უნდა დამეკავებინა, თანაც ერთ ყველაზე დიდ და მსოფლიოში ცნობილ ფირმაში, გულში ვიმეორებდი: „ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო ადამიანებო!...“

საგანგებოდ ანკეტების შესავსებად განკუთვნილ ოთახში მარტო ვიჯექი და ჩემთვის ვბუტბუტებდი: „ძვირფასო მამა, ძვირფასო დედა, საყვარელო მარია!“ ეტყობა, მეზობელ ოთახში თანამშრომელმა ყური მოჰკრა ჩემ ბუტბუტს და მოვტრიალდი თუ არა, ისიც დავინახე, ჩემს ზურგს უკან იდგა და იღიმებოდა. მან გამაფრთხილა, საბეჭდ მანქანაზე მხოლოდ მეოთხე გვერდამდე უნდა დაიბეჭდოს, დანარჩენი წესის თანახმად ხელითაა შესავსებიო. მეც გავუღიმე, მოვუბოდიშე, ძალიან ცუდი, თითქმის გაურკვეველი ხელწერა მაქვს-მეთქი. მან ჩაიცინა და ესღა თქვა:

— როგორიც გაქვთ, გაქვთ, რა გაეწყობა, ახლა რაღა ეშველება! თუმცა კი ხელწერა ერთგვარად ავლენს ადამიანის ბუნებას. წაკითხვით მაინც წავიკითხავთ, ამისთვის თავს ნუ შეიწუხებთ! ესაა ჩვენი მოვალეობა...

მან სიგარეტიც კი შემომთავაზა და თავის კაბინეტში დაბრუნდა. მეც ისე შევავსე ანკეტა — როგორც მითხრეს, ჩავაბარე კადრების მუშაკს და შინ წავედი. ეს ამბავი ახლაღა გამახსენდა, რამდენიმე დღის მერე და უნდა ვაღიარო, გვარიანად ამაფორიაქა; მაშინვე ფოტოსურათები დამიდგა თვალწინ, თანაც მამაჩემისა და ჩემი ცოლისა. პირველად მოხდა ჩემ ცხოვრებაში, რომ მათ სხვისი თვალით, შორიდან შევხედე, უფრო სწორად, კადრების განყოფილების მუშაკის თვალით.

მამაჩემს, ერთი შეხედვით სამოც წელს თუ მისცემდით, მაგრამ იმისთანა გამომეტყველება თუ იერი ჰქონდა, კაცი იფიქრებდა ჯუჯააო, კისერი სულ არ უჩანდა, გეგონებოდათ თავი პირდაპირ მხრებში აქვს ჩამჯდარიო, ვინც ამ ფოტოსურათს დახედავდა, უთუოდ იფიქრებდა, ან ხერხემალი აქვს გამრუდებული, ანდა ერთი უემური კუზიანი ვინმეა. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძიმებდა მისი მოკაუჭებული, ბალნიანი ცხვირი, წინ წამოწეული, წვეტიანი ნიკაპი, ხოლო პირი გახეული და გახვრეტილი გეჩვენებოდათ; წყლიანი, უფრო სწორად, გაწყალებული თვალები დახატულივით წარბებს ქვემოდან იბღვირებოდნენ; და ბოლოს, პატარა, მრგვალი, მოჭმუჭნული ყურები, ერთს ნიჟარის ნაწილი აკლდა, მეორეს — ბიბილო. ყველაფერი ეს ერთად მამაჩემს იმისთანა იერს აძლევდა, მის შემხედვარეს ან ლოთი ეგონებოდა, ან რომელიღაც უცხო ჯიშის გარეული ფრინველი, შოშია თუ ღამურა, გზის პირას რომ ჩამოსხდებიან ხოლმე ხანდახან და ცნობისმოყვარეობით იყურებიან აქეთ-იქით, მერე კი ფრთების ტყლაშუნით აფრინდებიან. ამ ყველაფრის მერე მამაჩემის გრაფაში კიდევ ერთ ასეთ კითხვაზე უნდა გამეცა პასუხი — „უჩივის თუ არა ჯანმრთელობას, ან რა დაავადება აწუხებს“. რა გაეწყობოდა, მეც ავდექი და ასე ჩავწერე — ღვიძლი აწუხებს-მეთქი, ხოლო კითხვაზე „რა დროიდან?“ ვუპასუხე — ამის დადგენის საშუალება არა გვქონია-მეთქი.

აბა, ერთი წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ასეთი პორტრეტი არა მარტო თანამდებობის პირებზე, ხელმძღვანელობაზე (უკვე ისიც მაეჭვებდა, რომ ეს ანკეტა მანამდე მიაღწევდა), არამედ თუნდაც კადრების განყოფილების მუშაკზე.

ჩემი ახალგაზრდა, 22 წლის ცოლი ყოველთვის სანდომიანი, ანდა თუ გნებავთ, საკმაოდ ლამაზიც კი მეჩვენებოდა, არც მეტი, არც ნაკლები, მაგრამ თუ ფოტოსურათს კარგად დააკვირდებოდით, არა თუ უბრალოდ ლამაზი, მშვენიერზე მშვენიერიც კი გეგონებოდათ! მაგრამ ღმერთო, შენ მიშველე! ამასაც თუ სილამაზე შეიძლება უწოდო! ვინმე მომღერალი, თუ სარეკლამო სურათზე გამოსახული, ან მიუზიკჰოლის "gire" დაგიდგებოდათ თვალწინ — გამომეტყველება, ტუჩპირის მოხაზულობა რომელიღაც მტაცებელს მიუგავდა, მსუქანი, მრგვალი, გლუვი და გაბერილი ყელ-კისერი ერთ ვინმე ავხორც ქალს უფრო გაგახსენებდათ, ანდა სულაც პატაგონურ ყიყინა ბაყაყს. კითხვაზე — „ცოლის საქმიანობა?“ — ვუპასუხე — „დიასახლისი!“

სხვა რა გზა მქონდა!

ისევ ჩამესმის ყურში კადრების განყოფილების მუშაკის სიტყვები: „ყოველი ადამიანი იმას წარმოადგენს, რაც არის: თავისი მამის შვილს, თავისი ცოლის ქმარს! თუ მამა სასმელის მოყვარულია, ხოლო ცოლი... როგორც იტყვიან... პრიმიტიული, იმის მეტი რაღა რჩებათ, რომ საკუთარ თავშიც ერიოთ ერთიცა და მეორეც, მთელი მათი ღირსებებიც და ნაკლიც“.

ეეჰ, მაინც რა თავქარიანივით მოვიქეცი! როგორ არ ავწონ-დავწონე ყველაფერი, სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, თუკი ამაზე იყო დამოკიდებული ჩემი მომავალი?!

ძველ ფირმაში რვა სამუშაო დღე კიდევ მრჩებოდა. გუშინ სამმართველოს სამდივნოში რომ შევყოვნდი, გავიგე, თურმე ხელმძღვანელობას კიდევ ერთი დახასიათება შეედგინა ჩემი ახალი პატრონებისთვის. მდივანმა ისეთი სიკეთე გამოიჩინა, რომ ასლიც კი წამაკითხა.

დახასიათება მართლაც დიდებული იყო, თერთმეტ ფურცელზე ზედმიწევნით, ზუსტად იყო ყველაფერი ჩამოთვლილი, რაც მეც კი არ მახსოვდა და ვერც გავიხსენებდი. როცა ვკითხულობდი, გული ამიჩუყდა და თვალზე ცრემლიც მომადგა, მაგრამ ბოლო სტრიქონებამდე რომ მივედი, სულ ერთიანად გავქვავდი და გავციოდი. დახასიათება მთავრდებოდა ამ სიტყვებით: „ჩვენი ფირმის დატოვება მხოლოდ მატერიალური მოსაზრებით გადაწყვიტა!“

სრული ჭეშმარიტება კი იყო, მაგრამ ეს ბოლო სტრიქონი სულ ერთიანად აუქმებდა ზემოთ ნათქვამს. მდივანს მადლობა გადავუხადე და მაინც ვკითხე, ხომ არ შეიძლება ბოლო სტრიქონი წავშალოთ-მეთქი, რადგან ვფიქრობ, ჩემი ახალი პატრონები ამას დიდ ყურადღებას მაინც არ მიაქცევენ-მეთქი. მდივანმა თავი გააქნია, დაჟინებით შემომხედა და მარტო ამოიოხრა; მე ეს საყვედურად კი მომეჩვენა, მაგრამ მერე უკვე რამდენჯერმე დაბეჯითებით გაიმეორა:

— ეეჰ, ეს არა, არა და არა...

მე ისევ ჩემსას გავიძახოდი. მაშინ უხალისოდ, მაგრამ საიდუმლოდ გამანდო, რომ თურმე ხელმძღვანელობა ძალიან, ძალიან გაანაწყენა ჩემმა გადაწყვეტილებამ, უფრო სწორად იმან, რომ მე წმინდა ანგარებიანი მოსაზრებით მოვინდომე სხვა ფირმაში გადასვლა. იმის მიუხედავად, რომ ყველაფერი ცხადზე ცხადი იყო, ისიც კარგად იცოდნენ, რომ ფირმას ერთგულად და პატიოსნად ვემსახურე ამ ხნის მანძილზე, არც ჩემი წვლილი დავიწყებიათ, მაინც ვერ გაჩუმდებოდნენ ჩემი წასვლის მიზეზზე. მდივანმა ისიც გამიმხილა, რომ თავისი ყურით მოისმინა, როგორ ოხრავდნენ სხდომის დროს და ისიც, ბატონმა პრეზიდენტმა რომ განაცხადა: „რაკი მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა წასვლა, ჩემი აზრით, ჯობდა რაიმე ზნეობრივი საბაბი მოეფიქრებინა, ანდა უბრალოდ სხვა ფირმაში გადასვლა იმ მოსაზრებით გაემართლებინა, რომ ახლა ეს ფირმა უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობსო. მაგრამ ანგარების გამო?!... ჰო, კარგი და კეთილი, ამას როგორმე შევეგუებით! სამაგიეროდ ის ხომ მაინც გავიგეთ, ვისთან გვქონია საქმე!“

სამდივნოდან მთლად დათრგუნვილი წამოვედი. თურმე დახასიათების საქმეც ვერ ყოფილა კარგად, როგორც მეგონა. წასვლით კი წავიდოდი, მაგრამ უკან დასაბრუნებელი გზაც რომ სულ მოვიჭერი!

დღეს დილას მაინც წავედი ახალი ფირმის კადრების განყოფილებაში. შიშისაგან სული მელეოდა, მაგრამ კბილი კბილს დავაჭირე, გავქვავდი და თავი გავიმაგრე, მშვიდი, თავდაჯერებული კაცის სახე კი მივიღე, რაც არც არასდროს მქონია, მაგრამ როცა კადრების განყოფილების მუშაკი კაბინეტიდან გამოვიდა, ჩემსკენ გამოემართა და დავინახე, რომ არც მას ედო ფერი, უკვე გული გადამიქანდა, რაღაც ჩამწყდა შიგნით, რაკი მივხვდი, რომ...

თარგმნა მერი ტიტვინიძემ

თუ გინდა „წერო“, აუცილებლად უნდა და-წერო...

I ადგილი — მარი ბექაური

II ადგილი — ალეკო ცქიტიშვილი

III ადგილი — თეა თოფურია

5 ნოემბერს მოზარდმაყურებელთა თეატრში ლიტერატურული კონკურსის — „წერო“ — გამარჯვებულები გამოავლინეს. მკითხველების გადაწყვეტილებას დარბაზში მსხდომნი ოვაციებით შეხვდნენ, რაც დასტური აღმოჩნდა იმისა, რომ ჯერ ჟიურიმ, შემდეგ კი ინტერნეტმომხმარებელმა, სწორი არჩევანი გააკეთა.

ლიტერატურულმა კონკურსმა — „წერო“ — დაარსებიდანვე, 2006 წლიდან, მოიპოვა პოპულარობა. როგორც ჩანს, ეს განპირობებულია იმით, რომ მთავარ პროცესში, გამარჯვებულების გამოვლენაში, თავად მკითხველი მონაწილეობს აქტიურად. კონკურსის პირობების თანახმად, ყველა ნაწარმოების ავტორი დაჯილდოვების დღემდე ინარჩუნებს ანონიმურობას. პირველ ეტაპზე ჟიური საუკეთესო 12 ნაწარმოებს ავლენს, შემდეგ კი ყველა ეს თხზულება ინტერნეტმკითხველის სამსჯავროზე გადის. ის, ვინც ინტერნეტსივრცეში ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, პირველობასაც მოიპოვებს. ორგანიზატორებმა ტექნიკურად იზრუნეს იმაზეც, რომ ამა თუ იმ ნაწარმოებს ერთი კომპიუტერიდან ერთ ხმაზე მეტი არ მიეღო, რათა მაქსიმალურად ობიექტური ყოფილიყო ის გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომ საჯაროდ დაჯილდოვების ცერემონიალზე გაჟღერდებოდა.

მთავარი ორგანიზატორები — ლიტერატურული პორტალი literatura.ge და ფარმაცევტული კომპანია „ჯი პი სი“ — მოხარულები იყვნენ, რომ ორწლიანი პაუზის შემდეგ მათ გვერდით დადგა გამომცემლობა „ლაბირინთი“ და სპონსორობის სურვილი გამოთქვა წიგნის გამავრცელებელმა კომპანიამ „წიგნის სამყარო“. კონკურსს გამოუჩნდა მხარდამჭერიც — საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო.

წელს კონკურსში მონაწილეობა 104 ნაწარმოებმა მიიღო. მათგან 12 საუკეთესო აირჩიეს ჟიურის წევრებმა — შადიმან შამანაძემ, შოთა იათაშვილმა, დავით ქართველიშვილმა, ბაჩო კვირტიამ, გურამ მეგრელიშვილმა, ალეკო ჯახუამ და ირაკლი ჯავახაძემ, თუმცა ერთ-ერთი ნაწარმოები კონკურსის პირობების დარღვევის გამო გამოეთიშა მეორე ეტაპს და ინტერნეტმკითხველის სამსჯავროზე 11 ნაწარმოები გავიდა. 5 ნოემბერს მოზარდმაყურებელთა თეატრში სწორედ ამ 11 თხზულების ავტორების სახელ-გვარები გაჟღერდა. ფინალურ ეტაპზე ვერცხლის წეროსა და 2000 ლარის მოლოდინში იყვნენ: ჯაბა ზარქუა (ლაბორატორია „კანდიდო“), მიშა ბახსოლიანი (ოპერაცია „სქელი ტრაკი“), თეა თოფურია (Disappearance), ნენე გიორგაძე (სამკუთხედი), თინათინ თოფურია (წითელი წიგნი, ანუ things you let go), რეზო ნასარიძე (იობის წიგნი), მარი ბექაური (ბავშვობა, როგორც სინამდვილეშია), ლევან ფირცხალავა (ბარონია), ალეკო ცქიტიშვილი (მთაზე ასვლა), ბესო ხვედელიძე (წითელი) და რეზო გეთიაშვილი (დაკრძალვა).

გამარჯვებულების გამოვლენამდე წიგნის მაღაზიათა ქსელმა „ლიბრამ“ აქტიური მკითხველები 50 ლარიანი ვაუჩერით დააჯილდოვა, მათგან ყველაზე აქტიურს კი, ლელა კოდალაშვილს, 100 ლარიანი სასაჩუქრე ბარათი გადასცა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი ავალიანმა სამინისტროს ფავორიტი ავტორი დაასახელა და ჯაბა ზარქუა მსოფლიო ლიტერატურის კრებულით დააჯილდოვა. ჟიურის სიმპათია აღმოჩნდა რეზო ნასარიძე, რომელსაც ჟიურის წევრთა და გამომცემლობა „ლაბირინთის“ მიერ გამოცემული წიგნები გადაეცა.

პრიზიორთა გამოცხადების დროც დადგა. III ადგილი და 500 ლარი წილად ხვდა თეა თოფურიას, რომელსაც გამომცემლობა „ელფისგან“ დამატებითი პრიზიც ერგო — მსოფლიო კლასიკოსების ორტომეული და ჰაინესა და ზოლას თანამედროვე თარგმანები (სხვათა შორის, გამომცემლობა „ელფმა“ პრიზები 11-ივე ფინალისტისთვის დააწესა). II ადგილი და 1000 ლარი გადაეცა ალეკო ცქიტიშვილს, რომელიც სცენაზე თავის ვაჟთან ერთად ავიდა. ამ პრიზის თანამფლობელი ნამდვილად ყოფილა შვილი, რომელსაც მამის მოთხრობისთვის სათაური („მთაზე ასვლა“) მოუფიქრებია. ალეკოსთვის ეს ჯილდო იმდენად სასიხარულო აღმოჩნდა, რომ არც დაუმალავს — ასეთი წარმატება ჯერ არ მქონია და ჩემთვის ეს მართლაც არის ერთ-ერთ მთაზე ასვლაო. გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ“ მეორე ადგილის მფლობელს დამატებით მიხეილ ჯავახიშვილის შვიდტომეული გადასცა. ვერცხლის წერო და 2000 ლარი კი მარი ბექაურს ხვდა წილად. მარისთვის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ იმდენად იმოქმედა, რომ სცენაზე კარგა ხანს იდგა უმეტყველოდ და მხოლოდ ცრემლები სდიოდა, ბოლოს კი თქვა: „არაადეკვატური ვარ. ეს ამბავი ნამდვილია და მიხარია, რომ სწორედ ამ ამბისთვის მივიღე ეს ჯილდო“. მარის „წეროს“ ორგანიზატორისგან, ფარმაცევტული კომპანია „ჯი პი სისგან“ 100 ლარიანი ვაუჩერიც გადაეცა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა კი იქვე მიიღეს სპონტანური გადაწყვეტილება, მარის ნაწარმოებები წიგნად გამოსცენ და ასე დაუდგნენ მხარში დებიუტანტ მწერალს.

ასე დასრულდა „წერო 2010“. 5 პრიზიორისა და 6 ფინალისტის ნაწარმოებები უკვე წიგნადაა გამოცემული. მომავალ წლამდე კი თუ გინდათ „წერო“, აუცილებლად უნდა და-წეროთ.

„ილიაობა“ საგურამოში

ოტია იოსელიანი

ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე წელსაც ფართოდ აღინიშნა ჯერ ყვარელში და შემდეგ საგურამოში, დიდი მწერლის სახლ-მუზეუმში. იყო ტრადიციული ზეიმი და დასკვნითი ცერემონიალი - ილია ჭავჭავაძის მედლისა და ყოველწლიური პრემიების გადაცემა. მკითხველს შევახსენებთ, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც „ილიას ფონდისა“ და ფირმა „კალასის“ მიერ დაარსებული ჯილდოები ენიჭებათ გამოჩენილ ქართველ მწერლებსა და ხელოვანებს.

წლევანდელ მერვე დაჯილდოებაზე დასახელდნენ შემდეგი ლაურეატები:

ილიას მედალი „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა“ ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის მიენიჭა დიდ ქართველ ხელოვანს მერაბ ბერძენიშვილს (ავადმყოფობის გამო ბატონი მერაბი ზეიმს ვერ დაესწრო და ჯილდო მის მეუღლეს გადაეცა).

ყოველწლიური პრემია „საგურამო“ კი ნომინაციების მიხედვით ასე განაწილდა:

პროზა - ოტია იოსელიანი;
პოეზია - მანანა ჩიტიშვილი და ტარიელ ხარხელაური;
კრიტიკა - მაკა ჯოხაძე;
ჰუმანიტარული მეცნიერება - ნოდარ ტაბიძე;
თარგმანი - თამარ კოტრიკაძე;
ხელოვნება - ზაურ ბოლქვაძე.



ნოდარ ტაბიძე

მანანა ჩიტიშვილი



ტარიელ ხარხელაური

მაკა ჯოხაძე

თამარ კოტრიკაძე

ამირან გულბადაური

სასიამოვნო სტუმარი

1956 წლის მაისის იმ დღესაც, როგორც ყოველდღე, ლექციების დამთავრებისთანავე გამოვეფინეთ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინა ეზოში. მოწმენდილ ცას გამოკიდებულმა მზემ მხურვალედ დაგვაჭირა გამჭოლი სხივები მხრებსა და ბეჭებზე. სასიამოვნო სითბო ვიგრძენით უნივერსიტეტის ცივი აუდიტორიების შემდეგ. ჩვენგან იქვე ახლოს ბაღის მოგრძო სკამი მთლიანად განთავისუფლდა და დაუყოვნებლივ შევავსეთ იგი. ვინც ვერ მოასწრო, აქეთ-იქით წამოგვადგა თავზე. განვაგრძეთ მოურიდებელი საუბარი თითქმის ყველაფერზე.

უცებ ყურადღება მიიპყრო ქუჩიდან უნივერსიტეტის ეზოში შემოსულმა ახალგაზრდამ, რომელმაც პირველი კორპუსისაკენ აიღო გეზი. ყველამ დავინახეთ, თუ როგორ შეგვავლო თვალი და მყისეულად სასიამოვნო ღიმილი შემოგვაგება შორიდან. ვხედავდით, შემართული მოძრაობით თუ როგორ წამოვიდა ჩვენკენ ტანმაღალი და გამხდარი, ხუჭუჭთმიანი და მომღიმარი სახის ახალგაზრდა. იგი, გამოწყობილი თეთრ კიტელსა და თეთრ შარვალში, ძალაუნებურად იპყრობდა არა მხოლოდ ჩვენ ყურადღებას. მის შავფერ თმებს მხოლოდ მუქი ფერის ფეხსაცმელები უწყობდნენ შეუმჩნეველ ჰარმონიას. რომ მოგვიახლოვდა, წამით კარგად დავუკვირდი მას და თავიდანვე ჩვენგან გამორჩეულ ქართველად აღვიქვი. ჩვენ შორის თურმე ორ თუ სამ პიროვნებას იცნობდა ჩემთვის უცნობი სტუმარი და ამიტომაც გადაკროდა ღიმილი.

ჩვენ წინ რომ შეჩერდა, ცალი თვალი იმდენად მოჭუტა, თითქოს მიზანში ამოგვიღო და სადაცაა თოფიც იგრიალებდა...

გამარჯობა — სალამსაც ღიმილი დააყოლა ახალმოსულმა და ხელი ჯერ ნაცნობებს ჩამოართვა, ხოლო შემდეგ მისთვის უცნობებს გამოგვიწოდა და ყველას ცალ-ცალკე გაგვეცნო: „გურამ დოჩანაშვილი“ — გარკვევით და ხმამაღლა იმეორებდა. ეს სახელი და გვარი არაფერს გვეუბნებოდა, რამდენჯერაც უნდა გაემეორებინა ჩვენ სტუმარს. მის მიერ გამოთქმული სიტყვები თბილად იღვრებოდნენ ტუჩთა მოძრაობიდან და გვაგრძნობინებდა ახალგაცნობილებს, რომ თავად სპეტაკი ადამიანის სულით იყო მოცული. სიცოცხლესა და ცხოვრებაში აზრს რომ ხედავენ, სწორედ ის პიროვნება იყო ჩვენი სტუმარი. ჩვენ კი შევცქეროდით მას და უჩვეულო გრძნობა გვეუფლებოდა. თითქოს პირველად კი არ ვხედავდით, არამედ დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებდა.

გურამ დოჩანაშვილი ერთ წამში ჩვენიანი გახდა, ჩვენ კი მის საუკეთესო მეგობრებად მივიჩნიეთ თავი. პირადად მე ვუყურებდი და რაღაც უცნაური სიახლის მოლოდინით გავიმსჭვალე. ერთხანს ჩამოვარდნილი მყუდროება გურამმა დაარღვია და თავისებური ტემბრით წარმოთქვა:

— მთელი ღამე არ მეძინა წუხელ, მხოლოდ გამთენიისას ჩავთვლიმე ცოტა ხნით.

— რამ არ დაგაძინა, ჩემო გურამ? – თითქმის ეშმაკურად შეეკითხა დიდი ხნის მეგობარი.

გურამმა ალმაცერად გადახედა და ჩვენს გასაგონად უპასუხა:

— მოთხრობა დავწერე... — თქვა და ოდნავ ჩაიღიმა, — უნივერსიტეტის ეზოში შემოსულმა რომ დაგინახეთ, — მოგვმართა ჩვენ, — ოცნებას ფრთები შევასხი. მოთხრობის დეგუსტატორები თქვენ უნდა იყოთ! — ბრძანების კილო დაატანა სიტყვებს და დინჯად დაამატა: „ყველა ერთად და სუყველა ცალ-ცალკე!“

კიტელის გარეთა გულჯიბიდან გადაკეცილი ქაღალდი ამოიღო და სანამ გაასწორებდა, ყველას რიგრიგობით ჩაგვხედა თვალებში. შეიგრძნო, რომ ყველა ერთი აზრის ვიყავით.

გურამმა დაიწყო:

„მგლები“

.....

.....

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გურამ დოჩანაშვილის მიერ წაკითხული მოთხრობიდან ცოტა რამ თუ შემორჩა ჩემს არც თუ ისე ცუდ მეხსიერებას.

გურამი წყნარად, აუღელვებლად, ყველას გასაგონად მკაფიოდ გამოთქვამდა ყოველ სიტყვას. მოთხრობის კითხვის დროს თვალს შეგვავლებდა ხან ერთს, ხან მეორეს და თითოეულის გამომეტყველებას იჭერდა წამიერ. გრძნობდა ყველაფერს, რაც ჩვენ სულში ტრიალებდა; გრძნობდა და გული მადლიერებით ევსებოდა.

სმენად ქცეულები გაოცებულებიც ვიყავით: მას რომ ვუსმენდით და ვუყურებდით, თვალის გაპარვით ერთმანეთსაც გადავხედავდით. ხმას ვერ ვიღებდით. გურამი თანდათან თამამდებოდა და მის ყოველ წარმოთქმულ სიტყვაში მგლის ყმუილი ისმოდა!

„მგლები კი ყმუოდნენ: ყმ... ყმ..“, - გაიძახოდა გურამი.

ყველამ ვიცოდით, რომ მგელი ქართველთა ტოტემია!

„მგლები კი ყმუოდნენ: ყმ... ყმ..“, - თითქმის ყვიროდა გურამი.

ჩვენ კი, მისი ძველი და ახალი მეგობრები, ხმას ვერ ვიღებდით; გულიდან ამოხეთქილ სათქმელ სიტყვებს გულის ძარღვებითვე მძლავრად ვიჭერდით. ვიცოდით, რომ 1956 წლის 9 მარტი საქართველოს ახალი ისტორიის დასაწყისის კუთვნილებად და განუყოფელ ნაწილად იყო ქცეული.

ამასობაში მზეც იმდენად გადაშვებულიყო დასავლეთისაკენ, რომ უნივერსიტეტის შენობიდან წამოწოლილი ჩრდილი სულ სწრაფად და სწრაფად იზრდებოდა ჩვენკენ. მალე ჩვენ და სასიამოვნო სტუმარი ჩრდილით დავიფარეთ.

დავიშალეთ უსიტყვოდ, ახალი დღის მოლოდინით...

რეცენზია

ნინო სადღობელაშვილი

8 აგვისტოს მზე

გურამ მეგრელიშვილის ახალი რომანი „ირატტა.რუ“

ამქვეყნად ყველა ომი რომ ერთ დღესაც მხატვრულ ლიტერატურად იქცეს, ანუ, ამ ფრაზის უბრალო სემანტიკით: ყველა ომი წიგნში შევიდეს, იქ, სადაც ისედაც ბოლოვდება ადამიანური (გნებავთ კაცობრიული) თავგადასავალი; მერე ეს დაწერილი, წიგნად ქცეული ომები ხომ ის ომები აღარ იქნება, რაც ცხადში მოხდა, არამედ – მწერლის მიერ ინტერპრეტირებული, მოვლენათა წესრიგი, რომელიც შემოქმედების კანონმა ავტორს თავად უკარნახა; ამას დამატებული — ყველა ნორმალური მწერლის მთავარი პრინციპი: ადამიანის სიყვარული, რაც წიგნში დატრიალებულ ომსაც სხვა რაკურსიდან წარმოაჩენს, იქმნება ახალი სინადვილე, ანუ ის, რაც, შესაძლოა, მომხდარიყო კიდეც!..

მაგრამ, წიგნშიც კი, ომები ტყუილუბრალოდ არ იწყება. მათაც დიდი მიზეზი აქვთ.

„ამ რომანის დაწერა საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილში გამეფებულმა პესიმიზმმა გადაგვაწყვეტინა. გადაგვაწყვეტინა იმ მოსაზრებამ, თითქოსდა ძლიერ მტერთან ბრძოლას აზრი არ აქვს. ჩვენს მიერ შექმნილი რომანის სამყაროში შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკრული ხალხი და ჯარი დგას და ამას საოცარი შედეგი მოაქვს“ — ვკითხულობთ წიგნის უკანა ყდაზე, შავ ფონზე წითელი ასოებით.

ვსაუბრობ გურამ მეგრელიშვილის ახალ რომანზე „ირატტა.რუ“.

მკითხველი უკვე მიხვდა: წიგნი აგვისტოს ომზეა.

ეს ხაზგასმული ანოტაციაც წიგნის გარეკანზე, კარგად ნაცნობი პათოსით ნაციონალურ ლოზუნგს რომ გავს, სინამდვილეში წიგნის მთავარ სათქმელს „ფუთავს“ საიმედოდ, მავანთა თვალსატყუარად, რომ უფრო თავისუფლად მოგვითხროს მწერალმა ომზე, რომელიც არც აგვისტოში დაწყებულა და არც იმავე თვეში დამთავრებულა. თორემ, ავტორის პატრიოტულ სულისკვეთებაში არც მკითხველს და არც მავანს ეჭვი არც დაებადება.

რადგან, რომანი „ირატტა.რუ“ სიმართლით დაწერილი წიგნია.

ვერ ვიტყვი, რა უფრო განამტკიცებს ამ სიმართლეს — სამხედრო კონსულტანტის (თამაზ დემეტრაშვილი) თანაავტორობა, რომელმაც ზედმიწევნითი სიზუსტით „დააგეგმინა“ მწერალს რომანის სამხედრო სტრატეგიები, მიაწოდა სამხედრო ცნობები, შეასწავლა ტერმინოლოგია; ეს ყოველივე მშრალი ქრონიკის ტექსტით გასდევს წიგნს და ოფიციალური თუ არაოფიციალური ინფორმაციით აღჭურავს.

ინფორმაცია კი, როგორც ცნობილია, მძლავრი შეიარაღებაა.

სიმართლის განცდას ბადებს სიუჟეტიც: ცხივალში ჩარჩენილი ჩვილი ბავშვის თბილისში გადმოსაყვანად ერთი ახალგაზრდა ოჯახი ასეთ საქმეებში ჭიპმოჭრილ „სტალკერას“ დაიქირავებს. წიგნი ამ უკანასკნელის მოგზაურობაზე მოგვითხრობს: თბილისიდან ცხინვალში, ბავშვის ჯერ საპოვნელად და მერე კი, უკვე ბავშვიანად — ისევ თბილისში დასაბრუნებლად განვლილ გზაზე. ამასობაში ყველგან ომი მძვინვარებს: ქალაქებშიც, სოფლებშიც, ტყეშიც და ღრეშიც...

ბავშვი – ეს მიზანია: „სტალკერასთვის“ — ფულის საშოვნელი; მშობლებისთვის — საკუთარი მშობლური პატივმოყვარეობის დასაცხრობი; გზად შეხვედრილი ხიფათებისთვის — ადამიანურ ვნებათა გამოსაცდელი; მწერლისთვის კი, ალბათ ყველაზე მთავარი და ბუნებრივი — ბავშვი მთელი სამყაროა. ის უნდა გადარჩეს.

ისეთ სისასტიკეშიც კი, როგორსაც გურამ მეგრელიშვილი თავად ხატავს საკუთარ წიგნში. ომში, სადაც ნებით ან უნებურად ყველა ერთვება. და ამ თავსმოხვეული საყოველთაობის გამო, ამ უეცარი თავზარის გამო, ერთი პერსონაჟი „ხუმრობის“ გუნებაზეც დგება: *„ასე სად ხდება? გუშინ მშვიდობა იყო და დღეს – ომია“.*

წამიერების ეს განცდა, რიტმული სისწრაფით მონაცვლე ეპიზოდები, კადრებად დატეხილი მოვლენები მთელი წიგნის შინაგან ტემპორიტმს განსაზღვრავს. რომანიც, მასში აღწერილი ომივით, ერთ დღეში (ან, რამდენსაც კითხვის პროცესი გასტანს) გატყდება თავს.

სიმართლეს – მწერლის მიერ არჩეულ იარაღს — ამ ტემპორიტმშიც გრძნობ. თხრობის მანერა, რომელიც ისედაც ახასიათებს გურამ მეგრელიშვილის შემოქმედებას — შიშველი, ნატურალიზმამდე დაყვანილი სინამდვილის ჩვენება, ბოლომდე დაწურული, თითქოს განგებ მოარტახებული ფრაზები — ზედმეტი ემოცია რომ არ გაიპაროს, ისედაც სახიფათო თემაზე მთხრობელს სათქმელი ან არ დაუტკბეს, ან არ გადაემლაშოს; ამას დაუმატეთ პერსონაჟთა ხასიათები — ვის არ შეხვდებით რომანში: ვირტუალური სულიერ-ფიზიკური ცხოვრებით დაოსებულ „ქოთანას“; საქართველოს სიძულვილში გაწვრთნილ ტერორისტებს; მათი დიდიხნით ადრე დაგეგმილი სპეცოპერაციის უნებლიე მსხვერპლთ — ჩვეულებრივ მოქალაქეებს, რომლებსაც თავიანთი წილი ცხოვრება ეტლში ჩახვეული პალტოს ბოლოსავით ომში ჩაყვათ; ანაფორიან ჯალათებს, შიშისგან რძეგამშრალ ახალდედებს; ოცმეთაურ მაჩაბელს, რომლის გმირული თავგანწირვა რომანის ერთი მშვენიერი ეპიზოდია. ოღონდ, ეს ეპიზოდიც – პათოსის, ზეაწეული ტონალობის გარეშე, სულ რამდენიმე ფრაზით გამოხატული. ამ ფრაზებშიც, ავტორმა, თავადი მაჩაბელი მოიშველია და, ისევ მას ათქმევინა: *„ჩემი გვარია მაჩაბელი. ეს მიწა, რომელზეც ეხლა ვდგავართ, ჩვენი, მაჩაბლების მიწაა და აი, იმ პირველ მაჩაბელს კი მოვუტყაან ის კარქის ტრაკი, ვინც ის პირველი ხუთი ოჯახი ოსი ჩამოასახლა აქ და დაგვაჯინა თავზე. ჩემი მიწაა ეს, ჩემი, ჩემი, გაიგეთ.. და ამ მიწას სამაჩაბლო ქვია, მაჩაბლის მიწა ქვია და არა სამხრეთ, ჩრდილოეთ, დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ოსეთი, გაიგეთ? გაიგეთ მე თქვენი..“*

ეს გულწრფელი რისხვა უფრო მეტ მხურვალებას იძენს, როცა მკითხველი მას არა განყენებულად, საკუთარ თანამებრძოლებში ჩამჯდარი მაჩაბლისგან კითხულობს, არამედ – ტყვედ აყვანილი, ნაწამები და სახელოში ყუმბარადამალული ოცმეთაურისგან, რომელიც, ჯერ კარგად გაზომავს მანძილს, სტრატეგიულ წერტილს მონიშნავს, მერე დადგება იმ წერტილზე მტრის ბანაკში და, ამ „მაჩაბლურ სეპარატიზმზე“ მოხარხარე ჯარისკაცების წინ ყუმბარას გახსნის...

ომის ერთმანეთზე მძიმე სურათებს, მთელი წიგნის მანძილზე, ერთი საერთო ფონი ახლავს: მზე. აგვისტოს მზე, რომელიც ყველა ეპიზოდს, ყველა პასაჟს განსხვავებული რაკურსიდან აშუქებს, ფერთან ერთად, შინაარსს მატებს. არც ეს – კინოკადრირების ხერხი — არაა გურამის შემოქმედებისთვის უცხო. ამიტომაა, მისი ბევრი მოთხრობის წაკითხვისას, გებადება განცდა, რომ ფილმს უყურე. ვფიქრობ, „ირატტა.რუ“-ც მშვენიერი „გამღიზიანებელი“ უნდა აღმოჩნდეს რეჟისორებისთვის მხატვრულ ფილმზე სამუშაოდ.

და ბოლოს, ისევ მზეზე — სანგარში მჯდომი ერთი ქართველი მეომარი ამბობს: *„მზე რომ გადავა, ისევ დაიწყება. ახლა მზეა ჩვენი შერიგების ნიშანი, სანამ მზეა, არავინ მოკვდება, დღეს, ყოველშემთხვევაში“.*

„მთავარი“ მზე, ყველაზე დიდი სიმაღლიდან დაშუქებული აგვისტოს მზე, გურამ მეგრელიშვილისთვის სწორედ ეს მეტაფორაა — შერიგების ნიშანი. ამიტომაა, რომ სისხლით და სისასტიკით, შიშველი სინამდვილის შემზარავობით გაჯერებული წიგნი „ბნელი“ მაინც არ გამოვიდა.

წიგნის ბოლოს ყველა პერსონაჟში რაღაც იცვლება. მტანჯველი ტკივილების მერე რომ უეცრად ყუჩდება ხოლმე ადამიანი და, გრძნობს: აღარასდროს ისეთი აღარ იქნება, როგორიც ტკივილამდე იყო. რაღაც დამთავრდა. რაღაც სამუდამოდ შეიცვალა.

გურამის წიგნში მზეა, რადგან ამქვეყნად ყველა ომი — ცხადში თუ გამონაგონში, ადამიანში მზის მონატრებით უნდა დაბოლოვდეს.

რის გამოც, საერთოდ, მზე ამოდის ამ სამყაროში. უფრო სწორედ, ვიღაც დიდსა და ღონიერს — ადამიანისთვის ეს მზე ამოყავს.

ნინო ჩხიკვიშვილი

„შენ უკვდავებად სამშობლოსთვის სიკვდილსა თვლიდი...“

მართალია, ოთარ ჩხეიძე საყმაწვილო მწერალი არ გახლავთ, მაგრამ როცა გასული საუკუნის 70-80 წლების საბავშვო ლიტერატურულ პროცესებს გავიხსენებთ, შეუძლებელია, მისი „უკვდავების ზღაპარი“, ანტიკური ტრაგედიის სიმძაფრისა და მუხტის მქონე პიესა, არ ვახსენოთ.

ნაწარმოები გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს დაიწერა, მაგრამ მისი გამოქვეყნება, მოგვიანებით, მხოლოდ საბჭოთა ცენზურის გაუქმების შემდეგ, 1998 წელს გამომცემლობა „ლომისში“ მოხერხდა. შემდეგ, „ზღაპრის თეატრის“ სცენაზეც დაიდგა და შესაბამისი გამოხმაურებაც ჰპოვა. ჟურნალ „ომეგაში“ (2002 წლის N4) მკვლევარმა ლია წერეთელმა საგანგებო სტატიაც უძღვნა — „უკვდავების ზღაპარი“ ზღაპრის თეატრში.“

ავტორი ამ სტატიაში ერთ საინტერესო მიგნებას გვთავაზობს, როცა წერს — ოთარ ჩხეიძის „უკვდავების ზღაპარი“ მთელი მისი შემოქმედების მეტაფორად ისევე წარმოდგება, როგორც რომანი „ბორიაყი“ XX საუკუნის „ქართლის ცხოვრების მატიანის“ პირველ თავადო.

როგორც ცნობილია, „უკვდავების ზღაპრის“, ეგრეთწოდებულ, ხალხურ საწყისს, პირველწყაროს წარმოადგენს ჩვენში კარგად ცნობილი ზღაპარი უკვდავების მაძიებელ ჭაბუკზე, რომელსაც ზოგიერთ ვარიანტში ასეც ეწოდება — „მიწა თავისას მოითხოვს“.

„უკვდავების ზღაპარს“ გარდა ლია წერეთლისა, სხვა მკვლევარი რუსუდან ჩოლოყაშვილიც გამოეხმაურა წერილით „აქ რო სუნთქავ ეგეც ღვაწლია“, სადაც აღნიშნა: „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი მწერალმა აქცია რა ლიტერატურულ ქმნილებად, მას პატრიოტული აზრი შთაბერა. ხალხურ ნაწარმოებში, სიკვდილის გარდუვალობით შეძრწუნებული ჭაბუკი მიწას გაურბის ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად და ამგვარად უკვდავების მოსაპოვებლად. ლიტერატურულ ნაწარმოებში კი აქცენტი მშობლიური მიწის მიტოვებაზეა, რაც გულს უკლავს მწერალს.“

მწერლის მთავარი სათქმელიც ეს გახლავთ.

და ვიდრე პიესაზე საუბარს გავაგრძელებდე, მინდა ჩვენი დროის გამორჩეულად დიდი ბერის, არქიმანდრიტ გაბრიელის (ურგებაძის) სიტყვები გავიხსენო: „საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და რაც საქართველოში ხდება, ეს განსაცდელი სასიკეთოდაა. არ მიატოვოთ საქართველო, არ განაარისხოთ ღვთისმშობელი. ადამიანი სადაც დაიბადა, იქ გადმოდის მასზე კურთხევა.“

მწერალიც ამასვე გვიქადაგებს ამ საყმაწვილო პიესის მეშვეობით. თუმც ეს არ გახლავთ მხოლოდ უცნაური ან შემთხვევითი დამთხვევა. ამაში არის რაღაც დაფარული მისტიკური კანონზომიერება, რაც მარტივად ამოიხსნება, თუკი ოთარ ჩხეიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ყურადღებით შევისწავლით...

ამ კონტექსტში, აკაკი ბაქრაძის იმ მოსაზრების გახსენებაც ღირს: ორად ორი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას — ქრისტიანული რელიგია და მწერლობა. როცა რუსეთმა ქართული ეკლესია გააუქმა, ჩვენი ერის ქომაგის როლი მარტო მწერლობას დაევალაო, — „მწერლობის მოთვინიერებაში“ რომ წერდა.

ახლა კი ისევ „უკვდავების ზღაპრის“ სიუჟეტურ ქარგას მინდა მივყვე და, ვიდრე ნაწარმოების პერსონაჟებზე შევჩერდებით, შევთანხმდეთ ერთზე: ის, რომ ნაწარმოები ზღაპრულ ქარგაზეა აგებული და ყმაწვილთათვისაა განკუთვნილი, ესაც მწერლისეული საგანგებო მინიშნებაა იმაზე, რომ მხოლოდ ნამდვილ, ჭეშმარიტ ფასეულობაზე აღზრდილ მომავალ თაობას ძალუძს სამშობლოს ერთგულება და ქვეყნის გადარჩენაც. ეს ტრაგედია ერთგვარი გადაძახილია მომავლის საქართველოსთან. გნებავთ, აღიქვით, როგორც გაფრთხილება, ან სულაც განგაშის ზარი.

წელანაც ვთქვი და ისევ გავიმეორებ — მწერალი აღღოთი გრძნობს მომავლის ტკივილსა და საზრუნავს. და ეს გრძნობა გახლავთ უტყუარი. დაფარული მისტიკაც არისმეთქი მასში, ამას თუ რატომ ვამბობ, ახლავე აგიხსნით: მის შემოქმედებაში, კერძოდ, რომანში „არტისტული გადატრიალება“, არის ერთი ისეთი ეპიზოდი, რომელიც მწერალს თურმე არც კი ენახა, არადა, სიტყვა-სიტყვით ზუსტად ისე აღწერა, როგორც მოხდა:

„ტელევიზია ქვეყანას ამცნობს: პრეზიდენტი ჩამოგდებულიაო. ეს ჯერ კიდევ არაფერიო. პატრიკიევი კიდევ აცხადებს: ჩვენ კვლავ მტკიცე ნეიტრალიტეტს ვიცავთო. საქვეყნოდ აცხადებს, რაღა თქმა უნდა, ხოლო პრეზიდენტს ტელეფონით აფრთხილებს: დერეფანს დაგიტოვებენ გასასვლელადა. ნახვალ, გაეცლები. თუ არადა, დაიწყება ოპერაცია – ალფაო. დაიმარხები ცოცხლადაო, - ამასა ნიშნავდა. ბრძანა აყრილიყვნენ. უკანასკნელადა ბრძანა, როგორც რო პრეზიდენტმა. ისევ რუქას ჩაჰყურებდაო. მზად იყო ყველაფერი. მოახსენებენ. დგება, რუქას რო არ აშორებს თვალსა, რო შეჰღიმის, სანთლის ალი რო დასთამაშებს გაფითრებულ სახეზედა. დგება. დგას. დგას. ფანქარს დაუშვებს მერე. დადებს. გაასწორებს.

„... იქნება... ჩვენი... ჩვენი... ჩვენი იქნება...“ გადის თვალი რო რჩება რუქისკენა. ფანქარი ტაო-კლარჯეთზე დევს.“

სწორედ ამ ფაქტის შემსწრე ერთ-ერთ პიროვნებას გაკვირვებია კიდეც — კი მაგრამ საიდან იცის ბატონმა ოთარმა, ზუსტად ასე რომ მოხდა, იქ ხომ არა ყოფილაო.

ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, მოდი და რამენაირ მეცნიერულ კვლევა-ძიებასა თუ ლიტერატურული თეორიებსა და ჩარჩოებში მოაქციე დიდი მწერლის აზრები და ნათქვამი?!

ისე რაკი „არტისტული გადატრიალება“ ვახსენე, მსჯელობის ლოგიკა მოითხოვს „თეთრ დათვზეც“ მეთქვა რაღაც, თუნდაც ორიოდ სიტყვით, ის, რომ როცა მწერალი უფლის მიერ მოცემულ ათ მცნებას შეახსენებს ქართველთ, იქვე სამშობლოს სიყვარულსაც დაამატებს და კიდევ ერთხელ გამოგვაფხიზლებს, ეს არის ერთგვარი გადაძახილი ილია ჭავჭავაძესთან... თუმცა ახლა ამგვარ მსჯელობას რომ შევყვე, აზრის დინება შორს ნამიღებს. ამიტომაც ისევ საყმაწვილო პიესას დავუბრუნდები.

გზად ჭაბუკსა და მას ადევნებულ ქართულ სულს — ცანგალას (ამ შემთხვევაში, ცანგალა, ხალხური სიმღერის მეტად პოპულარული ტიპაჟია გაცოცხლებული), გარდა ზღაპრული პერსონაჟებისა, გზად რეალური, ვუწოდოთ ასე, ცხოვრებისეული სიბრძნით, ავითა თუ კარგით, სავსე ადამიანები ხვდებიან. ეს ოდისეა, ვფიქრობ, მოიაზრება როგორც ადამიანისთვის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქართველისთვის, ქართული სულის გადარჩენისთვის დაწესებული სიძნელენი, რომელსაც მომავალი საზვერეების მოლოდინში ჭაბუკი და ცანგალა, როგორც გაფრთხილებას და თუ როგორც გამოცდას, ისე გადიან.

ნაწარმოების დასაწყისში ვეება ლოდზე მჯდარი მოხუცი, უშუალოდ ცხოვრების, ან იქნებ ზღაპრისეული ბედისმწერლის თუ განმსაზღვრელის სიმბოლოა. იგივე მოხუცი ან მისი მსგავსი შეხვდება უკანა გზაზე და ახლაღა მოაგონდება მისი ნათქვამი: შენი სამშობლო თვით სამოთხეს უნდა გერჩივნოს, ჯოჯოხეთადაც რო გიქციონ, არ განშორდეო.

გარდა ამ მოხუცისა, ცანგალა კვლავაც მოაცილებს მშობლიურ მიწაზე დაბრუნებულ ჭაბუკს და ჩააგონებს: დღევანდელი დღე მოითხოვს მსხვერპლსა ჩვენგანა.

აქაც შეუმცდარია მწერლის ალღო. სადღეისოა ეს შეგონებაც და თუ რომელ მსხვერპლზეა საუბარი, ამას დაკვირვებული მკითხველი იოლად ამოიცნობს სტრიქონთა მიღმა. ხოლო ყმაწვილის გონება ბოლომდე თუ ვერ გააცნობიერებს მწერლისეულ გაფრთხილებას, ინტუიტური წვდომით ხომ მაინც დაეთანხმება ავტორს... რომელსაც სწამს: ის, რაც ყმაწვილის სულს ცხოვლად დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის.

ახლა ისევ პიესის პერსონაჟებს დავუბრუნდეთ:

როგორც აღვნიშნეთ, მასში მრავლადაა ჯადოსნური ზღაპრისთვის დამახასიათებელი, აუცილებელი დეტალებიც და პერსონაჟებიც. თუმცა ის სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვა, რასაც თითოეული მათგანი ატარებს, არა მხოლოდ პატარებისთვის, უდავოდ ცენზორთათვისაცაა გათვალისწინებული. მაგრამ პიესას დაბეჭდვა მაინც შეუძლებელი შეიქნა იმ პერიოდში.

ლია წერეთელი თავის წერილში იგონებს: „ზღაპარი და ზღაპრის სამყარო ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ბოლო თავი იყო. როგორღაც გამიგრძელდა, თითქო კვალი დამებნა... მშველელი არავინ იყო — ვერ ვკითხულობთო შემომჩიოდნენ დიდი ცენზის ლიტერატორნი, უკვირდათ რომ ვკითხულობდი და კვლევასაც ვბედავდი... ისევ ოთარ ჩხეიძეს თუ მივაშურებდი:

— ზღაპარი... ჰო ზღაპარი!.. — ჩაფიქრდა ბატონი ოთარი, — ერთი ზღაპარი მაქვს, არ გამომიცია, ეგება გამოგადგეს!..“

თუმცა მინდა აქვე განვუმარტო ყმაწვილებსა და იმ მკითხველებსაც, რომლებიც თავდაპირველად სწორედ ამ პიესის კითხვით გაეცნობიან ოთარ ჩხეიძის მრავალფეროვან ვირტუალურ სამყაროს, ნუ ჩათვლიან, რომ ეს საინტერესო სიმბოლო-ალეგორიები მხოლოდ ცენზურისათვისაა განკუთვნილი. იცოდნენ, რომ ეს მწერლისეული, კარგად ნაცადი და შესისხლხორცებული ხერხია, რომლის მეშვეობითაც ყოველთვის ამბობს მთავარ სათქმელს. ამ შემთხვევაშიც ასეა — მწერალი კომუნისტურ დიქტატურას ალეგორიულად ასე გადმოგვცემს. გავიხსენოთ თუნდაც ავტორის ერთ-ერთი რემარკა:

„არწივი აშენებს კედელსა, უშველებელ კედელს აშენებს.

მშვიდობის მტრედის ვეება სურათიც გამოუკიდნია. კედელს ძვლებისგან აშენებს, გულმოდგინედ აშენებს. ალაგებს აწყობს, სადმე ნაჩვრეტიც რო არ დარჩეს, ისე ალაგებს. თან ზვერავს არწივი, არსაიდან არავინ რო არ შემოეპაროს, მაღლა ფრინველმა არ გადაუაროს, დაბლა ჭიანჭველამა, — და აი მაინც ჭაბუკი და ცანგალა წაადგებიან თავსა.“

ამ არწივის სამფლობელოში დასატოვებლად არ ემეტება ცანგალას ჩვენი ჭაბუკი. ნახეთ რას ეტყვის, ეს ხომ პირდაპირი მინიშნებაა ქართულ გენსა და ხასიათზე. ამ შემთხვევაში მწერალი ცანგალას პირით იმ ქართველთ ამხელს, რომლებმაც ქართველობა დათმეს და ამდენად, კომუნისტური იდეოლოგიის მსხვერპლად იქცნენ:

მერე აქ რა გაგაძლებინებს?
ამაზე სცვლიდი შენს დახატულ
ადგილმამულსა?
იქ ვაზის მოვლა დაგე ზარა,
აქ ზიდე ძვლები
და ააშენე, რაც არასდროს
არ აშენდება.

აქ, რა თქმა უნდა, კომუნიზმის მშენებლობა იგულისხმება. მართალია, პატარებმა ეს ჯერ კიდევ არ იციან, მაგრამ, ჩვენ, უფროს თაობათა წარმომადგენლებმა ხომ კარგად ვიცით, რას უნდა გულისხმობდეს მწერალი, როცა ცანგალას ჭაბუკის გონზე მოსაყვანად ამ სიტყვებს ათქმევინებს:

ჯერ დარჩი, ნახავ, ჭკუა როგორ
გადაგიბრუნდეს,
მამას მარგილზე წამოაგებ
და დედაშენსა
გაცრეცილ თავშლით ჩამოჰკიდებ
კარის დირეზე.
და მერე იმ ძვლებს ჩამოზიდავ
ამის კედლისთვის.

შორს ნუღა წავალ და ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ გონებაში უნებურად ამოტივტივდება — მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, რევოლუციამ თუკი მიბრძანა! — რა თქმა უნდა, ასეთი და მსგავსი სტრიქონები ყმაწვილთათვის ნამდვილად არ არის განკუთვნილი, მაგრამ ეს ხომ ჩვენთვის, უფროსებისთვის, ერთგვარი განგაშია. ვიღაცა იტყვის, ან სულაც გაიფიქრებს, რაღა დროს კომუნიზმი და მასთან მებრძოლი მწერლობააო, მაგრამ გადაგვარების ნაკლები საფრთხე (თუ მეტიც არა) არც შემდგომ ეპოქას მოუტანია ქართველთათვის. ამ ახალ ეპოქაშიც თან მოგვდევს მწერალი და გვაფრთხილებს:

დავეწოწებით უგზო-უკვლოდ...
კარგა ხანია,
გადაგვავიწყდა ჩვენი სიტყვის
მადლი და გემო.

ამ რამდენიმე წლის წინათ პიესა ზღაპრის თეატრმა დადგა და საკმაოდ წარმატებითაც, მაგრამ ეს ყველაფერი დღეს უკვე ისტორიაა, ხოლო ამ სპექტაკლის ისტორიაში დარჩენას, მომავლის საქართველო, თანამედროვეთ არ მოგვიწონებს.

***

და ვიდრე წერილს დავასრულებდე, კიდევ ერთხელ მინდა დავძინო: ოთარ ჩხეიძის „უკვდავების ზღაპარი“ მართლაც კლასიკური ნიმუში გახლავთ ხალხური ზეპირსიტყვიერების, კერძოდ, ძალზედ ცნობილი და საყვარელი ზღაპრის, მხატვრულ ლიტერატურაში გადმოტანისა და დამკვიდრებისა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც საერთოდ, ხელოვნებაში უმთავრესია ერთი რამ — რანგი მწერლისა. გააჩნია, თუ ვინ მოინდომებს ამას, რამდენად მიანიჭებს ორიგინალურ ნაწარმოებს ხალხური ტონალობისგან განსხვავებულ, კლასიკური მწერლობისთვის დამახასიათებელ ჟღერადობას და იმ ფუნქციას, რაც საერთოდ ნიშანდობლივია კლასიკური ლიტერატურისათვის.

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com